

ა	უდიტი
ა	ღრიცხვა
ფ	ინანსები
i	ინფო კონსულტანტი

ალუს

დამოუკიდებელი გამოცემა


იკითხეთ „ააფის“ ფურცლებზე – მაკა ხარაზიშვილი:
 ინტერვიუ შპს „ეკოვის საქართველო“-ს
 პარტნიორ და დირექტორ ირაკლი სირაძესთან

ჟურნალის პარტნიორი –



გამომცემელი შპს „ააფ-მენეჯმენტი“

PUBLISHER "AAF-MANAGEMENT" LTD



შ ი ნ ა ა რ ს ი

მარიამ აფრასიძე

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეები: თებერვალი-2025 3

გონერ ურიდია

საქონლის იმპორტის დროს იმპორტის თანხის (დღგ-ით დასაბეგრი თანხის) განსაზღვრის საკითხი 10

მაკა ხარაზიშვილი

ინტერვიუ შპს „ეკოვის საქართველო“-ს პარტნიორ და დირექტორ ირაკლი სირაძესთან 16

მაკა ხარაზიშვილი

ეროვნული ბანკი სესხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ცვლის 22

თემურ იობაშვილი

ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი 8%-ზე დატოვა 24

თემურ იობაშვილი

საქსტატის ინფორმაციით ეკონომიკა მაღალი ტემპით იზრდება 27

კითხვა-პასუხი

36

შრომის ბირჟა ფინანსისტებისათვის

43

ფრიდონ კერვალიშვილი

უკრაინამ იშვიათი ლითონების მარაგი კოზირად ჯერ ვერ გამოიყენა 45

უცხოური ვალუტის კურსები

51

გენერალური დირექტორი: ფრიდონ ალშიბაია.

მთავარი რედაქტორი: გიორგი ცერცვაძე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ სარედაქციო კოლეგია: თემურ იობაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), მარიამ აფრასიძე, ფრიდონ კერვალიშვილი (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი), მაკა ხარაზიშვილი.

„კითხვა-პასუხის“ განხილვის საბჭო: ფრიდონ ალშიბაია (საბჭოს თავმჯდომარე), ლევან ასანიძე, ნონა ბერძენიშვილი, ბექა დოლონაძე, ნიკოლოზ ედიბერიძე, ნათია უჩანეიშვილი, გოგა ფარასტაშვილი, ფარნაოზ ნულაია.

იურისტ-კონსულტანტი: გიორგი ბოჭორიშვილი.

გამომცემელი: შპს „ააფ-მენეჯმენტი“, რეგისტრირებულია 06.09.1999 წ. საიდენტიფიკაციო კოდი 211390074. ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

მისამართი: ქ. თბილისი, 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, III და IV სართული.

ტელ.: 239-33-50, 239-33-47, 239-33-69, 239-57-26.

სარეკლამო სამსახური: (599) 111-001. რეალიზაციის სამსახური: (593) 32-27-05, (597) 69-57-57.

ელ. ფოსტა: info@aaf.ge

ვებგვერდი: www.aaf.ge

„ამგვარად, შევახსენებ ყველა ვაჭარს და ვურჩევ მას, ჩათვალოს სიამოვნებად წიგნების სწორი და კარგი წარმოება, ხოლო ვისაც არ აქვს ამის უნარი, მან, დაე, ისწავლოს, ანდა აიყვანოს თავისთვის ნამდვილად ყოჩაღი და პრაქტიკული ახალგაზრდა ბუღალტერი, ვინაიდან სხვაგვარად შენი საქმენი იქცევიან ქაოსად და ბაბილონის გოდოლად, რასაც შენ, თუ სახელი და ქონება შენთვის ძვირფასია, უნდა უფროთხოდე“.

ბენედეტო კოტრული, „სავაჭრო ბუღალტერიის შესახებ“. 1573 წ.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ და „ბიზნესი და მენეჯმენტის“

მკითხველთა საყურადღებოდ!

მიმდინარეობს ჩვენი ჟურნალების 2025 წლის გამოწერის კამპანია!

**12 თვით ხელმოწერის (12 „ააფი“ + 2 „ბიზნესმენი“)
ღირებულებაა 120 ლარი.**

თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ მითითებულ რეკვიზიტებზე და შემდეგ დაუკავშირდეთ ჩვენს მენეჯერს, რომელიც მოგაწვდით ინვოისსა და გამოწერის დამადასტურებელ ბლანკს.

ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:

შპს „ააფ-მენეჯმენტი“, საიდენტიფიკაციო № 211390074,

ა/ა № GE59PC0133400100000050 „პროკრედიტ ბანკში“, ბ/კოდი MIBGGE22.

**დაგვირეკეთ: 239-33-47 (რეალიზაციის სამსახური თბილისში);
(593) 32-27-05; (597) 69-57-57; (599) 11-10-01; (599) 13-72-19.**

27-10-93, (595) 55-87-83 (ბათუმი); (579) 31-02-02 (ქუთაისი)

რეალიზაციის სამსახური: ელზა ოთიაშვილი (სამს. უფროსი), მამუკა ელგენდარაშვილი, ნათელა ჯანიაშვილი, ბაქარ ბასილაშვილი (ბათუმი), ბექა დოლონაძე (ქუთაისი).

დამკაბადონებელი: **ლადო ლომსაძე.**

საავტორო უფლებები დაცულია. სტატიების გადაბეჭდვა შესაძლებელია მხოლოდ ჟურნალის რედაქციასთან შეთანხმებით. მიღებული მასალები არ რეცენზირდება. რედაქცია შეიძლება არ ეთანხმებოდეს ავტორის აზრს. სტატიებსა და რეკლამებს განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები და რეკლამის განმთავსებლები.

იურიდიული პირების განცხადებები ქვეყნდება მხოლოდ სარეკლამო საწყისებზე. ჟურნალის უფასოდ გადაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო მიზნით. შპს „ააფ-მენეჯმენტი“ იტოვებს უფლებას, თავისი შეხედულებისამებრ, არ გამოაქვეყნოს ზოგიერთი პირის რეკლამები ან/და განცხადებები.

ფასი – 8.75 ლარი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.03.2025 წ.

ჟურნალის ტირაჟის ნაწილი 2022 წლიდან ვრცელდება ციფრული ვერსიის სახით (ელექტრონულად).

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის განცხადება

ჩვენი ჟურნალის რედაქცია გამოხატავს პროტესტს „ბათუმელების“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებლის და დირექტორის – მზია ამალლობელის მიმართ დანყებული სისხლის სამართლებრივი დევნისა და წინასწარი პატიმრობის შეფარდების გამო.

მიგვაჩნია, რომ მზია ამალლობელის წინააღმდეგ დანყებული სისხლის სამართლებრივი დევნა პოლიციელისთვის სილის განვნის გამო, არის არაპროპორციული და უსამართლო. ვუცხადებთ სრულ სოლიდარობას ქალბატონ მზია ამალლობელს და მოვითხოვთ მისთვის თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების შეცვლას (პირველ რიგში) და შემდგომ მის მიმართ დანყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას!

ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებისგან ვითხოვთ სხვა მართლაც მძიმე დანაშაულის ფაქტების გამოძიებას, როგორცაა: „ფორმულას“ ჟურნალისტზე გურამ როგავაზე სამართალდამცველის ბრუტალური თავდასხმა, „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფზე ნილბიანი პირების ჯგუფური თავდასხმა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის სხვა შემთხვევები.

„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ რედაქციის სახელით,
მთავარი რედაქტორი გიორგი ცერცვაძე

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა

საკანონმდებლო სიასლექსის მიმოხილვა – ამ რუბრიკას, რომლის დანიშნულება სახელწოდებიდანაც გასაგებია, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი მარიამ აფრასიძე წარმოგიდგენთ.

საგადასახადო და საფინანსო სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიასლექსები: თებერვალი-2025

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში
შეტანილი ცვლილებები

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ

– ფინანსთა მინისტრის მიერ 06.02.2025-ში მიღებული №30 ბრძანებით დაკორექტირდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 7¹ მუხლის (საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხული პირის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება) მე-13 პუნქტი, რომლის თანახმად, ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს (გარდა ფიზიკური პირისა, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, საბიუჯეტო ორგანიზაციისა და დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე ორგანიზაციისა) საგადასახადო აღრიცხვის გაუქმებაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

ა) პირის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება უკვე დაფიქსირებულია გადასახადის გადამხდელთა რეესტრში;

ბ) სრულყოფილად არ არის წარდგენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები;

გ) საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების მიზნით წარდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება გადაწყვეტილების მიმღები პირის შესაბამისი უფლებამოსილება ან/და გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის გადაწყვეტილებაუნარიანობა;

დ) საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების თაობაზე განცხადება არ არის წარდგენილი უფლებამოსილი პირის მიერ;

ე) პირს გააჩნია საგადასახადო დავალიანება;

ვ) მიმდინარეობს საგადასახადო შემოწმება ან გაგზავნილია შეტყობინება საგადასახადო შემოწმების დანიშვნის შესახებ;

ზ) პირს გააჩნია რეგისტრირებული უძრავ-მოძრავი ქონება;

თ) პირს რეგისტრაციიდან არ მოუხსნია საკონტროლო-სალარო აპარატი;

ი) პირს არ განუხორციელებია ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის განაშთვა;

კ) პირს არ განუხორციელებია მატერიალური

ფორმის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის) განაშთავა;

ლ) პირს საბანკო დაწესებულებაში არ აქვს დახურული ბოლო საბანკო ანგარიში;

მ) პირს საგადასახადო ორგანოსათვის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების თაობაზე მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი არ აქვს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაცია/დეკლარაციები.

შეგახსენებთ რომ საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვას ექვემდებარება:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება გადახდის წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგერისაგან);

ა¹) დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის წარმდგენი დაქირავებული პირი;

ბ) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი;

გ) გაერთიანება, ამხანაგობა და სხვა მსგავსი წარმონაქმნი, რომელსაც შეიძლება წარმოეშვას საგადასახადო ვალდებულება;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) საბიუჯეტო ორგანიზაცია;

ვ) უცხოური საწარმო/ორგანიზაცია, მისი მუდმივი დაწესებულება, არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივი დაწესებულება;

ზ) (ამოღებულია);

თ) დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცია.

ი) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი (გარდა უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულებისა), რომელსაც, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მართვის ადგილი გადმოაქვს საქართველოში.

აღნიშნულ მე-13 პუნქტს დაემატა 13¹ პუნქტი, რომლის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე ორგანიზაციას საგადასახადო აღრიცხვის გაუქმებაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

– პირის საგადასახადო აღრიცხვის გაუქმება უკვე დაფიქსირებულია გადასახადის გადამხდელთა რეესტრში.

– სრულყოფილად არ არის წარდგენილი ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები.

– საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების მიზნით წარდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება გადაწვევტილების მიძღები პირის შესაბამისი უფლებამოსილება ან/და გადაწვევტილების მიძღები სუბიექტის გადაწვევტილებაუნარიანობა;

– საგადასახადო აღრიცხვის გაუქმების თაობაზე განცხადება არ არის წარდგენილი უფლებამოსილი

პირის მიერ.

– 07.02.2025-ის №31 ბრძანებით, დაკორექტირდა ინსტრუქციის რამდენიმე პუნქტი და მათი მოქმედება ვრცელდება 2025 წლის იანვრის თვის და მის შემდგომ საანგარიშო პერიოდებზე წარსადგენ დეკლარაციებზე.

კერძოდ, 33² მუხლის (აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსება) მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დეკლარაციის III ნაწილის პირველი სტრიქონის მე-4 სვეტში აისახება შესაბამისი კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი (სვ. 4=პირველი სტრიქონის სვ.3*20%).

40¹ მუხლის (მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (დანართი №II-086) შევსება) მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირველი სტრიქონის მე-4 სვეტში აისახება შესაბამისი კუთვნილი მოგების გადასახადი (სვ. 4=პირველი სტრიქონის სვ.3*20%).

მე-3 სტრიქონის მე-4 სვეტში კი აისახება კუთვნილი მოგების გადასახადი სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნაწილში (სვ.4=მესამე სტრიქონის სვ.3*20%).

– 11.02.2025-ის №39 ბრძანებით, რამდენიმე ცვლილება კვლავ შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციაში:

– 31-ე მუხლის (ცალკეულ შემთხვევებში ხარჯების გამოქვითვა) მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი დაკორექტირდა და ასე ჩამოყალიბდა:

საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, 2014 წლის 1 იანვრამდე ერთობლივი შემოსავლიდან ხარჯის დოკუმენტურად დადასტურების გარეშე დამატებით გამოქვითოს საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტით გატანილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3001–3006 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავლის 10%, თუ:

„ა.საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №453 დადგენილებით გათვალისწინებული წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების მიხედვით ამ საქონლის წარმოშობის ქვეყანა არის საქართველო ან“;

– „ა.ბ“ შენიშვნა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „შენიშვნა: ამ პუნქტის მიზნებისათვის, საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №453 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვები“;

- 39¹ მუხლის (გადახდის წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე შეღავათის გამოყენების მიზნით დაქირავებულ პირზე ცნობის გაცემის წესი) მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შეღავათის გამოყენების მიზნით გათვალისწინებულმა დაქირავებულმა პირებმა დამქირავებელს (საგადასახადო აგენტს) ცნობასთან ერთად უნდა წარუდგინონ შეღავათით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ეს პირები არიან, ასევე, პირები, რომლებმაც თავდაცვის კოდექსის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღეს;

- 41-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„დეკლარაციის ნაწილი III-ის, დეკლარაციის დანართ „ა“-ს, დეკლარაციის დანართ „ბ“-ს, დეკლარაციის დანართ „დ“-ს და დეკლარაციის დანართ „ი“-ს შესავსებად შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნები განისაზღვრება „შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №615 დადგენილებით“.

- 86-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„აქციზის გადამხდელის აქციზისაგან გათავისუფლების საფუძველია „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №3 (თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის აღრიცხვის ფორმა)“.

ცვლილება გადასახადის გადახდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესში

- შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ 21.02.2025-ში მიღებული №3169 ბრძანებით, ცვლილება შევიდა „გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების წარმოების წესში“.

კერძოდ, მე-3 მუხლის მე-8 პუნქტს დაემატა 8¹ პუნქტი, რომლის თანახმად საგადასახადო კოდექსის 161¹ მუხლის შესაბამისად, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა

წესით რეალიზაციის ოპერაციის გაუქმების შემთხვევაში, საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის მიმართვისას, მისი პირადი აღრიცხვის ბარათზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაწყვეტილების თარიღით აისახება დღგ-ის კორექტირების (გაუქმების) ოპერაცია.

მე-4 მუხლის 24-ე პუნქტს კი დაემატა შემდეგი 25-ე და 26-ე პუნქტები:

„25. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციის ოპერაციის გაუქმების შემთხვევაში, შესაბამის ოპერაციაზე ჩათვლილი დღგ-ის თანხის აღდგენა ხორციელდება, საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის გაუთვალისწინებლად, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 22¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მომსახურების დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თარიღის შესაბამისი დღგ-ის დეკლარაციის სავადო თარიღით და გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე კეთდება ჩანაწერი „გადაწყვეტილების საფუძველზე აღდგენილი დღგ-ის თანხა“.

26. ამ მუხლის 25-ე პუნქტით განსაზღვრული ქმედება არ ხორციელდება, თუ გადასახადის გადამხდელმა თავად მოახდინა შესაბამის ოპერაციაზე ჩათვლილი დღგ-ის თანხის გაუქმება ან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თარიღის საანგარიშო პერიოდის შესაბამისი დღგ-ის დეკლარაციაში ჩათვლილი დღგ-ის თანხის აღდგენა, რაც შესაძლებელია გადამოწმებული იქნეს გადასახადის გადამხდელისაგან გამოთხოვილი ახსნა-განმარტებით“.

ამავე ბრძანების მიხედვით, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით, საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციისას, რეალიზაციის განმახორციელებელი პირის მიერ საქონლის/ქონების მესაკუთრის სახელით ბიუჯეტში ამ ოპერაციაზე შეცდომით ან ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხის მიზნობრივად მიმართვის მიზნით, რეალიზაციის განმახორციელებელი პირი მიმართავს უფლებამოსილ საგადასახადო ორგანოს და წარუდგენს წერილობით დასტურს მის მიერ შეცდომით განხორციელებული და საგადასახადო ორგანოს მიერ პირადი აღრიცხვის ბარათზე განსახორციელებელი

ოპერაციების შესახებ, რის საფუძველზეც მოხდება ბარათზე სათანადო კორექტირება.

**საფინანსო სფეროში შიდააუდიტი
ცვლილებები**

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 27.02.2025-ში მიღებული №47/04 ბრძანებით ცვლილება შევიდა „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებაში“.

ცვლილების შედეგად, დებულების დანართი №1-ითა და დანართი №2-ით განსაზღვრული კოეფიციენტები არ ვრცელდება იპოთეკურ სესხზე, თუ მსესხებელის/თანამსესხებლის მიერ შემოსავლის საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღების ფაქტი დასტურდება და, ამავდროულად, სესხის უზრუნველყოფის 80%-იანი კოეფიციენტი დაცულია ფულადი სახსრების სახით არსებული თანამონაწილეობით.

ამასთან, იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მაქსიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს თუ უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების (გარდა არაუმეტეს 10 წლის ვადიანობის იპოთეკური სესხებისა) ყოველთვიური გადასახდელების და იმავე ვალუტაში არსებული შემოსავლის თანაფარდობა არ აღემატება ამ დებულების დანართ №1-ში მითითებულ პროცენტულ მაჩვენებლებს, ან სესხი გაიცემა ლარით – არაუმეტეს 20 (ოცი) წელი.

დაკორექტირდა დანართი №2 – სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მაქსიმალური მაჩვენებელი.

ლარით გაცემული სესხებისთვის	90%
უცხოური ვალუტით გაცემული სესხებისთვის	70%

– 27.02.2025-ის №49/04 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“, რომელიც ამოქმედდება 2025 წლის 15 აპრილიდან.

წესს დაემატა ახალი 13¹ მუხლი – საგადახლო მომსახურების პროვაიდერის ვალდებულებები მომხმარებლის საჩივრის განხილვასთან და აღრიცხვასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, საგადახლო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებლის საჩივრის მიღება და განხილვა უზრუნველყოს „საგადახლო სისტემისა და საგადახლო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 41¹ მუხლისა და ამ მუხლის შესაბამისად.

საგადახლო მომსახურების პროვაიდერი ვალდებულია საჩივრის შესახებ ჩანაწერები აწარმოოს ამ წესის დანართი №12-ის შესაბამისად და ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის 10 რიცხვისა, ელექტრონულად, Excel-ის ფორმატით წარუდგინოს ეროვნულ ბანკს, შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე – cp@nbg.gov.ge. ეროვნული ბანკისთვის წარდგენილ ანგარიშგებაში

უნდა შედიოდეს გასული თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით მიღებული, ასევე წინა საანგარიშო თვეს მიწოდებულ და ატვირთულ ანგარიშგებაში დაუსრულებელი სტატუსით აღრიცხული საჩივრების შესახებ სტატისტიკა.

ამავე ბრძანებით დაკორექტირდა პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესრულება სავალდებულოა საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის და უცხოური კომერციული ბანკების ფილიალებისათვის, მიკრობანკებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის, არასაბანკო სადებოზიტო დაწესებულებებისათვის – საკრედიტო კავშირებისთვის და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის. ამ წესის 13¹ მუხლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახლო მომსახურების პროვაიდერებისთვის.

წესს დაემატა დანართი №12 – საგადახლო მომსახურების პროვაიდერების მიერ საჩივრების სტატისტიკის ყოველთვიურად საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარსადგენი მახასიათებლების ნუსხა.

– 27.02.2025-ის №48/04 ბრძანებით კი დაკორექტირდა „საგადახლო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესი“. კერძოდ კი, შეიცვალა მუხლი 11 – მომხმარებლის საჩივრების მიღებისა და განხილვის უზრუნველყოფა, რომლის მიხედვით პროვაიდერი ვალდებულია მომხმარებლის საჩივრების მიღება და განხილვა უზრუნველყოს „საგადახლო სისტემისა და საგადახლო მომსახურების შესახებ“ კანონის 41¹ მუხლის მოთხოვნების დაცვით.

პროვაიდერს უნდა ჰქონდეს მიღებული საჩივრების შესახებ ყოველდღიურად განახლებული ჩანაწერები. იგი ვალდებულია საჩივრის შესახებ ჩანაწერები აწარმოოს და ეროვნულ ბანკს წარუდგინოს „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ 13¹ მუხლის შესაბამისად.

პროვაიდერი ვალდებულია საჩივრის შესახებ ჩანაწერები ელექტრონული ფორმით შეინახოს საჩივრის მიღებიდან არანაკლებ 6 წლის განმავლობაში, გარდა იმ ჩანაწერებისა, რომლებიც განიხილება ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის მიერ ან მიმდინარეობს სასამართლო დავა აღნიშნულის შესახებ.

სსპა ცვლილებები

– საპენსიო სააგენტოს დირექტორის მიერ 11.02.2025-ში მიღებული №020 ბრძანებით ცვლილება შევიდა საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტში.

კერძოდ, დანართი №1-ის (აქტივების განთავსების სტრატეგიის ჩარჩო) ცხრილი №1-ის (ბენჩმარკ პორტფელები) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით.

დაბალანსებული (საშუალორიკიანი) საინვესტიციო პორტფელის ბენჩმარკ პორტფელი:

აქტივის კლასი	განთავსების მიზნობრივი მაჩვენებლები	მიზნობრივი მაჩვენებლებიდან გადახრის დასაშვები ნორმები აქტივის კლასის მიხედვით
საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდები	5%	+/- 5 პროცენტული პუნქტი
დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში	60%	+/- 10 პროცენტული პუნქტი
უცხოური აქციები	35%	+5/- 10 პროცენტული პუნქტი

დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელის ბენჩმარკ პორტფელი:

აქტივის კლასი	განთავსების მიზნობრივი მაჩვენებლები	მიზნობრივი მაჩვენებლებიდან გადახრის დასაშვები ნორმები აქტივის კლასის მიხედვით
საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდები	5%	+/- 5 პროცენტული პუნქტი
დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში	40%	+/- 10 პროცენტული პუნქტი
უცხოური აქციები	55%	+5/- 15 პროცენტული პუნქტი

კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი), დაბალანსებული (საშუალორისკიანი) და დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელების ბენჩმარკ პორტფელების შემოსავლიანობისა და რისკების შეფასების მიზნით გამოიყენება შემდეგი ინდექსები:

აქტივის კლასი	ინდექსი
საქართველოს სახაზინო ფასიანი ქაღალდები	მიმოქცევაში არსებული ყველა სახაზინო ფასიანი ქაღალდი
დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში	დისკონტური (უკუპონო) დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები, 5 წლამდე ვადიანობით
უცხოური აქციები	<p>შეწონილი ინდექსი</p> <ul style="list-style-type: none"> • 20% – Vanguard FTSE Pacific ETF (კოდი VPL) • 20% – Vanguard FTSE Europe ETF (კოდი VGK) • 40% – SPDR S&P500 ETF (კოდი SPY) • 20% – Vanguard Emerging Markets Stock Index (კოდი VWO)

ამ პოლიტიკის მიზნებისთვის, საინვესტიციო კორიზონტად განისაზღვრა კონსერვატიული (ნაკლებრისკიანი) საინვესტიციო პორტფელისათვის – 5 წელი, დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო პორტფელისათვის – 10 წელი და დინამიკური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო პორტფელისათვის – 15 წელი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, საინვესტიციო კორიზონტი არ მოიაზრება, როგორც საინვესტიციო პორტფელში შემავალი ინდივიდუალური ინვესტიციების მაქსიმალური ხანგრძლივობის ან დაფარვის ვადის ლიმიტი.

– საპენსიო სააგენტოს დირექტორის 11.02.2025-ის

№019 ბრძანებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა „საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ“ 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებაში.

მე-11 მუხლს დაამატა 11¹ და 11² მუხლები:

„მუხლი 11¹ შედარების ფუნქციონალი

1. დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების სრულად და

შპს „ცოდნისა“-ს შვილობილმა კომპანიამ – შპს „იბერ-ინფომ“ 11,5-წლიანი სასამართლო დავა (საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით) გამარჯვებით დაასრულა!



2024 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება (საქმე № 330210013162326) დავაზე, რომელიც წარმოებდა საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერთან“ დაკავშირებით შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელზე შპს „ეფემჯი სოფტის“ და შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის“ წინააღმდეგ.

ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში ეს სარჩელი, ამით მან ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შპს „იბერ-ინფოს“ სარჩელი ცნობილი იქნა სამართლიანად (ვინაიდან ძალაში დარჩა მანამდე მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება) და მოწინააღმდეგე მხარეს, შპს „იბერ-ინფოსთვის“ გადასახდელად დაეკისრა დიდი ოდენობის ჯარიმა მის მიერ 2010-2012 წლებში განხორციელებული ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და საავტორო უფლებების დარღვევის გამო (აღნიშნული გადაწყვეტილების დასკვნითი ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად).

ამით ეს დავა, რომელიც 2012 წლის დეკემბერში დაიწყო და შესაბამისად, უპრეცედენტოდ დიდხანს – 11,5 წლის განმავლობაში გაგრძელდა, დასრულდა შპს „იბერ-ინფოს“ გამარჯვებით!

შპს „იბერ-ინფო“ არის შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს ერთ-ერთი შვილობილი კომპანია, რომელიც 1997 წლის ნოემბერშია დაფუძნებული და მას შემდეგ საქართველოში ავრცელებს საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერს“. დღეისათვის, ეს საქართველოში ფართოდ გავრცელებული და პოპულარული პროგრამაა.

ჯეროვნად შესრულების ხელშეწყობის მიზნით, ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებულია შედარების ფუნქციონალი, რომლის მეშვეობით დამსაქმებელს/თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნოს შედარების შედეგებს.

2. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი/თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული არ ეთანხმება შედარების ფუნქციონალში მოცემულ შედარების შედეგებს, ის უფლებამოსილია, შედარების ფუნქციონალის ამისათვის გამოყოფილ გრაფებში მიუთითოს შესაბამისი კომენტარები;

3. იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი/თვითდასაქმებული/არასტანდარტული დასაქმებული ეთანხმება შედარების ფუნქციონალში მოცემულ შედარების შედეგებს, ის უფლებამოსილია ამ ინსტრუქციის მე-7 მუხლის შესაბამისად მოახდინოს წლიური მაკორექტირებელი დეკლარაციის ინიცირება.

მუხლი 11². წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია
1. იმ შემთხვევაში, თუ შედარების ფუნქციონალში მოცემული შედარების შედეგების მიხედვით იდენტიფიცირდება საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების ზედმეტობით ან/და არაჯეროვნად შესრულების ფაქტი, დამსაქმებელი/არასტანდარტული დასაქმებული/თვითდასაქმებული უფლებამოსილია

დააინიციროს და დახუროს წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია.

2. იმ შემთხვევაში, თუ წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია ითვალისწინებს არაჯეროვანი შესრულების აღმოფხვრას, მისი დახურვისთვის აუცილებელია შესაბამისი ოდენობის საბალანსო თანხის არსებობა.

3. იმ შემთხვევაში, თუ წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია ითვალისწინებს საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის აღმოფხვრას, დეკლარაციის დახურვიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში:

ა) დამსაქმებლის/თვითდასაქმებულის/არასტანდარტული დასაქმებულის მიერ ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანი და მასზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაუბრუნდება დამსაქმებელს/თვითდასაქმებულს/არასტანდარტულ დასაქმებულს საბალანსო თანხის სახით;

ბ) სახელმწიფოს მიერ ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხა, გადაირიცხება სახაზინო ანგარიშზე, ხოლო ასეთ საპენსიო შენატანზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაირიცხება ბიუჯეტის ერთიან სახაზინო ანგარიშზე.

ამავე ბრძანებით ახალი 13² მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ დამსაქმებლის

მიერ შეცდომით მოხდა ისეთი დასაქმებულის დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრიანება, რომელზეც კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად არ ვრცელდება კანონი, სააგენტო უფლებამოსილია, ასეთ მონაწილეს, მისი დამსაქმებლის/მონაწილის მომართვის გარეშე, გაუუქმოს სქემაში მონაწილეობის სტატუსი.

მონაწილისათვის სქემაში მონაწილეობის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია სტატუსის გაუქმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში:

- დამსაქმებლის მიერ ასეთი მონაწილის სასარგებლოდ, სახელით და ხარჯით განხორციელებული საპენსიო შენატანი და მასზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადარიცხოს ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ დამსაქმებლის საბანკო ანგარიშზე ან დამსაქმებლის მიერ დამატებით ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილ მის სხვა საბანკო ანგარიშზე;

- სახელმწიფოს მიერ ასეთი მონაწილის სასარგებლოდ განხორციელებულ საპენსიო შენატანის თანხა გადარიცხოს სახაზინო ანგარიშზე, ხოლო ასეთ საპენსიო შენატანზე დარიცხული სარგებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - ბიუჯეტის ერთიან სახაზინო ანგარიშზე.

- სტატუსის გაუქმებისა და ამ პუნქტის შესაბამისად საპენსიო შენატანების და მათზე დარიცხული სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაბრუნების თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობოს დამსაქმებელს და მონაწილეს.

ასევე, ამ ბრძანებით დაკორექტირდა და განისაზღვრა რამდენიმე ტერმინი:

წლიური მაკორექტირებელი დეკლარაცია - საპენსიო შენატანის დანაკლისით ან ზედმეტად განხორციელების ფაქტის აღმოფხვრის მიზნით საპენსიო სააგენტოს მიერ შემუშავებული საანგარიშგებო ფორმა.

შედარება ან შემოწმება - ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების შემოსავლების სამსახურისაგან მიღებულ ინფორმაციასთან შედარება არაჯეროვანი შესრულების ან/და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის გამოვლენის მიზნით.

არაჯეროვანი შესრულება - საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობა.

(საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“:

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

პუნქტი 4. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

- ა) დამსაქმებლებზე;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებზე;
- გ) საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე;
- დ) აქტივების მმართველი კომპანიების, სპეციალიზებული დეპოზიტარების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა პირების მიერ განხორციელებულ, დაგროვებით საპენსიო სქემასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე).

იხილეთ ასევე:

- 10.02.2025-ის საპენსიო სააგენტოს დირექტორის №018 ბრძანება, „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, წერილობითი ან/და ელექტრონული გაფრთხილების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების, ჯარიმის დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ ამავე პირის 2024 წლის 11 ნოემბრის №015 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

- 07.02.2025-ის მთავრობის №32 დადგენილება, თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

- 07.02.2025-ის ფინანსთა მინისტრის №32 ბრძანება, „სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაციის რეესტრის დამტკიცების შესახებ“ ამავე პირის 2023 წლის 15 თებერვლის №45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მარია ამფრასიძე

იანვარში 4 ბანკი ზარალზე იყო, 14 მოგებაზე გავიდა

ეროვნულ ბანკში წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების თანახმად, 2025 წლის იანვარში 18-დან 14 ბანკი მოგებაზე იყო, 4-მა კი თვე ზარალით დაასრულა.

საქართველოში მოქმედი 18 კომერციული ბანკის ჯამურმა წმინდა მოგებამ იანვარში 238 ლარი შეადგინა, რაც 2024 წლის შედეგთან შედარებით 1%-ით მეტია. ბანკების მიერ სუბ-ისთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებიდან ირკვევა, წმინდა მოგების მხრივ პირველ ადგილზეა „საქართველოს ბანკი“, რომელმაც იანვრის განმავლობაში 126 მილიონი ლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა; მეორე პოზიციას 89 მილიონი ლარით „თიბისი“ იკავებს, მესამეზე კი „ლიბერთი“ 11.4 მილიონი ლარის მოგების მაჩვენებლით.

სტატისტიკის თანახმად, 4 კომერციული ბანკი ზარალზეა, მათ შორის ყველაზე დიდი - 12 მილიონი ლარის ზარალი განიცადა „ვითიბი ბანკმა“, ასევე ზარალზე არიან „სილქ ბანკი“ 1.6 მილიონი ლარით, „პეივბანკი“ 0.1 მილიონი ლარით და „ჰემ ბანკი“ 0.6 მილიონი ლარით.

რუბრიკის სპონსორი -



სპეციალისტის კომენტარი

სპეციალისტის კომენტარი - ამ რუბრიკით ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება პრაქტიკოსი სპეციალისტების კომენტარები სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებისა და სხვადასხვა სიახლეების შესახებ. ჟურნალში გაუკეთდება კომენტარები როგორც ახლად გამოქვეყნებულ ნორმატიულ დოკუმენტებს, ასევე ადრე მიღებულ იმ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც დღეს აქტუალურია.

საქონლის იმპორტის ღრის იმპორტის თანხის (დღგ-ით დასაბეგრი თანხის) განსაზღვრის საკითხი

2026 წლის 1 იანვრიდან, საფურადღებო ცვლილება ამოქმედდება საქართველოს საგადასახადო კოდექსში. კერძოდ, სსკ 309-ე მუხლის 131-ე ნაწილის თანახმად, „ამ კოდექსის 164¹ მუხლის მე-2 ნაწილი და 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ხ“ ქვეპუნქტი გამოიყენება 2026 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული საქონლის იმპორტისას“. ამასთანავე, 2026 წლის 1 იანვრამდე საქონლის იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხა (საქონლის ღირებულება საბაჟო მიზნებისთვის) მოიცავს საქონლის იმპორტიდან გამომდინარე, საქართველოში კუთვნილ იმპორტის გადასახდელს, გარდა დღგ-ისა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 164¹ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით:

1. საქონლის იმპორტისას დასაბეგრი თანხა არის საქონლის ღირებულება საბაჟო მიზნებისთვის.

2. თუ დასაბეგრი თანხა არ მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებს, მასში შეიტანება:

ა) საქონლის იმპორტიდან გამომდინარე, უცხო ქვეყანაში ან/და საქართველოში კუთვნილი გადასახადი, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი, გარდა დღგ-ისა;

ბ) თანმდევი ხარჯები, როგორებიცაა საკომისიო, შეფუთვის, სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯები, რომლებიც გაიწევა საქონლის დანიშნულების პირველ ადგილამდე, აგრეთვე, ხარჯები, რომლებიც გაიწევა საქართველოს ტერიტორიაზე, **დანიშნულების სხვა ადგილზე ტრანსპორტირებისთვის**, თუ ეს სხვა ადგილი ცნობილია საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტში.

შენიშვნა: ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნისთვის დანიშნულების პირველი ადგილი არის ადგილი, რომელიც მითითებულია იმ დოკუმენტში, რომლითაც ხორციელდება საქონლის იმპორტი. ამასთანავე, თუ შესაბამის დოკუმენტში ეს ადგილი მითითებული არ არის, დანიშნულების პირველ ადგილად განიხილება საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ტრანსპორტირების/გადაცემის ადგილი.

3. დასაბეგრი თანხაში არ შეიტანება:
ა) ფასდაკლება წინასწარი გადახდისთვის;
ბ) შემქმნისთვის მინიჭებული და მის მიერ იმპორტის მომენტისთვის მიღებული ფასდაკლება ან სხვა დათმობა.

4. საქართველოს საბაჟო კოდექსის 54-ე მუხლის მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, იმპორტის თანხა განისაზღვრება იმავე ნაწილით იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად, კერძოდ:

ა) საბაჟო საწყობის, შიდა გადაამუშავების, გარე გადაამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მისი შენახვის უზრუნველყოფისთვის ან/და სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ქმედებები ან საქონლის გაყიდვისთვის/ ტრანსპორტირებისთვის მოსამზადებელი ქმედებები, რომლის ნუსხა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“. თუ აღნიშნული, დასაშვები ქმედებების განხორციელების შედეგად იცვლება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის სეს ესნ-ის კოდი, დეკლარანტის მოთხოვნით ამ საქონლისათვის გამოიყენება თავდაპირველი სეს ესნ-ის კოდი;

ბ) თუ საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა შიდა გადაამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადაამუშავების შედეგად მიღებულ გადაამუშავებულ პროდუქტზე, დეკლარანტის მოთხოვნით ეს საბაჟო ვალდებულება განისაზღვრება ამ საქონლის შიდა გადაამუშავების პროცედურაში მოქცევის დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტში, აღნიშნული საქონლის სეს ესნ-ის კოდის, რაოდენობის, სახეობისა და წარმოშობის საფუძველზე.

საქონლის ღირებულება საბაჟო მიზნებისათვის არის საქონლის საბაჟო ღირებულებას დამატებული აღნიშნული

კომპონენტების თანხები. საბაჟო ღირებულება თავის მხრივ განისაზღვრება საქართველოს საბაჟო კოდექსის 37-ე-46-ე მუხლების შესაბამისად.

ამასთან ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს საქართველოს საბაჟო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმას, რომლის მიხედვით „ის ფაქტი, რომ საქონელი გაყიდვის საგანია და დეკლარირებულია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, საკმარისია იმისთვის, რომ ეს საქონელი მიჩნეულ იქნეს საქართველოში საექსპორტოდ გაყიდულად. **თუ საქონლის საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვის შემდეგ განხორციელდა ამ საქონლის გადაყიდვა (მათ შორის, საბაჟო საწყობში), საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება მისი საქართველოში საექსპორტოდ გაყიდვის ფასი“.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნორმის ინტერპრეტაციის საილუსტრაციოდ მოგვყავს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემდეგი მაგალითები.

მაგალითი №1

A-სა და B-ს შორის საქონლის გაყიდვა ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შეტანამდე. B წარადგენს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დეკლარაციას.

შედეგი

ვინაიდან საქონლის მხოლოდ ერთი გაყიდვა ხდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შეტანამდე, გაყიდვის ეს ღირებულება წარმოადგენს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველს.

მაგალითი №2

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შეტანამდე ხდება ამ საქონლის ორჯერ გაყიდვა: გაყიდვა A-სა და B-ს შორის, ასევე გაყიდვა B-სა და C-ს შორის. C წარადგენს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დეკლარაციას.

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ბოლო გაყიდვის ღირებულება. შესაბამისად იგი წარმოადგენს გაყიდვის ღირებულებას B-სა და C-ს შორის.

მაგალითი №3

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შეტანამდე ხდება ამ საქონლის ორჯერ გაყიდვა: გაყიდვა A-სა და B-ს შორის და გაყიდვა B-სა და C-ს შორის, ხოლო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შეტანის შემდეგ საბაჟო საწყობში ხდება ამ საქონლის მესამედ გაყიდვა C-სა და D-ს შორის. D წარადგენს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დეკლარაციას.

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ბოლო გაყიდვის ღირებულება. შესაბამისად იგი წარმოადგენს გაყიდვის ღირებულებას B-სა და C-ს შორის.

P.S.

თუმცა, გარიგების ღირებულების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმპორტიორის (D) ხელმისაწვდომობაზე ინვოისზე, რომელიც ეხება B და C-ს შორის დადებულ გაყიდვის ტრანზაქციას. როდესაც იმპორტიორს არ აქვს წვდომა ამ ინვოისზე, ტრანზაქციის ღირებულების (გარიგების ფასის) მეთოდი არ გამოიყენება. შესაბამისად, საბაჟო ღირებულება უნდა განისაზღვროს შემდგომი მეთოდების შესაბამისად.

მაგალითი №4

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შეტანამდე ხდება ამ საქონლის ერთხელ გაყიდვა A-სა და B-ს შორის. A პირდაპირ აწვდის საქონელს B-ს საქართველოში. საქონელს ათავსებს საბაჟო საწყობში. საწყობში B საქონელს ჰყიდის C-ზე, ხოლო C თავის მხრივ – D-ზე. D წარადგენს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დეკლარაციას.

შედეგი

მოცემულ შემთხვევაში საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძველად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ბოლო გაყიდვის ღირებულება. შესაბამისად იგი წარმოადგენს გაყიდვის ღირებულებას A-სა და B-ს შორის.

P.S.

თუმცა, გარიგების ღირებულების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმპორტიორის (D) ხელმისაწვდომობაზე ინვოისზე, რომელიც ეხება A და B-ს შორის დადებულ გაყიდვის ტრანზაქციას. როდესაც იმპორტიორს არ აქვს წვდომა ამ ინვოისზე, ტრანზაქციის ღირებულების (გარიგების ფასის) მეთოდი არ გამოიყენება. შესაბამისად, საბაჟო ღირებულება უნდა განისაზღვროს შემდგომი მეთოდების შესაბამისად.

მაგალითი №5

საქართველოში არსებული მომხმარებელი პირი (D) უკვეთს ასევე საქართველოში არსებულ პირს (C) საქონელს, რომელიც ამ საქონელს უკვეთს ასევე საქართველოში არსებულ პირს (B). ეს უკანასკნელი ამ საქონელს უკვეთს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ არსებულ პირს (A). ეს უკანასკნელი ახორციელებს შეკვეთილი საქონლის მიწოდებას უცხოეთიდან B-სადმი. თავის მხრივ, B საბაჟო საწყობში აწვდის საქონელს C-ს, ხოლო ეს უკანასკნელი – საბოლოო მომხმარებელს (D). D წარადგენს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დეკლარაციას.

შედეგი

საქართველოში საქონლის იმპორტის დროს საქონლის საბაჟო ღირებულების საფუძველად გამოყენებულ უნდა იქნას A-სა და B-ს შორის გარიგების ფასი, რომელიც არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შეტანამდე გაყიდვის ფასი.

P.S.

თუმცა, გარიგების ღირებულების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმპორტიორის (D) ხელმისაწვდომობაზე ინვოისზე, რომელიც ეხება A

და B-ს შორის დადებულ გაყიდვის ტრანზაქციას. როდესაც იმპორტიორს არ აქვს წვდომა ამ ინვოისზე, ტრანზაქციის ღირებულების (გარიგების ფასის) მეთოდი არ გამოიყენება. შესაბამისად, საბაჟო ღირებულება უნდა განისაზღვროს შემდგომი მეთოდების შესაბამისად.

მაგალითი №6

A-ს შემოაქვს საქონელი საქართველოში (ყიდვა-გაყიდვის გარეშე) და ათავსებს საბაჟო საწყობში. საბაჟო საწყობში საქონელს A ჰყიდის B-ზე, ხოლო B წარადგენს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დეკლარაციას.

შედეგი

ვინაიდან, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას არ არსებობს ამ საქონლის ყიდვა-გაყიდვა, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად გამოყენებულ უნდა იქნას საბაჟო საწყობში პირველი გაყიდვის ღირებულება ანუ A-სა და B-ს შორის გარიგების ფასი.

მაგალითი №7

A-ს შემოაქვს საქონელი საქართველოში (ყიდვა-გაყიდვის გარეშე) და ათავსებს საბაჟო საწყობში. საბაჟო საწყობში საქონელს A ჰყიდის B-ზე, B ჰყიდის C-ზე, ხოლო C წარადგენს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დეკლარაციას.

შედეგი

ვინაიდან, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას არ არსებობს ამ საქონლის ყიდვა-გაყიდვა, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად გამოყენებულ უნდა იქნას საბაჟო საწყობში პირველი გაყიდვის ღირებულება ანუ A-სა და B-ს შორის გარიგების ფასი.

P.S.

თუმცა, გარიგების ღირებულების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმპორტიორის (C) ხელმისაწვდომობაზე ინვოისზე, რომელიც ეხება A და B-ს შორის დადებულ გაყიდვის ტრანზაქციას. როდესაც იმპორტიორს არ აქვს წვდომა ამ ინვოისზე, ტრანზაქციის ღირებულების (გარიგების ფასის) მეთოდი არ გამოიყენება. შესაბამისად, საბაჟო ღირებულება უნდა განისაზღვროს შემდგომი მეთოდების შესაბამისად.

იმპორტის თანხის შემდგომი კომპონენტები არის საქონლის იმპორტიდან გამოძღინარე, უცხო ქვეყანაში ან/და საქართველოში კუთვნილი გადასახადი, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი, გარდა დღგ-ისა.

ა) უცხო ქვეყანაში კუთვნილი გადასახადი, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი არის ყველა ის გადასახდელი, რომელიც ექსპორტიორის მიერ დოკუმენტურად გადახდილია/გადასახდელია ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით და არ შეიტანება საქონლის საბაჟო ღირებულებაში და ამ გადასახდელების თანხა შედის რეალურად გადახდილ ან გადასახდელ გარიგების ფასში და არ ექვემდებარება იმპორტიორისათვის დაბრუნებას;

ბ) „ა“ პუნქტში მითითებული გადასახდელების

თანხა მოიცავს ექსპორტიორ ქვეყანაში გადახდილ/ გადასახდელ არაპირდაპირი გადასახადების(იმპორტის გადასახადი, აქციზი ან სხვა ფორმით დაწესებული გადასახადი, გარდა დღგ-ისა) თანხას. ამ შემთხვევაში ეს თანხა ნიშნავს ექსპორტიორის მიერ, ექსპორტისას/ რეექსპორტისას გადახდილ/გადასახდელ გადასახადის თანხას. თუ აღნიშნული თანხა გადაკისრებულ იქნება ექსპორტიორის მიერ იმპორტიორზე და შემდგომ მოხდება მისი დაბრუნება იმპორტიორისადმი, მაშინ გადასახადის ეს თანხა არ შევა იმპორტის დასაბეგრ თანხაში;

გ) საქართველოში კუთვნილი გადასახადი, მოსაკრებელი, საფასური ან სხვა გადასახდელი არის ყველა ის გადასახდელი, რომელიც იმპორტიორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით არის გადასახდელი ამ საქონლის იმპორტთან დაკავშირებით და შედის იმპორტის დასაბეგრ თანხაში. ამასთან, იმპორტის დროს დასარიცხი დღგ-ის თანხა არ შედის საქონლის იმპორტის დასაბეგრ თანხაში. შესაბამისად, თუ საქონლის იმპორტი იბეგრება იმპორტის გადასახადით ან აქციზით, მაშინ ამ გადასახადების შესაბამისი თანხები შედის იმპორტის დროს დღგ-ით დასაბეგრ თანხაში. თუ საქონლის იმპორტის დროს გადასახდელია საფასურები „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების გაწვევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად, მაშინ ეს საფასურები შედის იმპორტის დროს დღგ-ით დასაბეგრ თანხაში. მაგალითად, სეს ესნ-ის 7214 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებული არმატურის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაფორმების საფასური (გარდა არმატურაზე გაცემული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ის ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევისა) 1 ტონაზე შეადგენს 420 ლარს. აღნიშნული საფასური შედის იმპორტის თანხაში;

დ) „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სპეციალური ანტიდემპინგური ტარიფი განიხილება ამ მეთოდური მითითების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტად და შეიტანება იმპორტის დასაბეგრ თანხაში. ამასთან, თუ წინასწარი ანტიდემპინგური ტარიფის შესაბამისი თანხები მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში, მაშინ უნდა განხორციელდეს ამ თანხების ასახვა იმპორტის საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე იმპორტის თანხაში.

იმპორტის თანხის შემდგომი ბოლო კომპონენტები არის საქონლის იმპორტის დროს თანმდევი ხარჯები, როგორებიცაა საკომისიო, შეფუთვის, სატრანსპორტო და სადაზღვევო ხარჯები

ა) საკომისიო ხარჯები არის იმპორტიორის მიერ შესაფასებელი საქონლის ყიდვისას მისი წარმომადგენლისთვის გადახდილი ან გადასახდელი

ნებისმიერი ანაზღაურება. აქ აღსანიშნავია ის, რომ საქონლის საბაჟო ღირებულება მოიცავს, მხოლოდ გამყიდველის (ექსპორტიორის) მიერ თავისი წარმომადგენლისათვის გადახდილ საკომისიოს, ხოლო მყიდველის (იმპორტიორის) მიერ თავისი წარმომადგენლისთვის გადახდილი ყიდვის საკომისიო არ შედის საბაჟო ღირებულებაში (რამდენადაც შიდა ხარჯად ითვლება). ამდენად ეს უკანასკნელი უნდა შევიდეს საქონლის იმპორტის თანხაში.

ბ) შეფუთვის ხარჯები არის საქონლის შეფუთვის ღირებულება, გაწეული შრომისა და შესაფუთი მასალების ჩათვლით.

გ) სატრანსპორტო ხარჯები არის საქონლის გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა. ამასთანავე, ასეთ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებას განეკუთვნება:

გ.ა) გადაზიდვისას ტვირთის ან/და სატრანსპორტო და გადაზიდვის საშუალების გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე აეროპორტის, ნავსადგურის, სარკინიგზო ან საავტომობილო სადგურის/ვაგზლის მიერ გაწეული მომსახურება;

გ.ბ) აერო- ან საზღვაო სანავიგაციო, სადისპეტჩერო ან/და საინფორმაციო მომსახურება;

გ.გ) საექსპედიტორო მომსახურება;

გ.დ) ტვირთის დოკუმენტაციის მომზადების, ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისთვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;

გ.ე) ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება;

დ) სადაზღვევო ხარჯები არის საქართველოს კანონმდებლობით საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ხარჯები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატრანსპორტო მომსახურების ხარჯები, რომელიც იმპორტის თანხის კომპონენტია, თავისუფლდება დღგ-საგან. კერძოდ:

– საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 131-ე ნაწილის მიხედვით ამავე კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ხ“ ქვეპუნქტი გამოიყენება 2026 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული საქონლის იმპორტისას. აღნიშნულ „ხ“ ქვეპუნქტს შემდეგი ფორმულირება აქვს: დღგ-საგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია „იმპორტირებულ საქონელთან დაკავშირებით გაწეული მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულებას მოიცავს ამ კოდექსის 164¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული დასაბეგრი თანხა“;

– მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით დღგ-საგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია:

„ვ) საქონლის იმპორტის, საბაჟო საწყობის, დროებითი შემოტანის, შიდა გადაამუშავების ან თავისუფალი ზონის

პროცედურაში მოქცევამდე საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე პუნქტებს შორის საქონლის გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული, ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, გარდა ტვირთის შენახვის მომსახურებისა;

ზ) საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანამდე იმპორტის, საბაჟო საწყობის, დროებითი შემოტანის, შიდა გადაამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრიდან საბაჟო დეკლარაციაში მითითებულ დანიშნულების პუნქტამდე გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული, ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, გარდა ტვირთის შენახვის მომსახურებისა“.

გადაზიდვასთან დაკავშირებული ტვირთის შენახვის მომსახურება, მოქმედი კანონმდებლობით იბეგრება დღგ-ით. იმპორტის თანხის ახალი რეგულაციის დროს იგი არ უნდა შევიდეს იმპორტის თანხაში, თუ არ იქნება გათავისუფლებული დღგ-საგან, რამდენადაც გამოიწვევს ერთი და იგივე დასაბეგრი თანხის ორმაგ დაბეგრებას.

ზემოაღნიშნული თანმდევი ხარჯები (საკომისიო, შეფუთვის, სატრანსპორტო, სადაზღვევო ხარჯები) საქონლის იმპორტისას დასაბეგრი თანხაში უნდა შევიდეს მხოლოდ შემდეგი დანიშნულების ადგილამდე გაწევის შემთხვევაში:

ა) საქონლის დანიშნულების პირველ ადგილამდე;

ბ) საქართველოს ტერიტორიაზე დანიშნულების სხვა ადგილამდე.

საქონლის დანიშნულების პირველ ადგილად ითვლება შესაბამის სატრანსპორტო დოკუმენტში მითითებული დანიშნულების ადგილი, სადაც ხორციელდება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში მოქცევა. ასეთი დოკუმენტები შეიძლება იყოს გადაზიდვის დოკუმენტები (საავტომობილო ზედღებულები, ავია ზედღებულები, კონოსამენტი, სარკინიგზო ზედღებულები, ხელშეკრულება), ინვოისი და სხვა.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული დანიშნულების ადგილი მითითებული არ არის, მაშინ დანიშნულების პირველ ადგილად ითვლება საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ტრანსპორტირების/გადაცემის ადგილი. მაგ. საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სარფიდან“ საქონელი შემოვიდა დოკუმენტით, სადაც მითითებული არ არის დანიშნულების ადგილი. ამ შემთხვევაში დანიშნულების პირველ ადგილად ჩაითვლება საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი“.

საქართველოს ტერიტორიაზე დანიშნულების სხვა ადგილად ითვლება ადგილი, რომელიც ცნობილია საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტში. მაგ. საქონელი შემოვიდა კონოსამენტით, რომელშიც დანიშნულების ადგილად მითითებულია ფოთის პორტი, ხოლო:

ა) ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ხორციელდება სხვა ადგილზე – თბილისის გეზ-ში, სადაც წარედგინება საბაჟო დეკლარაცია და წარმოიშობა

შესაბამისი საგადასახადო ვალდებულება; ან

ბ) ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ხორციელდება ფოთის გეზ-ში, სადაც წარედგინება საბაჟო დეკლარაცია (მათ შორის, წინასწარი საბაჟო დეკლარაცია) და წარმოიშობა შესაბამისი საგადასახადო ვალდებულება, ხოლო საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილი არის თბილისი, ან წინასწარ წარდგენილი დეკლარაცია რისკის დერეფნის მიხედვით მოითხოვს თბილისის გეზ-ში საბაჟო კონტროლს.

თუ დანიშნულების ადგილი (რომელიც განისაზღვრება შესაბამისი სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტით) არ ემთხვევა საქართველოს საბაჟო საზღვარზე განლაგებულ დანიშნულების საბაჟო ორგანოს, მაშინ საბაჟო საზღვრიდან ამ ადგილამდე გაწეული კანონმდებლობით დადგენილი თანმდევი ხარჯები შედის იმპორტის დროს დღგ-ით დასაბეგრ თანხაში. ამ შემთხვევაში, ხარჯების ოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით, ყურადღება უნდა მიექცეს მიწოდების ინკოტერმის პირობებს. თუ მიწოდება ხდება დანიშნულების ადგილამდე პირობით და ინვოისში საბაჟო საზღვრიდან დანიშნულების ადგილამდე თანმდევი ხარჯები გამოყოფილი არ არის ან თუ გამოყოფილია, მაშინ შესაბამისად გამოყოფილი თანხები უნდა შევიდეს იმპორტის თანხაში ცალკე კომპონენტის სახით, ხოლო თანხების განუცალკევებლობის დროს – ეს თანხები უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში და აქედან ავტომატურად მოხვდება იმპორტის თანხაში.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ ინსტრუქციის“ 112-ე მუხლის 49-ე პუნქტის მიხედვით: „სატრანსპორტო და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა, რომლის ღირებულება შეიტანება საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ საქონლის საბაჟო ღირებულებაში, განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „კ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციების ნაწილად და ექვემდებარება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას“. მაგალითად, დანიშნულების ადგილამდე საქონლის მიწოდების დროს (ინკოტერმის DAP ან DDP), თუ ინვოისში შიდა ტრანსპორტირების თანხა გამოყოფილი არ არის – ის შევა საბაჟო ღირებულებაში და სატრანსპორტო მომსახურება, როგორც ასეთი დღგ-ით არ დაიბეგრება.

იმპორტის თანხის განსაზღვრის მაგალითები

(განაკვეთები, ვალუტის კურსი და სხვა მონაცემები პირობითია)

მაგალითი №1

პირი ახორციელებს 100 ლიტრი ტეკილას შემოტანას გემით ფოთის პორტიდან (CIF-ფოთი მიწოდების პირობით), რომელზეც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია წარედგინება თბილისში (გეზ-ში).

საქონლის საბაჟო ღირებულება შეადგენს 10 000 ლარს; იმპორტის გადასახადი შეადგენს 1.5 euro/%vol/HL; აქციზი შეადგენს 1 ლიტრ სუფთა სპირტზე 22,5 ლარს; ფოთიდან თბილისამდე გადაზიდვა, რომელიც არ შედის საბაჟო ღირებულებაში შეადგენს 500 ლარს; ევროს კურსი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის შეადგენს 3,5 ლარს; ტეკილაში სპირტის შემცველობა შეადგენს 40%-ს. ამ შემთხვევაში:

- ა) საბაჟო ღირებულება არის 10 000 ლარი;
- ბ) იმპორტის გადასახადი – 210 ლარი;
- გ) აქციზი – 3 150 ლარი;
- დ) მომსახურების (გადაზიდვის) ღირებულება – 500 ლარი.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 13 860 ლარი.

მაგალითი №2

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც პირველ მაგალითში. ამასთან, ექსპორტიორ ქვეყანაში კანონმდებლობით დადგენილია ამ საქონლის ექსპორტის დროს 100 ევროს (300 ლარის) აქციზის გადახდა, რაც არ უბრუნდება ექსპორტიორს და მას ანაზღაურებს იმპორტიორი. აღნიშნული გადასახადის გადახდა დასტურდება დოკუმენტურად.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 14 160 ლარი.

მაგალითი №3

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც მეორე მაგალითში. ამასთან, იმპორტიორის მიერ ანაზღაურებული აქციზის თანხა უბრუნდება იმპორტიორს.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 13 860 ლარი.

მაგალითი №4

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც მესამე მაგალითში. ამასთან, იმპორტიორს შემოსავლების სამსახურისაგან ამ საქონლის იმპორტის განხორციელებამდე ამ საქონლის სეს ეს-ის განსაზღვრაზე მიღებული აქვს წინასწარი გადაწყვეტილება, რომელზეც გადახდილია 500 ლარი.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 14 360 ლარი.

იმ შემთხვევაში, თუ ამ საქონელზე ერთდროულად იქნებოდა ორი წინასწარი გადაწყვეტილება მიღებული სეს ეს-ნის და საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის თაობაზე, რომელთა საფასური შეადგენს შესაბამისად 500-500 ლარს, მაშინ, სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 14 860.

მაგალითი №5

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც მესამე მაგალითში. ამასთან, საბაჟო გაფორმების საფასური ერთ დეკლარაციაზე გადახდილია/გადასახდელია 300 ლარის ოდენობით.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 14 160 ლარი.

მაგალითი №6

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც მეხუთე

მაგალითში. ამასთან, საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციამდე გეზ-ის ტერიტორიაზე განხორციელდა იმპორტიორის მოთხოვნით საქონლის გადატვირთვა მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე და გადახდილია/ გადასახდელია საფასური 25 ლარის ოდენობით.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 14 185 ლარი.

მაგალითი №7

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც მეხუთე მაგალითში, იმ განსხვავებით, რომ საქონლის საბოლოო დანიშნულების ადგილი არის თელავი. ამასთან, საქონლის გაშვების შემდეგ გეზ-ის ტერიტორიაზე განხორციელდა იმპორტიორის მოთხოვნით საქონლის გადატვირთვა მეორე სატრანსპორტო საშუალებაზე და გადახდილია/ გადასახდელია საფასური 25 ლარის ოდენობით. ამასთან, გადატვირთვის საფასურის დოკუმენტი დეკლარაციის წარდგენისათვის წინასწარ ცნობილია.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 14 185 ლარი.

მაგალითი №8

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც მეხუთე მაგალითში. ამასთან, იმპორტიორის მოთხოვნით საბაჟო ორგანოს ექსპერტმა დაადგინა საქონლის სეს ესნ-ის კოდი და გადახდილია/ გადასახდელია საფასური 15 ლარის ოდენობით.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 14 175 ლარი.

მაგალითი №9

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც მერვე მაგალითში. ამასთან, დეკლარირებისას ცნობილია, რომ იმპორტიორმა ამ საქონლის ყიდვისას თავის წარმომადგენელს გადაუხადა 300 ლარი.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 14 475 ლარი.

მაგალითი №10

პირი ახორციელებს 100 ლიტრი ტეკილას შემოტანას გემით ფოთის პორტიდან (DDP-თბილისი მიწოდების პირობით), რომელზეც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია წარედგინება თბილისში (გეზ-ში). საქონლის საინვოისო ღირებულება შეადგენს 10 000 ლარს, რომელშიც ცალკეა ნაჩვენები ფოთიდან თბილისში საქონლის გადაზიდვის ხარჯები – 400 ლარის ოდენობით; იმპორტის გადასახადი შეადგენს 1.5 euro/%vol/HL; აქციზი შეადგენს 1 ლიტრ სუფთა სპირტზე 22,5 ლარს; ევროს კურსი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის შეადგენს 3,5 ლარს; ტეკილაში სპირტის შემცველობა შეადგენს 40%-ს. ამ შემთხვევაში:

- ა) საბაჟო ღირებულება არის 9600 ლარი;
- ბ) იმპორტის გადასახადი – 210 ლარი;
- გ) აქციზი – 3 150 ლარი;
- დ) მომსახურების (გადაზიდვის) ღირებულება – 400 ლარი.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 13 360 ლარი.

ლარი.

მაგალითი №11

პირი ახორციელებს 100 ლიტრი ტეკილას შემოტანას გემით ფოთის პორტიდან (DDP-თელავი მიწოდების პირობით), რომელზეც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია წარედგინება წინასწარ ფოთის პორტში. საქონლის საინვოისო ღირებულება შეადგენს 10 000 ლარს, რომელშიც ცალკეა ნაჩვენები ფოთიდან თელავში საქონლის გადაზიდვის ხარჯები – 400 ლარის ოდენობით; იმპორტის გადასახადი შეადგენს 1.5 euro/%vol/HL; აქციზი შეადგენს 1 ლიტრ სუფთა სპირტზე 22,5 ლარს; ევროს კურსი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის შეადგენს 3,5 ლარს; ტეკილაში სპირტის შემცველობა შეადგენს 40%-ს. ამ შემთხვევაში:

- ა) საბაჟო ღირებულება არის 9600 ლარი;
- ბ) იმპორტის გადასახადი – 210 ლარი;
- გ) აქციზი – 3 150 ლარი;
- დ) მომსახურების(გადაზიდვის) ღირებულება – 400 ლარი.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 13 360 ლარი.

მაგალითი №12

პირი ახორციელებს 100 ლიტრი ტეკილას შემოტანას გემით ფოთის პორტიდან, რომლის დანიშნულების ადგილი არის თელავი, რომელზეც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია წარედგინება წინასწარ ფოთის პორტში. საქონლის საინვოისო ღირებულება შეადგენს 10 000 ლარს CIF-ფოთის პირობით. ფოთიდან თელავამდე გადაზიდვის ხარჯების დოკუმენტები წარდგენილია საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ, ამ დეკლარაციის შემოწმებამდე, რომელშიც გადაზიდვის ღირებულება შეადგენს 400 ლარს; იმპორტის გადასახადი შეადგენს 1.5 euro/%vol/HL; აქციზი შეადგენს 1 ლიტრ სუფთა სპირტზე 22,5 ლარს; ევროს კურსი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის შეადგენს 3,5 ლარს; ტეკილაში სპირტის შემცველობა შეადგენს 40%-ს. ამ შემთხვევაში:

- ა) საბაჟო ღირებულება არის 9600 ლარი;
- ბ) იმპორტის გადასახადი – 210 ლარი;
- გ) აქციზი – 3 150 ლარი;
- დ) მომსახურების(გადაზიდვის) ღირებულება – 400 ლარი.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის – 13 360 ლარი.

მაგალითი №13

ფაქტობრივი გარემოება იგივეა, რაც პირველ მაგალითში. ამასთან, საქონელი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე მოექცა საბაჟო საწყობის პროცედურაში, სადაც საქონლის შენახვის ხარჯებმა შეადგინა 1 000 ლარი.

სულ იმპორტის დასაბეგრი თანხა არის 13 860 ლარი.

**გონერ ურიდია
პროფესორი**

სტუმარი

სტუმარი – ამ რუბრიკის მეშვეობით ჩვენი ჟურნალი გაგაცნობთ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში) მონაწილე პიროვნებებს.

ინტერვიუ შპს „ეკონის საქართველო“-ს პარტნიორ და დირექტორ ირაკლი სირაძესთან

ირაკლი სირაძე – დაიბადა 17.10.1971 წ.
ქ. თბილისში.

ბანათლება:

1989-1994 წლები – მატერიალური რესურსების მართვა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

2020 წლიდან – საგადასახადო-საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საგაჯრო-სამრეწველო პალატა;

2013 წლიდან – დამფუძნებელი, მმართველი პარტნიორი, შპს „ეკონის საქართველო“;

2014-2018 წლები – საქსტატის საბჭოს წევრი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

2010-2012 წლები – მთავარი მენეჯერი, შპს „გუტიდე დამენია ჩანტლაძე სოლუმენს“;

2010 წელი – მონაწილეობა მიიღო საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის შემუშავების პროექტში;

2010 წელი – მინისტრის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

2007-2010 წლები – შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე, სსიპ შემოსავლების სამსახური;

2006-2007 წლები – სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

2005-2006 წლები – ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

2004-2005 წლები – საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

2004 წელი – სახაზინო სამსახურის აღრიცხვა-ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

2002-2003 წლები – საფინანსო-ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს კულტურის სამინისტრო;

2000-2002 წლები – ანალიზის, პროგნოზირების და საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი, წამყვანი სპეციალისტი, განყოფილების უფროსი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო;

1995-2000 წლები – ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებთან მუშაობის დეპარტამენტი, უფროსი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, კონსულტანტი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.



- ბატონო ირაკლი, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. სანამ პროფესიულ კითხვებზე გადავალთ, მოგვიყვით თქვენ შესახებ.

- დავიწყებ სკოლის ასაკიდან. გლდანში 173-ე სკოლა დავამთავრე, სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელე. 1994 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ფინანსთა სამინისტროში დავიწყე მუშაობა, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებთან მუშაობის დეპარტამენტში. ამ უწყებაში 5 წელი დავყავი და შემდეგ შემოსავლების სამინისტროში გადავედი. ეს იყო ჩემი პირველი შეხება გადასახადებთან. შემოსავლების სამინისტროს ლიკვიდაციის შემდეგ, ისევ ფინანსთა სამინისტროში დავბრუნდი. 2004 წლიდან საგადასახადო რეფორმების პროცესში აქტიურად ვიყავი ჩართული. ფინანსთა სამინისტროში 2011 წლამდე ვიმუშავე.

2013 წელს მე და ჩემმა პარტნიორმა, გიორგი კვარცხელიძემ კომპანია დავაფუძნეთ. დასაწყისში მუშაობა საგადასახადო მიმართულების განვითარებით დავიწყეთ, ვინაიდან ყველაზე მეტი გამოცდილება ამ კუთხით გვქონდა. შემდეგ სხვა მიმართულებებიც დავამატეთ – აუდიტი, ბუღალტრული აღრიცხვა, ბიზნესსამართალი და სხვა. 2020 წელს გავხდით საერთაშორისო ქსელის ECOVIS International-ის წევრი და პარტნიორი. უკვე გვაქვს ყველა ის სერვისი, რაც აუდიტორულ კომპანიას უნდა ჰქონდეს.

- თქვენი სპეციალობაა მატერიალური რესურსების მართვა, თუმცა როგორც აღნიშნეთ, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ფინანსთა სამინისტროში ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებთან მუშაობის დეპარტამენტში დასაქმდით. როგორ მოხვდით სამინისტროში?

- პირდაპირ ჩემი მიმართულება არ იყო, მაგრამ სამინისტროში კადრებს ეკონომიკის სპეციალობით ეძებდნენ. ეკონომიკის სპეციალობა აკმაყოფილებდა იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც მათ სჭირდებოდათ. გასაუბრება გავიარე, მცირე პერიოდი ვიყავი სტაჟიორი, შემდეგ ვმუშაობდი სხვადასხვა პოზიციაზე.

- თუ შეიძლება გაიხსენოთ, მაშინ სამინისტროსთვის ყველაზე დიდი გამოწვევა რა იყო, როგორ მუშაობდით, გადასახადების აკრეფა როგორ ხდებოდა? 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლების დასაწყისში ფინანსთა სამინისტროს ხსენებაზე, მე ბიუჯეტის სეკვესტრები, „პარიზის კლუბში“ საგარეო ვალების რესტრუქტურისაციაზე მოლაპარაკებები მახსენდება...

- ეს იყო ყველაზე რთული პერიოდი. საერთოდ, სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემა მაშინ ყალიბდებოდა, სავალუტო ფონდისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით. მუშაობა რომ დავიწყე, საერთოდ კუბონი იყო მიმოქცევაში, ლარზე გადასვლა მერე მოხდა. ასევე გამოწვევები იყო კადრების კუთხითაც, მაშინ ყალიბდებოდა სისტემები. ძველ კადრებს ახალ სისტემებთან ადაპტირებისთვის გადამზადება სჭირდებოდა. მანამდე, ერთი საგადასახადო-ფინანსური სამსახური იყო, აბსოლუტურად განსხვავებული სისტემით.

რაც შეეხება გადასახადების აკრეფას, საგადასახადო კოდექსი 1998 წლიდან ამოქმედდა, მანამდე ეს სისტემა სხვადასხვა ბრძანებულებებით რეგულირდებოდა. გადასახადების აკრეფა საკმაოდ პრობლემური იყო. იმ პერიოდში, ბევრი სხვადასხვა გადასახადი არსებობდა, მართლაც თვითმმართველობას 6 გადასახადი ჰქონდა. გადახდის კულტურა არ არსებობდა და ეტაპობრივად ყალიბდებოდა. ამიტომ 1998 წელს, პირველი საგადასახადო კოდექსის ამოქმედება მნიშვნელოვანი სიახლე იყო. შემდეგ, 2000 წელს შემოსავლების სამინისტროში განხორციელდა საგადასახადო სისტემის რეფორმა, რომლის ფარგლებში მოხდა საგადასახადო სტრუქტურების გამსხვილება და რეგიონული საგადასახადო ორგანოების ჩამოყალიბება.

- სახელმწიფო სამსახურში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდით, რომელი მათგანი მიგაჩნიათ თქვენთვის ყველაზე მეტად წარმატებულად და ნაყოფიერად?

- გარკვეული პერიოდი სამინისტროში ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვიყავი, შემდეგ შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე. ამ ორ სტრუქტურაში მუშაობის პერიოდს გამოვყოფ. 2005 წლიდან ახალი კოდექსი ამოქმედდა, განსხვავებული საგადასახადო პოლიტიკა ყალიბდებოდა, ახალი ადმინისტრირება, ახალი მეთოდოლოგია იყო მოსარგები ახალ შეცვლილ საგადასახადო კანონმდებლობაზე ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე ვიდექით. უამრავი საკითხი იყო, რომელიც გადაჭრას საჭიროებდა გადაწყვეტას და შესაბამის განმარტებებს გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის ნაწილში.

შემოსავლების სამსახურში შექმნის დღიდან სამი სტრუქტურა გაერთიანდა: საგადასახადო, საბაჟო დეპარტამენტები და ფინანსური პოლიცია, საკმაოდ სპეციფიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდა. ასევე გამოწვევები იყო სიახლეების დანერგვა – ელექტრონული დეკლარირება, რისკების მართვის სისტემები საბაჟოზე. ზოგადად, შემოსავლების სამსახურში საბაჟოს მიმართულებით საკმაოდ სერიოზული ცვლილებები იყო. დაიწყო ელექტრონულად მონაცემთა

გაცვლა ბანკებთან, საჯარო რეესტრთან. ეს ყველაფერი ძალიან მოკლე პერიოდში და სწრაფი ტემპით კეთდებოდა. ყამირივით იყო, როდესაც რაღაც პირველად იქმნება, კიდევ უფრო რთულია კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა. ასე ხომ არ ხდება – მოდი ახლა ელექტრონულ დეკლარირებაზე გადავიდეთ და მორჩა. ბევრი რაღაც უნდა დაიხვეწოს, ინტეგრირდეს. ყველა სისტემა მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს და ასე შემდეგ.

ელექტრონული დეკლარირების შემოღებამ საგადასახადო ინფორმაციის დამუშავება ერთიან სისტემაში მოაქცია. ელექტრონულ დეკლარირების დანერგვის პარალელურად მოხდა ყველა გადასახადის დეკლარაციის გადახედვა და მათში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამარტივების მიმართულებით. შემდეგ ელექტრონულ დეკლარირებას მოჰყვა ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურები, შემდეგ – ელექტრონული ზედნაღებები. გაციფრულების უმნიშვნელოვანესი პროცესები მიდიოდა. თავიდან ამ პროცესს ყველა სკეპტიკურად უყურებდა. გადამხდლების მხრიდან უნდობლობა იყო. ამბობდნენ, დეკლარაცია კი ჩავაბარე, მაგრამ შემდეგ მას ვინ დაადასტურებსო. ამიტომ საჭირო გახდა მესამე პირის ჩართვა, დადასტურების შესახებ გადამხდლებთან იგზავნებოდა „ესემეს“-ები. კიდევ სხვა ძალიან ბევრი დეტალი იყო. ამიტომ, ამ კითხვაზე ცალსახად შემიძლია გიპასუხოთ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ჩემი მუშაობის წლებიდან ეს იყო ყველაზე საინტერესო და წარმატებული პერიოდი.

- 2010 წელს თქვენ, ასევე მონაწილეობდით ახალი საგადასახადო კოდექსის შექმნაში. მისი მიღების შემდეგ ამ კოდექსმა ბევრი ცვლილება განიცადა. თქვენი შეფასებით, არსებული საგადასახადო კოდექსი უპასუხებს თუ არა თანამედროვე ცნობების გამოწვევებს და მასში რას სახის ცვლილებებს შეიტანდით? ასევე საინტერესოა თქვენი შეფასება მოგების გადასახადით დაბეგვრის „ესტონურ მოდელთან“ დაკავშირებით.

– დიახ, საგადასახადო კოდექსში ძალიან ბევრი ცვლილება შევიდა, გარდამავალი დებულებების ნაწილები 100-ს გასცდა, ასევე მას „ესტონური მოდელი“ დაემატა და სისტემურადაც კოდექსი თავიდან უნდა ფორმირდეს. მოგების გადასახადში გადამხდელთა ნაწილი „ესტონურ მოდელზე“, ნაწილი სპეციალური წესით იბეგრება, ნაწილი დაბეგვრის ძველ მოდელზე დარჩა, მაგალითად – ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. 2021 წლიდან საერთოდ შეიცვალა დამატებული ღირებულების გადასახადის კარი. საბაჟო ნაწილი მთლიანად ამოვიდა კოდექსიდან. ვფიქრობ, ამ ყველაფრის ფონზე განყენებულად და უცვლელადაა ქონების გადასახადი, რომელიც ასევე შესაცვლელია. აღნიშნულ საკითხზე ფინანსთა სამინისტროშიც ფიქრობენ. გარდამავალ დებულებებში ძალიან ბევრი რაღაც ემატება და ეს ყველაფერი გაფანტულია, კოდექსი უფრო მეტად სისტემატიზებული უნდა გახდეს. ამდენი ცვლილებების ფონზე საგადასახადო კოდექსი საკმაოდ რთულად წაკითხვადი დოკუმენტი გახდა და ვფიქრობ დღის წესრიგშია ახალი საგადასახადო კოდექსის შემუშავება.

რაც შეეხება „ესტონურ მოდელს“, მას ჩვენ კი ვეძახით ესტონურს, მაგრამ იგი ესტონეთში არსებულ დაბეგვრის მოდელთან თანხვედრაში არ არის. ბევრი ნიუანსია, რაც დახვეწას საჭიროებს.

- კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– გადასახადებისაგან განთავისუფლებების და შეღავათების ასე ფართოდ ჩამონათვალი, რაც ჩვენ საშემოსავლო და მოგების გადასახადებში გვაქვს, ესტონეთში არ არის. შესაბამისად, ეს არის ისეთი „ხვრელები“, რომლის ამოვსებასაც ცდილობს საგადასახადო ორგანო სამეურნეო ოპერაციების კვალიფიკაციის შეცვლით. ვფიქრობ, ეს საკითხი საჭიროებს საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებას.

თავად ამ რეფორმის შეფასება გამიჭირდება. მას ოპტიმისტურად თავიდანვე არ ვუყურებდი. რამდენად ეფექტიანად მუშაობს, ალბათ, მთავრობამ უნდა შეაფასოს. ამ რეფორმის იდეა იყო ის, რომ ბიზნესს უფრო მეტი ფული დარჩენოდა, რაც ეკონომიკურ ზრდას ხელს შეუწყობდა. რამდენად აისახა მოგების გადასახადის შეცვლა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე 2017-2018-2019 წლებში, როდესაც ეს სისტემა შემოვიდა, რა წილი მოდიოდა მასზე, ამის შეფასება მიჭირს.

- თუმცა უცხოური ინვესტიციების სტატისტიკაში ჩანს, რომ რეინვესტირების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდებოდა, 2024 წელს იყო შემცირება...

– კი ბატონო, მაგრამ „ესტონური მოდელის“ გარდა ხომ იყო რეინვესტირების ნაწილი ძველ საგადასახადო კოდექსში? მანამდე, თუ ძირითადი საშუალებები ეკონომიკურ საქმიანობაში გამოიყენებოდა, ჩვენ, მათი 100-პროცენტის გამოქვითვის უფლება გვაქონდა, დივიდენდის გატანა კი შეგვეძლო 5 პროცენტით. ახლა თუ დივიდენდის გატანა გინდა, ყველა შემთხვევაში 15 პროცენტ მოგების გადასახადს ემატება 5 პროცენტი დივიდენდის გადასახადი. წინა შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ ინვესტირება ხდებოდა ძირითად საშუალებებში და იყენებდი ძირითადი საშუალებების 100-პროცენტის გამოქვითვას მოგების გადასახადს ფაქტობრივად არ

ინდივიდუალური, სანამ არ მოხდებოდა ინვესტიციის უკუგება.

- 2020 წლის სექტემბრიდან მთავრობამ საგადასახადო შეღავათები დააწესა IT სექტორში დაკავებული საერთაშორისო კომპანიები მიმართ. დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ ამ გადაწყვეტილებამ საკმაოდ კარგი შედეგი მოიტანა. საქართველოში IT სექტორი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. თუ ხელაგთ კიდევ რესურსს, რომ უცხოური ინვესტიციების წასახალისებლად, დარგობრივ ჭრილში, კოდექსში გარკვეული ცვლილებები ისევ შევიდეს?

- ვფიქრობ, საერთაშორისო კომპანიებისთვის 5 პროცენტის შეღავათის მიცემა ძალიან კარგი რეფორმა იყო, რომელიც სწორ დროს განხორციელდა და კარგი შედეგაც მოგვცა, ეს ციფრებშიც გამოჩნდა. შესაბამისად, ამ ტიპის შემოსავალი, რომელიც საქართველოში შემოდის, საგადასახადო ბალანსზე მნიშვნელოვნად მოქმედებს.

რაც შეეხება სხვა დარგებს, ასეთ შეღავათებს დარგობრივად ცოტა სპეკტიკურად ვუყურებ, ვინაიდან ეს მერე იწვევს მეორე დარგის არათანაბარ პირობებში ჩაყენებას. ეს ცოტა სპეციფიკური საგადასახადო შეღავათია, რომელიც IT სექტორისთვის მოქმედებს. სხვათა შორის, ასეთი ტიპის შეღავათი ბევრ ქვეყანას აქვს. თუ რაიმე ტიპის მომსახურება გადის ექსპორტზე და იქ შესაბამისი შეღავათი იარსებებს, ვფიქრობ ნორმალურია. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში კომპანიების შემოსვლასა და აქედან მომსახურების ექსპორტს. კონკრეტულ დარგს ვერ გამოვყოფდი.

- სულ გვესმის, რომ საქართველოში საგადასახადო ტვირთი დაბალია, ბიზნესგარემო ხელსაყრელი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ქვეყანაში ბევრი უცხოური ინვესტიცია შემოდის, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. რა არის ის ბარიერი, რომლის გამოც უცხოელი ინვესტორები საქართველოში შემოსვლაზე თავს იკავებენ?

- საქართველოში საგადასახადო ტვირთი, ნამდვილად, საკმაოდ დაბალია, ასევე ბიზნესის წარმოებაც, ნორმების დონეზე, მარტივია. ვფიქრობ, ბარიერს წარმოადგენს ნდობის ფაქტორი. ინვესტორისთვის მთავარი მარტო საგადასახადო რეჟიმები არ არის. ყველა სისტემა გამართულად უნდა მუშაობდეს. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ შემოდის. შარშან შემცირდა, მაგრამ წინა წლებში საკმაოდ იყო. მთავარია, ქვეყნის მიმართ ნდობა იყოს. სხვა მხრივ, საქართველოს ბევრ ქვეყანასთან თავისუფალი საგაჭრო რეჟიმები აქვს, ასევე საკმაოდ კარგი ადგილმდებარეობა გვაქვს. შესაძლებელია პროდუქცია აქ აწარმოო და ექსპორტზე გაიტანო. საბოლოო ჯამში, არასტაბილური ვითარება ყველაზე დიდი გამოწვევაა ბიზნესისთვის, ასეთ დროს ყველა ერიდება ფულის დაბანდებას. სტაბილურობის განცდა როცა აქვს ბიზნესს, ის მეტ ფულს აბანდებს და უფრო ვითარდება.

- გამოწვევებზე საუბრისას ბიზნესის დიდი ნაწილი კადრების სიმცირეს ასახელებს. თქვენ თუ ხელაგთ ამ პრობლემას და თუ კი, როგორ უმკლავდებით მას?

- კადრების მწვავე სიმცირეა, განსაკუთრებით ჩვენს სფეროში. ძალიან ბევრი კადრი სხვადასხვა ბიზნესში გაედინება. ვცდილობთ, შიდა ტრენინგებით კადრები თავად გადავამზადოთ. ბაზარზე მომზადებული კადრის მოძიება, თუნდაც ხელფასის დაინტერესებით, უკვე ძალიან რთული, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ დიდ ყურადღებას ვაქცევთ სტაჟიორების გაზრდაზე ზრუნვას, სხვა გამოსავალი არ არის. ამ კუთხით, მართლა ძალიან რთული ვითარებაა. რასაც ვაკვირდები, ეკონომიკა გაიზარდა, ბიზნესებიც გაიზარდნენ, ისინი მზად არიან დახარჯონ ფული ანალიტიკოსებში, ფინანსისტებში, რომლებიც ჩვენნიანი კომპანიებიდან მიჰყავთ.

- ჩვენ ვისაუბრეთ მომსახურების ექსპორტზე IT სექტორიდან, აუდიტის სფეროშიც არიან კომპანიები, რომლებიც უცხო ქვეყნებში არსებულ კომპანიებს საქართველოდან აუდიტის სერვისს სთავაზობენ. ამ მიმართულების განვითარებას როგორ უყურებთ?

- შეიძლება, მაგრამ, მასობრივი ვერ იქნება. ქსელის კომპანიები, რაღაც ნაწილში ჩვენც ვენმარებით სხვა ქვეყნებში არსებულ კომპანიებს, თუმცა მთლიანი აუდიტი გაჭირდება. არა მგონია, ეს დიდი მოცულობა იყოს, ისე, როგორც IT სექტორმა აჩვენა. მაშინ ისევ კადრების პრობლემამდე მივდივართ, უნდა მოვიზიდოთ აუდიტორები და საგადასახადო სპეციალისტები, რომლებიც აქედან გაწვევენ მომსახურებას, რაც საკმაოდ რთულია. ისედაც კადრების სეროზული პრობლემა გვაქვს.

- რაც შეეხება თქვენს კომპანიას – შპს „ეკოფის საქართველო“-ს, როგორ და ვის მიერ მოხდა ამ კომპანიის დაფუძნება?

- კომპანია ჩემს პარტნიორთან ერთად 2013 წელს დავაფუძნეთ. თავდაპირველი სახელწოდება იყო „ATA Partners“. თავიდან, საქმიანობა საგადასახადო აუდიტით, საგადასახადო კონსულტაციებით დავიწყეთ, შემდეგ კი სხვადასხვა პროფესიული სერვისები დავამატეთ. როგორც უკვე აღვნიშნე, 2020 წელს, მსოფლიოში ოცეულში შემავალი საერთაშორისო ქსელის – ECOVIS International-ის წევრები გავხდით.

- დღეს, სამართლებრივად ორი „ეკოვისი“ საქმიანობა: შპს „ეკოვის ეი-თი-ეი“, რომლის პარტნიორი და დირექტორი თქვენ ბრძანდებით, და ამ შპს-ის 49%-იანი წილობრივი მონაწილეობით 2017 წელს დაფუძნებული შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“. რა არის ამის მიზეზი? ბიზნესის ორად გაყოფა 2017 წელს ამოქმედებულმა რეგულაციებმა განაპირობა თუ ეს კომერციული გათვლა იყო, რომელიც დროში დაემთხვა აუდიტის რეფორმას?

- დიახ, აუდიტორული საქმიანობის ნაწილში გვყავს პარტნიორები. მოგვხსენებთ, 2016 წელს მიღებული კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შემოღებული რეგულაციის მიხედვით, აუდიტორულ კომპანიაში აქციების 50 პროცენტზე მეტი ისეთ პირებს უნდა ჰქონდეთ, რომლებსაც აუდიტორულ საქმიანობაში შესაბამისი სერტიფიკატი ექნებოდათ. ამიტომ ამ ნაწილში გვყავს ორი გამოცდილი პარტნიორი, რომლებიც უშუალოდ აუდიტის სფეროში არიან ჩართულები. საერთო ჯამში, ჩვენ ვკრავთ „ეკოვისს“ საქართველოში, ორივე კომპანია ვართ წარმოდგენილი როგორც „ეკოვის საქართველო“, ორივე ვართ ერთი ქსელის წევრი.

- თქვენი კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა საგადასახადო დაგვებში გადამხდელთა დახმარება. ის ფაქტი, რომ თქვენ და თქვენი პარტნიორები ფინანსთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები ბრძანდებით, გენმარებათ თუ არა ეს დაგვების წარმოებაში?

- დახმარებით, არ გვენმარება. პირველ ეტაპზე ამ კუთხით, გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტები გვქონდა. ახლა უკვე იმდენი წელი გავიდა... შეიძლება ითქვას, რომ დაგვენმარა გამოცდილების თვალსაზრისით, რადგან ვიცოდით, დაგვების განხილვის საბჭოს წევრები ამა თუ იმ საკითხს როგორ უყურებდნენ.

- სპეციალისტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საგადასახადო დაგვების საბჭო გარკვეულ რეფორმას მოითხოვს. საბჭოს წევრები თანამდებობრივად ობიექტურები ვერ იქნებიან, რადგან 10 წევრიდან 8 სამინისტროს წარმომადგენელია. შესაბამისად, შეიძლება, რომ გარკვეულ შემთხვევებში გადაწყვეტილებები ტენდენციური აღმოჩნდეს. თქვენი შეფასებით, რამდენად მოქნილია საბჭო და ითხოვს თუ არა იგი რეფორმას?

- ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო დონორის დახმარებით, სპეციალური ჯგუფი იყო შექმნილი, რომელიც რეფორმაზე მუშაობდა. მეც ვფიქრობ, რომ დაგვების საბჭოს რეფორმა აუცილებელია. ამ შემთხვევაში საუბარი თანამდებობრივ მიკერძოებაზე არ არის. იმ ადამიანებს, რომლებიც საბჭოს წევრები არიან, სხვა მიმდინარე საქმეებიც აქვთ. თავად ეს დაგვები იმდენად სპეციფიკურია, რომ სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს, რასაც დიდი დრო მიაქვს, თუნდაც იმისთვის, რომ გადაწყვეტილება ობიექტურად, სწორად იყოს ჩამოყალიბებული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. საგადასახადო მიმართულებით, საბჭოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება სწორი პრაქტიკის დამდგენი დოკუმენტაცია არის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დაგვების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნათლად იყოს ჩამოყალიბებული, ვინაიდან ისინი სხვა „ქეისების“ განხილვისას გამოიყენება.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ პროფესიონალებით დაკომპლექტებული საბჭო მხოლოდ დაგვების განხილვაზე უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული. მეც მიმუშავია იქ და ვიცი რაც ხდება. ინიშნება დაგვების საბჭო, დაახლოებით 20 საკითხი გამოდის ერთ სხდომაზე. ბუნებრივია, მე როგორც საბჭოს წევრს მაქვს პასუხისმგებლობა, რომ მიმდინარე საქმეებთან ერთად საბჭოზე გამოტანილი საკითხებიც სრულყოფილად შევისწავლო, მაგრამ მოკლე დროში ყველა დეტალის გაანალიზება საკმაოდ რთულია. საბოლოო ჯამში, არ ვიცი, რა ბედი ეწია ამ რეფორმის მცდელობას.

- იქიდან გამომდინარე, რომ თქვენს კომპანიას ყოველწლიურად დიდი შემოსავლები აქვს, ალბათ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში 2016-2017 წლებში ჩატარებული რეფორმით კმაყოფილი ხართ? რა არის ამ რეფორმის მთავარი მიღწევა და რა არის კიდევ გასაკეთებელი, ან რა არ მოგწონთ მასში, რომელიც შესაცვლელი ან გასაუმჯობესებელია?

- ამ მიმართულებით, ახალი რეგულაციების შემოტანით დადგინდა წესები და განისაზღვრა კომპანიები, რომელ შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული მათი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლად IFRS for SME ან სრული IFRS. კომპანიებს დაევალით გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში

მათი ანგარიშგებების გასაჯაროება, შესაბამისად კომპანიები მეტი პასუხისმგებლობით უდგებიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს. ჩვენ მოგვეცა საშუალება უფრო მეტი რესურსი ჩავდეთ ამ მიმართულების მიწოდებული სერვისების ხარისხის განვითარებაში. მარეგულირებელი სამსახურისგან მონიჭებული გვაქვს საზოგადოებრივი დაინტერესების პირების (სდა) აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩატარებული აუდიტის ხარისხზე. ვფიქრობ, რომ მარეგულირებელი სამსახური („სარასი“), საკმაოდ ნორმალურად მუშაობს. ყველა ეს კომპანია ხარისხის კონტროლის მკაცრ წნეხს გადის. რა შეხვედრებზეც დავსწრებივარ, ცდილობენ თუ რამე შენიშვნებია გაითვალისწინონ და დახვეწონ. ახლა არ მახსენდება ისეთი რამ, რისი შეცვლაც მომინდებოდა.

- ბოლო პერიოდში ქვეყანა რთულ პოლიტიკურ პროცესებს გადის, სულ არის მოლოდინი, რომ ეს პროცესები ეკონომიკის ზრდაზე უარყოფითად აისახება, ზოგი ეკონომისტი მოსალოდნელ რეცესიაზეც კი საუბრობს. თქვენ გაქვთ აქტიური კომუნიკაცია სხვადასხვა ტიპის ბიზნესთან, თუ ხედავთ რისკებს ამ კუთხით?

- ცოტა ხნის წინ, ინვესტორებზე მკითხეთ. ცხადია, ასეთი პროცესები ინვესტიციების შემოსვლას აფერხებს, მაგრამ იანვრის შედეგებზე ამას ვერ ვიტყვით. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ეკონომიკის 11-პროცენტითი ზრდა გამოაქვეყნა. ეს ქვეყნდება დღე-ის ჩაბარებული დეკლარაციების მიხედვით, ფინანსური ანგარიშგებები ჯერ არ არის და ძალიან რთულია ამის მიხედვით პროგნოზების გაკეთება. უფრო გრძელვადიან პერიოდში გამოჩნდება, ამ პროცესებმა თუ რა გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე. რთული შიდა პოლიტიკური ვითარება გვაქვს, მაგრამ ჩვენზე მსოფლიო პოლიტიკაც ხომ მოქმედებს? ახლა მთელ მსოფლიოში რთული ვითარებაა, არავინ იცის, სად რა გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

- სამომავლო გეგმები რა გაქვთ? კომპანიის განვითარების ხედვა როგორია?

- გეგმაში გვაქვს, რომ იურიდიული მიმართულება უფრო მეტად განვავითაროთ. ეს ახალი მიმართულებაა, 2 წელია რაც დავიმატეთ. გვინდა, კომპანიებს კიდევ უფრო მეტი სერვისი შევთავაზოთ.

- შემოთავაზება რომ იყოს, სახელმწიფო სამსახურში ისეც დაბრუნდებით?

- საკმაოდ ხშირად იყო შემოთავაზება, მაგრამ თავი შევიკავე, იმიტომ კი არა, რომ სახელმწიფო სამსახურს პატივს არ ვცემ. ამ ბიზნესში, ათეულობით თანამშრომლის წინაშე პასუხისმგებლობები მაქვს, მათთან ერთად ვავითარებ კომპანიას.

- ბოლო კითხვა ასეთი მექნება: პროფესიული საქმიანობის მიღმა, თუ გაქვთ სხვა ინტერესები, რომელსაც თავისუფალ დროს უთმობთ? ზოგადად, როგორია თქვენი თავისუფალი დრო?

- რამე განსაკუთრებული ინტერესები არ მაქვს. თავისუფალ დროს მეგობრებთან, ოჯახთან ვატარებ. მყავს სამი შვილი. ახლა, ძირითადად თავისუფალ დროს ჩემს პატარა შვილს ვუთმობ, ვინაიდან უფროსები ისე გაიზარდნენ, რომ მძიმე სამუშაო რეჟიმის გამო, მათ ყურადღებას ვერ ვაქცევდი. ეს გულდასაწყვეტია, მაგრამ სახელმწიფო სამსახურში მუშაობისას, დრო საერთოდ არ მქონდა.

ესაუბრა მაკა ხარაზიშვილი

IASB მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის განახლებულ ვერსიას აქვეყნებს

მიმდინარე წლის 27 თებერვალს, IASB-მა მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის განახლებული ვერსია გამოაქვეყნა, რომელიც მაღალი ხარისხის ფინანსურ ინფორმაციას უზრუნველყოფს მსს-ების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების უფრო თანმიმდევრულ მიდგომას სხვადასხვა ზომის საწარმოებისთვის.

აღნიშნული განახლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახური განახლებული სტანდარტის თარგმნასა და სამოქმედოდ შემოღებაზე იმუშავებს. ხსენებული სტანდარტი ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან, ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ვრცლად ენვიეთ ბმულს: <https://bit.ly/3QNUCzK>

საქართველოს საბანკო სისტემა

საქართველოს საბანკო სისტემა – ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შექდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიახლეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

ერთნული ბანკი შესებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ცვლის

სესხების დაბალ პროცენტში პორტირება და იპოთეკური სესხებზე მომხმარებლის თანამონაწილეობის შეცვლილი კოეფიციენტი – ეს გადაწყვეტილებები (განსაკუთრებით, ეს ბოლო გადაწყვეტილება) ეროვნულმა ბანკმა უძრავი ქონებაზე მოთხოვნის გაზრდის წასახალისებლად მიიღო. 2024 წელს, არსებული საშინაო თუ საგარეო რთული პოლიტიკური პროცესების ფონზე უძრავ ქონებაზე მოთხოვნა შენედა. აღსანიშნავია, ისიც რომ ვაჭრობის შემდეგ, კომერციულ ბანკების მიერ დაკრედიტების ყველაზე დიდი წილი სწორედ მშენებლობაზე მოდის. შესაბამისად, ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი ამ სექტორის მდგრადობას განსაკუთრებული სიფრთხილით აკვირდება.

ასე რომ, ეროვნულმა ბანკმა მომხმარებელს სესხებთან დაკავშირებული ორი სიახლე შესთავაზა. პირველი – „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ ცვლილებები შევიდა. ცვლილებების მიხედვით, ფიზიკური პირებისა და ორ მილიონ ლარამდე მოცულობის ჯამური ვალდებულებების მქონე იურიდიული პირებისთვის სესხის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში წინსწრების საკომისიოს მაქსიმალური ოდენობა, ნაცვლად დღეს არსებული 2%-ისა, 0.5%-მდე მცირდება. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს ერთი ფინანსური ორგანიზაციიდან მეორეში სესხის გადატანის ხარჯი შეუმცირდება. სიახლე ძალაში 1-ლი მაისიდან შევა.

„მომხმარებლების უფლებების დაცვისა და კონკურენციის წახალისების მიზნით გადაწყვეტიეთ, რომ წინსწრებით დაფარვის საკომისიო შეგვემცირებინა. კონკრეტულად ეს ცვლილება ეხება, ეროვნული ბანკის დაქვემდებარებულ ნებისმიერ სუბიექტს, მათ შორის, კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და სესხის გამცემ ორგანიზაციებს. მთავარია, რომ ეს ცვლილება ეხება როდესაც მომხმარებელს ერთი ფინანსური ინსტიტუტიდან მეორეში გადააქვს სესხი“, – განმარტა ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ლაშა გზირიშვილმა.

ასევე ცოტა ხნის წინ, უძრავი ქონების ბაზრის წახალისების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, ფიზიკურ პირებზე ლარში გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი 5 პროცენტით, 90 პროცენტამდე გაიზარდა. ანუ, საქართველოს მოქალაქეს, ვისაც ბინის შეძენა სურს, პირველადი შენატანის სახით, 15

პროცენტის ნაცვლად, ბინის ღირებულების 10 პროცენტის გადახდა მოუწევს. ასევე, 10 პროცენტული პუნქტით, 80%-მდე გაიზარდება იპოთეკურ სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი იმ პირებისთვის, რომლებიც შემოსავალს საზღვარგარეთიდან იღებენ.

„ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომაზე განვიხილეთ ფინანსური სექტორის ტენდენციები. ჩვენი შეფასებით, ფინანსური სექტორი არის მდგრადი, ბანკებს კაპიტალისა და ლიკვიდობის ადეკვატური ბუფერები აქვთ, აქტივების ხარისხი ერთ-ერთი საუკეთესოა ისტორიულად, რაც გვქონია, მომგებიანობაც მდგრად დონეზეა. ასევე თუ შევხედავთ დაკრედიტების ტენდენციებს, სესხების ზრდამ იანვრის მდგომარეობით 18 პროცენტი შეადგინა, რაც ვფიქრობთ, რომ არის ძლიერი და ჯანსაღი. ასევე მისი მთავარი მამოძრავებელი იყო ბიზნესსესხები, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვისაც დადებითია. ასევე ძლიერი იყო სამომხმარებლო სესხების ზრდა და მის ღინამიკას ვაკვირდებით, რომ შინამეურნეობის ვალის ღონის დაგროვება არ მოხდეს. შედარებით სუსტი იყო იპოთეკური სესხების ზრდა, დაახლოებით 10 პროცენტთან არის ეს ზრდა, ასევე შევხედეთ, რომ უძრავი ქონების ბაზარზე ეკონომიკის ნორმალიზაციის პარალელურად შესაძლოა გარკვეული შენელება იყოს. ამიტომ ამის საპასუხოდ ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი ერთ-ერთი ინსტრუმენტი, სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი გავზარდოთ 85-დან 90 პროცენტამდე. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს სესხის აღების დროს მოუწევს ბინის ღირებულების 10 პროცენტი დალოს თავად და 90 პროცენტი ისესხოს. ვფიქრობთ, ეს უძრავი ქონების ბაზრის მდგრად აქტივობას შეუწყობს ხელს. ასევე გაზრდის სესხებზე ხელმისაწვდომობას“, – განაცხადა ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის უფროსმა დავით უტიაშვილმა.

სამშენებლო კომპანია „არსის“ გენერალური დირექტორი ბესო ორთოიძე საინფორმაციო პორტალ „ბი ემ ჯი“-სთან განმარტავს, რომ რეგულაციის გამარტივება რიგ შემთხვევებში მომხმარებლისთვის იპოთეკური სესხის აღებას გაამარტივებს, თუმცა სავარაუდოდ, ბინების გაყიდვების მხრივ მნიშვნელოვანი ეფექტი არ ექნება.

„უნდა დავაკვირდეთ, რა გავლენას მოახდენს ბაზარზე ამ რეგულაციის შემსუბუქება, რადგან დღეს სტანდარტულ სიტუაციაში არ ვართ. ისედაც გაზრდილია იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები, ასევე უძრავ ქონებაზე მოთხოვნა შემცირებულია. ამ პირობებში, მნიშვნელოვანია, რამდენად არის ამ რეგულაციის შემსუბუქება ამ ვითარების საპირწონე. უძრავი ქონების

ბაზარზე მოთხოვნა და აქტივობა შემცირებულია, თუმცა არა დრამატულად. ეს ისეთი მკვეთრი შემცირებაა არაა, რომ ღრმა კრიზისი იყოს სექტორში. რყევები არის, მაგრამ კრიზისული სიტუაცია არაა“, – ამბობს ბესო ოროთიძე.

„თიბისი ჯგუფის“ მთავარი ეკონომისტი ოთარ ნადარაიას შეფასებით, 2024 წელი უძრავი ქონების ბაზრისთვის კვლავ პიკურ წლად რჩებოდა, ამ ფონზე გაყიდვებში მოთხოვნის კლება საგანგაშო არ არის და შეიძლება, ამას ვითარების ნორმალიზება ეწოდოს.

„რაც შეეხება გაყიდვებს, აქ მხოლოდ კოეფიციენტების ცვლილებაზე არ არის საუბარი. ჩვენ გვახსოვს, რომ ბოლო პერიოდში უძრავი ქონების გაყიდვები უდიდესი ნაწილი შიდა განვადებებზე მოდიოდა და არა იპოთეკურ განვადებებზე. ამიტომ გაყიდვების ძირითადი წყარო მაინც შიდა განვადება რჩება. [პიკურ გაყიდვებთან] შედარებით თუ ახლა შენელება გვაქვს, ეს შეიძლება რაციონალური იყოს“, – განაცხადა ნადარაიამ.

საინვესტიციო კომპანია „გალტ ენდ თაგარტის“ მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ 2024 წელს, თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე ტურბულენტური გარემოს მიუხედავად, ბინების ჯამური გაყიდვები წლიურად 1%-ით გაიზარდა. ეს შედარებით მცირე ზრდაა წინა წლების სტატისტიკასთან შედარებით. ამასთან, მიწოდების მხარეს, მშენებლობაზე გაცემული ნებართვების მოცულობა წლიურად 6.7%-ით შემცირდა, რეკორდულად მაღალი 2023 წლის შემდეგ, თუმცა კვლავ მაღალ ნიშნულზეა.

კვლევამ აჩვენა, რომ 2024 წლის პირველ ოთხ თვეში დეველოპერების პროექტებში გაყიდული ბინების რაოდენობა სტაბილური იყო. თუმცა, თბილისის ქუჩებში მიმდინარე პროტესტისა და დასვენების დღეების სიმრავლის გამო მაისში, წინა თვეებთან შედარებით, გაყიდვები მნიშვნელოვნად შემცირდა, დაახლოებით 42 პროცენტით. თუმცა, გაყიდვები სრულად აღდგა ივლისში, რასაც „გალტ ენდ თაგარტის“ შეფასებით, ხელი შეუწყო რამდენიმე ფართომასშტაბიანი პროექტის დაწყებამ და ბაზარზე გაზრდილმა არჩევანმა. ოქტომბერში, წინასაარჩევნო გარემომ კიდევ ერთხელ განაპირობა გაყიდვების შენელება, თუმცა ოქტომბერში დაგროვილი მოთხოვნის გამო ნოემბერში გაყიდვები კვლავ გაიზარდა. დეკემბერში საპროტესტო ტალღის გაძლიერების ფონზე ეს მაჩვენებელი ისევ უარყოფითი მიმართულების შეიცვალა და წლიურად 9.0%-ით შემცირდა, თუმცა სპეციალისტების შეფასებით, არსებული რთული სიტუაციიდან გამომდინარე, ეს ვარდნა მოსალოდნელზე მსუბუქი იყო.

რაც შეეხება ბინების ღირებულებას, შარშან საშუალო ფასი პირველად ბაზარზე 11.6%-ით გაიზარდა, თუმცა ფასების ზრდის ტემპი წინა წლებთან შედარებით ასევე შენედა. 2024 წელს თბილისში სულ 3,123 მილიარდი დოლარის ღირებულების ბინები გაიყიდა, რაც წლიურად 7.1%-იანი ზრდაა.

2024 წელს 255 სამშენებლო ნებართვა გაიცა საცხოვრებელ პროექტებზე, 1.8 მლნ მ² საერთო

საცხოვრებელი ფართით, ეს 6.7%-ით ნაკლებია 2023 წლის რეკორდულ მაჩვენებელზე, თუმცა ეს მაჩვენებელიც კვლავ მაღალ დონეზე რჩება. 2024 წელს ნებართვების ყველაზე დიდი მოცულობა გაიცა საბურთალოზე (ჯამურის 23%), რასაც მოჰყვება დიდი დილომი (18%) და სამგორი (17%).

საბანკო სექტორში მშენებლობასთან დაკავშირებული სესხების წილი მზარდია და 2024 წლის ივნისის მდგომარეობით, 38 პროცენტს შეადგენს, იპოთეკური სესხების წილი კი საბანკო პორტფელში 21 პროცენტია. შესაბამისად, მშენებლობის სექტორის ასეთი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საბანკო სექტორი უძრავი ქონების ბაზრის რისკების მიმართ მოწყვლადია.

მკვლევარების შეფასებით, ბინებზე მოთხოვნის კიდევ უფრო შენელება მოსალოდნელი 2025 წელს, რასაც ხელს უწყობს შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა. უძრავი ქონების ბაზრის რისკების შეფასებისას, ეროვნული ბანკის 2024 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საბანკო პორტფელში სამშენებლო და უძრავი ქონების სექტორებზე გაცემული სესხების ხარისხი კარგია, ასევე მდგრადია იპოთეკური სესხების ზრდის ტემპი. თუმცა, დეველოპერულ კომპანიებზე გაცემული სესხების წლიური ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი და საყურადღებოა. „აქედან გამომდინარე, უძრავი ქონების ბაზრის მონიტორინგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება“, – აღნიშნულია ანგარიშში. სხვათა შორის, როგორც ჩანს არსებულ ბაზარზე გარკვეული საფრთხეების მოლოდინი აქვთ ბანკებსაც, ვინაიდან სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლების განცხადებით, მათ ახალი პროექტების დაკრედიტება შეაფერხეს.

ეროვნული ბანკის იანვრის სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2025 იანვრის მონაცემებით, კომერციულ ბანკებს 20.2 მილიარდი ლარის ქონებით უზრუნველყოფილი სესხი აქვთ გაცემული, რაც თითქმის 3 მილიარდი ლარით მეტია წინა წლის იანვართან შედარებით. ამავე სტატისტიკის მიხედვით, უძრავი ქონების შესაძენად, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ეროვნული ვალუტის სესხების საპროცენტო განაკვეთი 13,5 პროცენტია, ხოლო უცხოურ ვალუტაში საშუალოდ 8 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ უცხოურ ვალუტაში იპოთეკური სესხები ბოლო სამ წელიწადში დაახლოებით 3 პროცენტული პუნქტით არის გაძვირებული, ხოლო ეროვნულ ვალუტაში – დაახლოებით 2 პროცენტული პუნქტით.

რამდენად წაახალისებს ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება იპოთეკურ სესხებზე მოთხოვნის ზრდას ამას მომავალი აჩვენებს. საბოლოო ჯამში, სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, რომ უძრავ ქონების ბაზარზე აქტივობა შენედა, მაგრამ კრიზისის ნიშნები არ ჩანს. იმედია, სექტორი ისეთ პრობლემებში არ შევა, რომ ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე შეექმნას, ხოლო მთავრობას ამ საფრთხის განეიტრალებისთვის დარგის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება არ მოუწევს, ისე როგორც ეს კოვიდპანდემიის პერიოდში გაკეთდა.

მაკა ხარაზიშვილი

ეროვნული ბანკმა რეზინანსირების განაკვეთი 8%-ზე დატოვა

რატომ გერ ხდება განაკვეთის შემცირება

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2025 წლის 12 მარტის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის (რეზინანსირების განაკვეთის) უცვლელად, 8%-ზე დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. სებ-ის განმარტებით, იმის მიუხედავად რომ უკანასკნელ პერიოდში ინფლაციური მოლოდინები გააქტიურდა, მთლიანობაში მოსალოდნელია რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მაინც სამიზნე 3%-თან ახლოს იქნება.

„წლიური ინფლაცია კვლავ მიზნობრივ, 3 პროცენტთან, მაჩვენებელზე დაბალია. 2025 წლის თებერვლის მდგომარეობით, ფასების საერთო დონე წლიურად 2.4 პროცენტით გაიზარდა, საბაზო ინფლაცია კი 2.0 პროცენტს გაუტოლდა. ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაცია, რომლის ცვლილება შედარებით ხისტია და ყველაზე უკეთ ასახავს გრძელვადიან ინფლაციურ მოლოდინებს, მიზნობრივ დონესთან ნარჩუნდება და თებერვალში 3 პროცენტს შეადგენს. წინა თვეებთან შედარებით ინფლაციის ზომიერი ზრდა და მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოება, ერთი მხრივ, საერთაშორისო ბაზრებზე რისკების რეალიზებამ განაპირობა. კერძოდ, საერთაშორისო ბაზრებზე საკვები ნედლეულის მზარდი ფასები ადგილობრივ ბაზარს გარკვეულწილად გადმოეცა და წინა თვესთან შედარებით ინფლაცია მცირედით გაზარდა. მეორე მხრივ, ინფლაციის ზომიერი ზრდა ელექტროენერჯის ტარიფების შემცირების საბაზო ეფექტის ამოწურვას უკავშირდება“, – აღნიშნულია სებ-ის განცხადებაში.

როგორც ეროვნულ ბანკში განმარტავენ, 2025 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, მიმდინარე ტენდენციები სებ-ის ბოლო პროგნოზის ცენტრალური სცენარის დაშვებებთან მეტწილად თანხვედრაშია. საერთაშორისო ბაზრებიდან გაზრდილი წნეხის ფონზე, ინფლაცია ეტაპობრივად მიზნობრივ მაჩვენებელს დაუახლოვდება და 2025 წლის პირველ ნახევარში მასთან ახლოს იქნება. ეროვნულ ბანკში ვარაუდობენ, რომ ინფლაცია საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტის გარშემო დასტაბილურდება. იმავედროულად აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური აქტივობა მოსალოდნელზე მაღალი ტემპით იზრდება და წინასწარი მონაცემებით, იანვრის ეკონომიკურმა ზრდამ 11.1 პროცენტი შეადგინა. ამ ეტაპზე, ძლიერი მოთხოვნის პარალელურად, სებ-ის შეფასებით, ეკონომიკის წარმოების ჯამური პოტენციალიც მაღალ დონეზე ნარჩუნდება, რაც ძლიერი მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლას გარკვეულწილად ანეიტრალებს.

„გლობალურად გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, ერთი მხრივ, განიხილა მაღალი ინფლაციური რისკების სცენარი, რომლის რეალიზების შემთხვევაში ფუნდამენტური პროცესები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უფრო მაღალ ტრაექტორიას მოითხოვს, ვიდრე ცენტრალური სცენარი. ბოლო დროს გლობალურად მომატებულია გაურკვევლობა, რაც დიდწილად, საერთაშორისო ბაზრებზე სატარიფო პოლიტიკას უკავშირდება. აღნიშნული პოლიტიკა საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური ფრავმენტაციის ნიშნებს გამოკვეთს, რაც თავის მხრივ, მიწოდების ჯაჭვების გაუარესებისა და გლობალურად მაღალი ინფლაციური გარემოს ჩამოყალიბების რისკებს აძლიერებს. შიდა ეკონომიკური ფაქტორებიდან საყურადღებო რჩება მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლის რისკები.

მეორე მხრივ, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა განიხილა დაბალი ინფლაციური რისკების სცენარი, რომლის რეალიზების შემთხვევაში ფუნდამენტური პროცესები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უფრო დაბალ ტრაექტორიას მოითხოვს, ვიდრე ცენტრალური სცენარი. გლობალურად მიმდინარე გაურკვევლობისა და სატარიფო პოლიტიკის შედეგად დოლარის ინდექსი გლობალურად სუსტდება. ამ ტენდენციების ფონზე, გამყარებული გაცვლითი კურსი, იმპორტირებული პროდუქტების ინფლაციის გზით, მთლიან ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით იმოქმედებს.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და არსებული რისკების შეფასების შედეგად, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა ოპტიმალურად მიიჩნია განაკვეთის შემდგომი ნორმალის რეალიზების მიმართ ფრთხილი მიდგომის არჩევა და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, უცვლელად, 8 პროცენტზე შეინარჩუნა. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემდგომი ცვლილება დამოკიდებული იქნება განახლებულ მაკროეკონომიკურ საპროგნოზო სცენარებსა და რისკების ანალიზზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, სებ-ი ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასების საერთო დონის ზრდა საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტთან ახლოს იქნება“, – ნათქვამია ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებაში.

ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება თანხვედრაში აღმოჩნდა Galt & Taggart-ის ეკონომისტ ლაშა ქავთარაძის პროგნოზთან. ქავთარაძემ წინა დღისით ივარაუდა,

რომ ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად დატოვებდა, რადგან ბოლო თვეებში ინფლაციას მზარდი ტრენდი აქვს.

„რაიმე ცვლილებას არ ველოდები გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკური ზრდა მოთხოვნიდან გამომდინარე მაღალია, რის გამოც ფასებზე ზეწოლა გაიზარდა. თებერვალში ინფლაცია 3%-მდე გაიზარდა მაშინ, როცა იანვარში 2.3% იყო. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის ფასები იზრდება. FAO-ს სურსათის ინდექსს თუ შევხედავთ, თებერვალში 8.1%-იანი ზრდა ფიქსირდება. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნავთობპროდუქტებზე ფასები მცირდება, მაგრამ ეს ფაქტობრივად რისკფაქტორია და თუ გარკვეულწილად მოტრიალდა, ესეც დამატებითი წნეხი იქნება ფასების ღონეზე. ამავე დროს ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ რეზერვები შესავსებია. თუ შესავსებია და ინფლაცია გასათვალისწინებელი, მაშინ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად უნდა დარჩეს არა მარტო ზვალინდელ სხდომაზე, არამედ წლის განმავლობაში“, – განაცხადა ქავთარაძემ.

„რეზინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვება რაციონალური გადაწყვეტილება“ – ოთარ ნადარაია

„თიბისის“ მთავარი ეკონომისტი ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებას, რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად, 8%-ზე დატოვების შესახებ, რაციონალურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება ბაზრისთვის სიურპრიზი არ ყოფილა. ოთარ ნადარაიამ „საქმის კურსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ გლობალური ფაქტორებიდან გამომდინარე ვითარება მარტივი არ არის, თუმცა ამ ეტაპზე არ ჩანს, რომ სებ-ს პოლიტიკის გამკაცრება მოუწევს. ნადარაიას თქმით, „თიბისი კაპიტალის“ საბაზო სცენარიდან მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წლის განმავლობაში დაახლოებით ამავე ღონეზე დარჩება.

„განაკვეთის უცვლელად დატოვება პრინციპში სიურპრიზი არ ყოფილა და ბაზარზე მონაწილეებსაც იგივე აზრი ჰქონდა. რატომ არ უნდა შემცირებულიყო მეტად?! ინფლაცია მართალია სამიზნეზე დაბალია, თუმცა მთავარია პროგნოზი და პროგნოზის კუთხით ის უახლოვდება და გადააჭარბებს კიდევ 3%-იან მაჩვენებელს.

გაურკვევლობა არის არაერთი მიმართულებით და ვფიქრობ, რომ განაკვეთის უცვლელად დატოვება ნამდვილად რაციონალური იყო, თან იმ ფონზე, რომ დეპოზიტების განაკვეთები, რომელიც რეფინანსირებასთან არ არის დაკავშირებული, ბოლო პერიოდში გაიზარდა, ლარი უფრო გაძვირდა, რაც არის ბოლო პერიოდის ტენდენცია. ამიტომ, შემძლია ვთქვა, რომ მოლოდინები ჩვენიც ასე იყო. პროგნოზს

რაც შეეხება, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი დაახლოებით იმავე ღონეზე დარჩება წლის განმავლობაში, რაც არის ჩვენი საბაზო სცენარიც“, – განაცხადა ნადარაიამ გადაცემა „საქმის კურსში“.

სებ-ის მიერ გავრცელებული პრეს-რელიზის მიხედვით, გლობალურად გაზრდილი გაურკვევლობის ფონზე, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი რამდენიმე სცენარს განიხილავს. ერთი მხრივ, მაღალი ინფლაციური რისკების სცენარს, რომლის რეალიზების შემთხვევაში ფუნდამენტური პროცესები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უფრო მაღალ ტრაექტორიას მოითხოვს, ვიდრე ცენტრალური სცენარი. ასევე, მეორე მხრივ, განიხილავს დაბალი ინფლაციური რისკების სცენარი, რომლის რეალიზების შემთხვევაში ფუნდამენტური პროცესები მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უფრო დაბალ ტრაექტორიას მოითხოვს, ვიდრე ცენტრალური სცენარი.

ოთარ ნადარაიას თქმით, გლობალურად არ არის მარტივი ვითარება, თუმცა ჯერჯერობით არ იკვეთება, რომ ცენტრალურ ბანკს პოლიტიკის გამკაცრება დასჭირდეს.

„ჯერჯერობით არ ჩანს, რომ გამკაცრების მიმართულება მოუწევს. ჩვენი პროგნოზიც არის, რომ იგივე ღონეზე დარჩება. გლობალური ფაქტორებიდან გამომდინარე არ არის მარტივი ვითარება, იგივე ტარიფებთან მიმართებით, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ კონფლიქტები მოგვარდა, ეს მოვლენების პოზიტიური განვითარებაა. ყველაფერს ართულებს ის, რომ პოზიტიურ განვითარებას დაემატოს ის, რომ საქართველოს, სომხეთის შემთხვევაში მიგრანტების გადინება მოჰყვეს, რაც მაკროეკონომიკურ ღონეზე შეიძლება იყოს გარკვეული გამოწვევა. ბევრი სცენარია, მაგრამ საბაზო სცენარში განაკვეთის აწევას არ განვიხილავთ“, – განაცხადა თიბისი მთავარმა ეკონომისტმა.

„სებ-ს მონეტარული პოლიტიკის შერბილების ფუფუნება დღეს არ აქვს“

„საზოგადოება და ბანკების“ დამფუძნებელი გიორგი კეპულაძე მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთის შემცირება მოსალოდნელი არ იყო, რადგან მსოფლიოში არსებული გაურკვევლობა საქართველოს ეკონომიკაზეც აისახება.

როგორც გიორგი კეპულაძე „ანალიტიკასთან“ აღნიშნავს, მონეტარული პოლიტიკის შერბილების ფუფუნება დღეს სებ-ს არ აქვს.

„ლარის კურსის გამყარება დოლარის გლობალური დასუსტებისა და ტრამპის პოლიტიკის შედეგია. ის გაურკვევლობა, რაც არის საერთაშორისო ბაზარზე, იგივე ამერიკის საფონდო ბირჟასთან, თუ ტარიფების პოლიტიკასთან დაკავშირებით – ეს საქართველოსაც

გადმოეცემა, რა თქმა უნდა, რადგან მოვეხსენებათ, სამომხმარებლო კალათაში იმპორტირებული პროდუქციის წილი საკმაოდ დიდია, თითქმის 80%.

ჩვენ არ უნდა ვუყუროთ მხოლოდ დოლარს და ჩვენს სავაჭრო პარტნიორებსაც უნდა დავაკვირდეთ. შესაბამისად, ვფიქრობ, ლოგიკური იყო რეფინანსირების განაკვეთის 8%-ზე შენარჩუნება. სებ-ს მონეტარული პოლიტიკის შერბილების ფუფუნება დღეს არ აქვს, პირიქით, შეგვეძლო გვეფიქრა გამკაცრებაზეც“, – აღნიშნავს გიორგი კეპულაძე.

კეპულაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ცენტრალურ ბანკს მონეტარული პოლიტიკის შერბილების შანსი გასული წლის მეორე ნახევარში ჰქონდა, თუმცა სებ-ის გადაწყვეტილებაზე გავლენა პოლიტიკურმა პროცესებმა იქონია.

„მაშინ მოვეხსენებათ, გამოწვევა იყო არჩევნები, პოლიტიკური დღის წესრიგი და ამიტომაც ცუდი, რომ ეროვნული ბანკი ვერ იღებს პოლიტიკური კონიუნქტურისგან დაცლილ გადაწყვეტილებას. მესმის, რომ პოლიტიკას ყოველთვის უნდა შეხედოს, თუ რა მდგომარეობაა ქვეყანაში, მაგრამ, როდესაც შენ საარჩევნო დღის წესრიგს მიყვები, მაშინ ეროვნული ბანკის პრეზიდენტიც შეეცვალოთ 4 წელიწადში ერთხელ, როგორც იცვლება ან უნდა შეიცვალოს მთავრობა. იმიტომ არის პრეზიდენტობის 7-წლიანი ციკლი, რომ პოლიტიკურ ციკლებს არ ემთხვეოდეს და სებ-ის დამოუკიდებლობა იყოს შენარჩუნებული“, – განმარტა კეპულაძე.

„საზოგადოებამ და ბანკებმა“ ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული სესხები მიმოიხილა. 2025 წლის პირველი თებერვლის მდგომარეობით ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული 189 820 სესხია გაცემული და მათი აბსოლუტური უმრავლესობა რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვებამ განაპირობა, რომ 189 820 მსესხებელს არ შეეცვალა სესხზე ყოველთვიური შენატანი.

„189 820 ხელშეკრულებიდან რაოდენობრივად უმეტესი ნაწილი იპოთეკური და სამომხმარებლო სესხებია (82%). 16% მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხებია და მსხვილ ბიზნესზე ჯამური ხელშეკრულებების 2%-ია გაფორმებული. ჯამურად, ცვლად საპროცენტო განაკვეთზე 15.4 მლრდ ლარის მოცულობის სესხებია გაცემული. იპოთეკური სესხების მოცულობა 4.5 მლრდ ლარს შეადგენს და სამომხმარებლო სესხებზე 2.7 მლრდ ლარი არის გაცემული. მცირე და საშუალო ბიზნესზე ყველაზე დიდი მოცულობის სესხია გაცემული (5.1 მლრდ ლარი), ხოლო მსხვილ ბიზნესზე – 3.0 მლრდ ლარი. ლარში გაცემული და ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული იპოთეკური სესხის საშუალო მოცულობა – 54,895 ლარს, სამომხმარებლო სესხის – 36,553 ლარს, მცირე და საშუალო ბიზნესზე – 166,091-ს და მსხვილ ბიზნესზე გაცემული სესხის

მოცულობა 967,133 ლარს შეადგენს. 2023 წლის დასაწყისიდან ინფლაცია მნიშვნელოვნად მცირდებოდა და 2024 წლის ოქტომბრის თვეში 0.3% შეადგინა. თუმცა შემდეგ თვეებში გაიზარდა და 2025 წლის თებერვალში 2.4% შეადგინა. რეფინანსირების განაკვეთი ანალოგიურ პერიოდში 11%-დან 8.0%-მდე შემცირდა და შემცირება დაიწყო 2023 წლის მაისიდან. ბოლო დროს ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება და გაუარესებული ეკონომიკური მოლოდინები წნეხს ქმნის ინფლაციის ზრდაზე მომდევნო თვეებში“, – აღნიშნულია ორგანიზაციის პრეს-რელიზში.

„საზოგადოება და ბანკებში“ აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მომდევნო თვეებში მოსალოდნელია, მივიღოთ გაზრდილი ფასები და შემცირებული შემოსავალი, რაც მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუარესებს. წლიურად შემცირებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ემატება უცხოური ვალუტის შემოდინების სხვა წყაროები (გრანტები და პროგრამები), რაც აისახა ბოლო დროს ლარის გაცვლითი კურსის მერყეობაზე და შექმნა გაუფასურების მოლოდინი. პრობლემებია ტურიზმის სექტორშიც.

„მეორე მხრივ, შემცირებული ეკონომიკური აქტივობიდან გამომდინარე, მოსალოდნელია მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის შემცირება, რაც შეასუსტებს ერთობლივ მოთხოვნას. შესაბამისად, ამ ეტაპზე რეფინანსირების განაკვეთის შენარჩუნება ლოგიკური ნაბიჯი იყო, რადგან სავარეო და შიდა გამოწვევების ფონზე მონეტარული პოლიტიკის შერბილების პოტენციალი არ არსებობს“, – აღნიშნავენ ორგანიზაცია „საზოგადოებასა და ბანკებში“.

საქართველოს ეროვნული ბანკი პროგნოზირებს, რომ 2025 წლის მეორე ნახევარში საქართველოში ინფლაციის დონე მიზნობრივ 3%-ს დროებით გადააჭარბებს, თუმცა წლის ჭრილში მაინც მიზნობრივი 3%-ის მიდამოში შენარჩუნდება, – ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად დატოვა. ცნობილია, რომ მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2025 წლის 7 მაისს ჩატარდება. სწორედ მაშინ გაირკვევა, რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხების ვისაც აქვთ, ყოველთვიურად შესატანი თანხა გაეზრდებათ, შეუმცირდებათ თუ კვლავ უცვლელი დარჩება. ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური მდგომარეობა ეკონომიკურ გარემოსაც გრძელვადიანად არაპროგნოზირებადს ხდის, თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, მოკლევადიან პერსპექტივაში, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების მხრივ დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

თემურ იობაშვილი

ეკონომიკა და პოლიტიკა

ეკონომიკა და პოლიტიკა – ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ სტატიებში განხილულია საქართველოში მიმდინარე ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასთან; აგრეთვე, შევეხებით სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას მსგავს სიტუაციებში.

საქსტატის ინფორმაციით ეკონომიკა მაღალი ტემპით იზრდება

ხელისუფლების ოპონენტები ზრდას მანიპულაციის შედეგს უწოდებენ

სტატისტიკის სამსახურმა 28 თებერვალს გამოაქვეყნა იანვარში ეკონომიკის ზრდის წინასწარი შედეგები. საქსტატის ინფორმაციით, მიმდინარე წლის პირველ თვეში შარშანდელი წლის იანვართან შედარებით, ზრდა 11,1% იყო.

„2025 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ტრანსპორტი და დასაწყობება, მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, დამამუშავებელი მრეწველობა და ვაჭრობა. კლების ტენდენცია დაფიქსირდა სამთომომპოვებითი მრეწველობის სექტორში“, – აღნიშნულია საქსტატის გავრცელებულ ინფორმაციაში.

რაც შეეხება გასული წლის მაჩვენებლებს, საქსტატის ინფორმაციით 2024 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდამ წინა წელთან შედარებით 9.5% შეადგინა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყნის ეკონომიკის ზრდას დადებითად აფასებენ, ხელისუფლების

ოპონენტები კი საქსტატის გამოქვეყნებულ მაჩვენებელს მანიპულაციის შედეგად მიიჩნევენ.


ხელისუფლების პოზიცია

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის, ვახტანგ ცინცაძის განცხადებით, 2025 წელი ეკონომიკური აქტივობის საკმაოდ მაღალი ტემპით დაიწყო, იანვარში ეკონომიკურმა ზრდამ 11.1% შეადგინა.

ვახტანგ ცინცაძის ინფორმაციით, არსებულ ეკონომიკურ ზრდაში პოზიტიური წვლილი შეიტანა პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობების, ტრანსპორტის და დასაწყობების, მშენებლობის, განათლების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, დამამუშავებელი მრეწველობის და ვაჭრობის სექტორებმა.

„აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი იყო ასევე საგარეო ვაჭრობის მხრივ დაფიქსირებული პოზიტიური ტენდენციები, აქ გამოვყოფდი ექსპორტის დაახლოებით 20%-იან ზრდას,

**ეკონომიკური ზრდის შუფასება,
წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (%)**



რომლის მოცულობამაც 404 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ასევე, ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობია შიდა ტურიზმის კუთხით დაფიქსირებული ტენდენციები“; – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

2025 წლის იანვარში დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა, წინა წლის შესაბამისი თვის მაჩვენებელთან შედარებით, 14.7%-ით გაიზარდა, ხოლო ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 5,439 ერთეულს გაუტოლდა.

ვახტანგ ცინცაძე ასევე ყურადღებას ამახვილებს „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ მიერ გამოქვეყნებულ ეკონომიკური ზრდის პროგნოზებზე – ბანკის პროგნოზით, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკა 6%-ით გაიზარდება.

„ასევე ხაზგასასმელია ის ვარაუდები, რომ 2024 წელს EBRD საქართველოს ეკონომიკური ზრდის 7.8%-ს ელოდებოდა, თუმცა, ფაქტობრივი მაჩვენებლებით, გასულ წელს ეკონომიკურმა ზრდამ 9.5% შეადგინა. შესაბამისად, ჩვენი მოლოდინია, რომ 2025 წელს ეკონომიკური ზრდა გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე ამას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები პროგნოზირებენ. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს. წელს არაერთი ახალი ინიციატივა იქნება გაუქმებული, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკის სტრუქტურულ გაუმჯობესებას და მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნებას“; – აცხადებს ვახტანგ ცინცაძე.

საქართველოს ეროვნული ბანკი 2025 წელს 5%-იან ეკონომიკურ ზრდას პროგნოზირებს, საქართველოს მთავრობა კი მოელის რომ ზრდა 6% იქნება, სწორედ ამ მაჩვენებელზეა დაგეგმილი 2025 წლის ბიუჯეტიც.

„მოსალოდნელზე მაღალი ტემპით იზრდება ეკონომიკური აქტივობა. წინასწარი მონაცემებით, იანვრის ეკონომიკურმა ზრდამ 11.1 პროცენტი შეადგინა. ამ ეტაპზე, ძლიერი მოთხოვნის პარალელურად, სეპ-ის შეფასებით, ეკონომიკის წარმოების ჯამური პოტენციალიც მაღალ დონეზე ნარჩუნდება, რაც ძლიერი მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლას გარკვეულწილად ანეიტრალებს. ერთობლივ მოთხოვნას საკრედიტო აქტივობაც ასტიმულირებს, რაც დიდწილად ბიზნეს-სესხების გააქტიურებას უკავშირდება და ეკონომიკის პოტენციური ზრდის ხელშემწყობია“; – ნათქვამია სეპ-ის პრესრელიზში.

„მშპ-ის 11%-ით ზრდა მანიპულაციის შედეგია“

პოლიტიკური ჯგუფის, ევროოპტიმისტების ერთ-ერთი ლიდერისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, რომან გოცირიძის თქმით, საქსტატის წინასწარი მონაცემებით იანვრის თვეში რეალური მშპ-ს 11.1%-ით ზრდა ბიძინა ივანიშვილის ქონების ოფშორული კომპანიებიდან ახლად დარეგისტრირებულ ქართულ კომპანიებზე გადაფორმებასა და მშპ-ის დეფლატორის ხელოვნურად შემცირებას უკავშირდება.

გოცირიძე ხაზს უსვამს, რომ ივანიშვილის ქონება, რომელიც საქართველოში ფიზიკურად მდებარეობდა, მისი ოჯახის ოფშორულ კომპანიებს ეკუთვნოდა, შესაბამისად მათი გადაფორმებით ქვეყანაში რეალურად კაპიტალი არ შემოსულა.

„იანვრის თვეში მშპ-ის 11 პროცენტით ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით არის მანიპულაციის შედეგი. ერთი მხრივ, საქსტატი ხელოვნურად ამცირებს დეფლატორს (ანუ, ინფლაციის მაჩვენებლით კორექტირების კოეფიციენტს), მეორე მხრივ, მშპ-ში აღირიცხა ბიძინა ივანიშვილის ის ქონება, რომელიც საქართველოში იყო ფიზიკურად (შუშის სასახლე და სხვა სახლები, სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, მიწები, სამშენებლო და სხვა კომპანიების აქტივები და ა.შ.), მაგრამ ეკუთვნოდა მისი ოჯახის საკუთრებაში არსებულ ოფშორულ კომპანიებს და გადმოფორმებული იქნა მათ მიერ საქართველოში იანვრის თვეში დაფუძნებულ კომპანიებზე. ამ ოპერაციით ფიქტიურად გაიზარდა მშპ ე.წ. „მთლიანი კაპიტალის ფორმირების“ გზით, ანუ საქართველოში კაპიტალი „შემოვიდა“. სინამდვილეში, არაფერი შემოსულა, ისედაც აქ იყო.

რაც შეეხება ნახატებსა და ქანდაკებებს, ისინიც ივანიშვილის კომპანიის საკუთრებაა და ისინიც გაზრდიდა აქ გადმოტანით კაპიტალს, მაგრამ რადგან ეს საქონელი ფიზიკურად იქნა იმპორტირებული, ეს იმას ნიშნავს, რომ მან მშპ შეამცირა იმპორტის ხაზით. კაპიტალის მატებით მშპ-ის ზრდა და იმპორტით მშპ-ის შემცირება ერთმანეთს აბათილებს და დიდი ალბათობით, მხატვრული ნიმუშების ეს ოპერაცია მშპ-ის ცვლილებაზე ნეიტრალურად იმოქმედებდა.


ზოგადად, არაერთხელ აღგვინიშნავს საქსტატის მიერ ინფორმაციის დამახინჯებისა და მისი პოლიტიკურად ინტერპრეტაციის შესახებ“; – დაწერა გოცირიძემ სოციალურ ქსელში.

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების ბიზნესის სკოლის დეკანის და ფინანსისტი, გიგა ბედინიშვილის თქმით, საქსტატის წინასწარ შეფასებაში ასახული ეკონომიკური ზრდის დამაჯერებლად ასხნა რთულია, რადგან ამავე თვის განმავლობაში, იანვარში, მართალია დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა წინა წლის შესაბამისი თვის მაჩვენებელთან შედარებით 14.7%-ით კი გაიზარდა, მაგრამ ბიუჯეტში დღგ-ის შემოსავლებმა დაიკლო. ფინანსისტი ამბობს, რომ დღგ გადასახადის გადამხდელი კომპანიების ბრუნვაზე არის მიბმული, ამიტომ მისი კლება, როგორც წესი, ეკონომიკურ ვარდნაზე მიუთითებს.

გარდა ამისა, ბედინიშვილმა აღნიშნა, რომ იანვარში ივანიშვილმა ოფშორულ კომპანიებში არსებული აქტივები ქართულ კომპანიებში გადმოიტანა. ფინანსისტმა ხაზი გაუსვა, რომ თუ ამგვარად შემოტანილი წილები ივანიშვილმა სხვა ქართულ აქტივებში გადაცვალა, ეს შეიძლება ქართული კომპანიების ინვესტიციად ყოფილიყო მიჩნეული და მშპ-ზე გავლენა ჰქონოდა.

ბედინიშვილმა ვარაუდი გამოთქვა, რომ საქსტატის

ბიზნესის ბრუნვის % ზრდა (გემბლინგის გარეშე)



წინასწარ მონაცემებში ასახული ეკონომიკური ზრდა ამ სცენარს შესაძლოა უკავშირდებოდეს, ხოლო „თუკი ეს ასეა, ეს ყველაფერი საკმაოდ მანიპულაციურად გამოიყურება“, – განაცხადა ბედინეიშვილმა.

საქსტატის გამოქვეყნებული ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელზე კომენტარი გააკეთა თავისუფალი ბიზნესების პლატფორმა freebusiness.ge-ის დამფუძნებელმა გიორგი ჩუგოშვილმა. მისი განცხადებით, ბიზნესის ბრუნვა (გემბლინგის გარეშე) 2024 წელს მხოლოდ 4.9%-ით გაიზარდა.

როგორც ჩუგოშვილმა აღნიშნა, უფრო არასახარბიელო მაჩვენებელი მხოლოდ 2009 წელს, საქართველოში რუსეთის შემოჭრის მომდევნო წელს და ასევე 2020 წელს, კოვიდ-პანდემიის დროს იყო. შესაბამისად, ახლანდელი მდგომარეობა სახარბიელო სულაც არ არის.

ჩუგოშვილის თქმით, ქვეყანაში არსებული კრიზისი ბიზნესებს უკვე იგრძნეს და ამას ბიუჯეტში შესული დღგ-ის მოცულობაზეც აქვს ასახვა. ჩუგოშვილი ამბობს, რომ თუ პოლიტიკური კრიზისის დეესკალაცია არ მოხდა, ის შეიძლება ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს, რომელიც სოციალურ პრობლემებში გადაიზრდება და ხალხის პრობლემად იქცევა.

„ბიზნესმენებმა ეს კრიზისი უკვე იგრძნეს, ბრუნვაზეც არის ასახვა. მათ შორის, ბიუჯეტში შესული დამატებული ღირებულების გადასახადში, გასული წლის იანვართან შედარებით 1%-იანი კლება ფიქსირდება, როცა გასულ წლებში 14%-იანი ზრდები გვქონდა ხოლმე. ვფიქრობ, რომ მეორე კვარტალი იქნება ძალიან მძიმე და თუ დეესკალაცია არ მოხდა, პროგნოზი არის ის, რომ ზრდაზე საუბარი აღარ იქნება. პირიქით, შეიძლება ეკონომიკა შემცირდეს, რაც უმუშევრობას და ადამიანების შემოსავლებს აუცილებლად დაეტყობა“, – თქვა გიორგი ჩუგოშვილმა.

29.9%-იანი კლება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში

კიდევ ერთი მაჩვენებელი, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ასახავს, უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველობას უკავშირდება. საქართველო ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა და ამიტომ, მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემოსვლა. საქსტატის გავრცელებული ინფორმაციით კი, გასულ, 2024 წელს FDI მნიშვნელოვნად არის დაკლებული.


„წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2024 წელს 1 333.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 29.9 პროცენტით ნაკლებია 2023 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელზე. შემცირების გამომწვევ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი კომპონენტის: საქციო კაპიტალისა და რეინვესტიციის მაჩვენებლის შემცირება“, – აღნიშნულია საქსტატის ინფორმაციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მეორე წელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მცირდება.

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2024 წლის წინასწარი მონაცემებით, 58.2% შეადგინა. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 33.6%-ით, მეორეზე – 13.2%-ით მალტაა, ხოლო მესამეზე – 11.4%-ით ნიდერლანდები. დარგების მიხედვით, ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია – 526.5 მლნ დოლარი საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების სექტორში განხორციელდა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 39.5%-ია.

BM.GE-მ საქსტატიდან TOP-ინვესტორი კომპანიები გამოითხოვა, რომლებშიც გასულ წელს ყველაზე მეტი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2019-2024 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



FDI ჩაიდო. 2024 წლის უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების TOP-10-ეულს საფინანსო სექტორის, ენერჯეტიკის, დეველოპერული და დამმუშავებელი მრეწველობის, ინფორმაცია და ტექნოლოგიების დარგების წარმომადგენლები შეადგენენ:

- აიდეის ბორჯომი საქართველო, შპს აიდეის ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი;
- შპს მავთიკომი;
- შპს თბილისი ენერჯი;
- სს ენერგო-პრო ჯორჯია;
- შპს ტოიოტა კავკასია;
- შპს სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ;
- შპს აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯია;
- სს ბიჯეო ჯგუფი;
- შპს გლობალ ბიერ ჯორჯია;
- შპს სოკარ მიდსთრიმ ოპერეიშენს – საქართველოს ფილიალი.

მნიშვნელოვანი კლებაა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ინვესტირებაში. 2024 წელს საქართველოში აშშ-დან ინვესტიციები თითქმის განახევრდა. წლის განმავლობაში შტატებიდან FDI-ის სახით ქვეყნის ეკონომიკაში 98.3 მლნ დოლარი ჩაიდო, რაც 2023 წლის მონაცემებთან შედარებით 46%-ით ნაკლებია.

ამგვარად, აშშ-მა 2024 წლის უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების რეიტინგში მეოთხე ადგილი დაიკავა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ინვესტიციების კლებას გასულ წელს სააქციო კაპიტალის 60%-ით, რეინვესტიციის მანქანების კი 26,4%-ით კლებას უკავშირებს. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკაში ახალი ინვესტორები არ ჩანან.

იურიდიული ფირმა GLCC-ის მმართველი პარტნიორი შალვა ცხაკაია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30%-იან კლებას გასული წლის გაზაფხულზე ე.წ. „რუსული კანონის“ გარშემო განვითარებულ მოვლენებს

და ინვესტორთა შეცვლილ განწყობებს უკავშირებს, თუმცა იურისტს მიმდინარე წელთან დაკავშირებით გაცილებით პესიმისტური მოლოდინები აქვს.

„ის შედეგი, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, გამოწვეულია გაზაფხულის დროინდელ კრიზისთან. ჩვენ შემოდგომაზე გვქონდა ახალი კრიზისი, რომელთან დაკავშირებული ახალი ინვესტიციების შეჩერების გადაწყვეტილებების შედეგი ჯერ არ დაგვინახავს. 3-4 თვე, ხანდახან უფრო მეტიც არის საჭირო იმისთვის, რომ გამოჩნდეს რეალურად ეკონომიკას რა დააკლდება იმ გადაწყვეტილებების გამო, რომელიც მიღებულ იქნა ნოემბრის ბოლოს, როდესაც გაცხადდა ჩვენი ევროპული ვექტორის შეჩერების შესახებ უმაღლესი პოლიტიკური პირისგან. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ მარტიდან გამოჩნდება და ხელშესახები იქნება ინვესტიციების კლება.“

ახალ ინვესტიციებს სანთლით ვეძებთ და ვერ ვივებთ, ძირითადად ეს არის ადრე დაგეგმილი მიმდინარე პროექტები, დამხმარე პროექტები მიმდინარე ინვესტიციის ან რეინვესტიცია. ასეთი ინვესტორებიც კი თავს იკავებენ დიდი და რისკიანი გადაწყვეტილებებისგან“, – აცხადებს შალვა ცხაკაია.

„ინვესტიციების 88% იყო რეინვესტიცია. 1,3 მილიარდი დოლარის ინვესტიციებიდან მხოლოდ 160 მილიონი არის ახალი ინვესტიცია. შარშან ორჯერ მეტი იყო, რა დროსაც 1,9 მილიარდი გვექონდა FDI. აქედან 310 მილიონი იყო ახალი, შესაბამისად ორჯერ შემცირდა ახალი ფულის შემოდინება.“

რომ შევხედოთ რა არის რეინვესტირებული ფული – 500 მილიონი არის ფაქტობრივად 2 დიდი ბანკის მოგება, რომელიც დივიდენდის სახით არ გაცემულა და საქართველოში რჩება. არ შემოდის ახალი ფული, მნიშვნელოვნად იკლებს ახალი ფულის შემოდინება და ჩვენ გვაქვს უფრო უარესი საინვესტიციო პროფილი და მიმზიდველობა, რაც ადრე გვექონდა. თუ მდგომარეობა

შპს „ლევერიჯ კონსალტინგი“



ცოდნა წარმატების საწინდარია!

- ფინანსური დიაგნოსტიკა
- ფინანსური მოდელირება, ბიუჯეტირება და მართვის პროცესების მონესრიგება
- ფინანსური მენეჯერის აუტოსორსი
- გაზარდეთ თქვენი კომპანიის მომგებიანობა ჩვენი დახმარებით

დაგვიკავშირდით: +995 (579) 30 71 71

მეოთხე კვარტალში გაუმჯობესდა, ეს ნიშნავს, რომ მეტი მოგება ჰქონდათ ბანკებს.

ერთადერთი ნიშანი მცირე დადებითი მთელ სურათში იყო, რომ ენერჯეტიკაში ინვესტიციები გაიზარდა, მაგრამ ესეც არაფერია, რადგან წინა წელს დიდი ვარდნა იყო და 2021 და 2022 წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი კლება იყო“, – განაცხადა ნიკოლოზ შურღაიამ.

ანგარიში – ევროკავშირმა თავისი დახმარების დიდი ნაწილი შეამცირა.

საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე ევროკავშირმა ანგარიში მოამზადა. ანგარიშის თანახმად, რომელიც 2024 წელს საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოს ეხება, რამდენიმე მიმართულებაზეა ყურადღება გამახვილებული.

„ეს არის მნიშვნელოვანი სარეკომენდაციო დოკუმენტი ეკონომიკური თანამშრომლობის პლატფორმის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედებისთვის. აღნიშნული პლატფორმა 2022 წელს ევროპული ბიზნესსასოციაციის მიერ, ევროკავშირის მხარდაჭერით შეიქმნა“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კურსის ცვლილებაზე.

„2023 წლის დეკემბერში, ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიანიჭა, იმ დათქმით, რომ შესრუდება ცხრა ძირითადი რეკომენდაცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს მხარს, 2024 წლის გაზაფხულის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული კურსი შეუთავსებელია იმ სტანდარტებთან, რომლებიც კანდიდატი ქვეყნისგან მოითხოვება. ევროკავშირში გაწევრიანება არჩევანია, მაგრამ გაფართოების პროცესი ეფუძნება დამსახურებას და დამოკიდებულია კანდიდატი ქვეყნის მიერ განხორციელებულ რეფორმებზე. ეს რეფორმები არ მატერიალიზდა, რის გამოც ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები გაუარესდა. ჩვენ ძლიერ

ეწუხვართ შექმნილი ვითარების გამო.

ევროკავშირი საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური პარტნიორია, თუმცა იმ ძირითადი ღირებულებებისგან უკან დახვევის გამო, რომლებზეც ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები იყო დაფუძნებული, ევროკავშირმა თავისი დახმარების დიდი ნაწილი შეამცირა. ამჟამად მიმდინარეობს მიმდინარე პროგრამების ძირეული გადახედვა. საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების შედეგად, ჩვენ ვერ შევძლებთ მრავალი წარმატებული პროექტის გაგრძელებას საქართველოში.

ეს ნეგატიური პოლიტიკური მიმართულება უარყოფითად აისახება როგორც ეკონომიკურ გარემოზე, ასევე იმ ბიზნესებზე, რომლებიც საქართველოში ოპერირებას ცდილობენ. მრავალი კომპანია საქართველოს ბაზარზე შემოვიდა იმ მოლოდინით, რომ ქვეყანა ევროკავშირს უფრო მიუახლოვდებოდა. დღეს კი მათ ლეგიტიმური კითხვები და ეჭვები უჩნდებათ საქართველოს მომავალთან დაკავშირებით, რადგან გაფართოების რეფორმების დღის წესრიგი არის სტრუქტურული, ინკლუზიური და მდგრადი ტრანსფორმაციის მთავარი ფაქტორი“, – აღნიშნულია ანგარიშში.

ევროკავშირის ელჩი საქართველოში პაველ ჰერჩინსკი ამბობს, რომ ბიზნესი ცვლილებების მამოძრავებელი ძალაა და იმედოვნებს, რომ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობები უკეთესობისკენ შეიცვლება.

„მჯერა, რომ ბიზნესექტორი გადამწყვეტ როლს ითამაშებს საქართველოს ევროკავშირისკენ სვლაში. წინ, საქართველო, წინ!“ – აცხადებს პაველ ჰერჩინსკი.

ჩვენც იმედი დავიტოვოთ, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისი რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდება, რის შემდეგაც ქვეყანა ინვესტიციებისთვისაც მეტად მიმზიდველი გახდება და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპიც ეჭვს არ გააჩენს, რომ გამოქვეყნებული მაჩვენებლები რაიმე მანიპულაციის შედეგად არის მიღებული.

თემურ იობაშვილი

20%-იანი საშემოსავლო გადასახადით საქართველო ევროპაში 30-ე ადგილზეა

საქართველო, 20%-იანი საშემოსავლო გადასახადით, ევროპის 35 ქვეყანას შორის 30-ე ადგილს იკავებს. საქართველოზე დაბალი განაკვეთი 5 ქვეყანაში მოქმედებს.

შესაბამისი ანალიზი ამერიკულმა ანალიტიკურმა ცენტრმა Tax Foundation-მა გამოაქვეყნა.

ბევრ ქვეყანას პროგრესიული საშემოსავლო გადასახადის მოდელი აქვს, რაც ნიშნავს, რომ მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანები უფრო მეტი პროცენტით იბეგრებიან. გადასახადის უმაღლესი განაკვეთი კი ევროპის ქვეყნებში განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შემთხვევაში ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი მოქმედებს 20%-ის ოდენობით. პროგრესიული სისტემის მქონე ქვეყნებისთვის ანალიზში მოყვანილია მაქსიმალური განაკვეთები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ნევრ ევროპულ ქვეყნებს შორის საშუალო განაკვეთი 2025 წელს 42.8%-ს შეადგენს. ყველაზე მაღალი განაკვეთი არის: დანიაში (55,9%), საფრანგეთსა (55,4%) და ავსტრიაში (55%). ხოლო ყველაზე დაბალი: უნგრეთში (15%), ესტონეთსა (22%) და ჩეხეთში (23%).

კიდევ უფრო დაბალია განაკვეთები OECD-ის არანევრ ქვეყნებში. კერძოდ, ყველაზე დაბალ განაკვეთია ბულგარეთსა და რუმინეთში (10%), მათ მოჰყვება მოლდოვა (12%), უკრაინა (19,5%) და საქართველო (20%).

აღსანიშნავია, რომ ორმა ქვეყანამ გასულ წელთან შედარებით გაზარდა გადასახადის უმაღლესი განაკვეთები. კერძოდ, ესტონეთმა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20%-დან 22%-მდე, ხოლო ლატვიამ 31%-დან 36%-მდე გაზარდა.

2024 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვა 11.8 მლრდ ლარით გაიზარდა

2024 წელს, საქართველოში სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 76.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 11.8 მლრდ ლარით მეტია 2023 წელთან შედარებით. თავის მხრივ, 2023 წელს 2022 წელთან შედარებით ზრდა 11.4 მლრდ ლარი იყო.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბრუნვაში ასახავს აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული სანარმოთა ბრუნვის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება ყოველ ჯერზე დადებული ფსონების ჯამით.

2024 წლამდე კი სათამაშო ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებლები ასეთი იყო:

1. 2019 – 25.9 მლრდ ლარი;
2. 2020 – 32.1 მლრდ ლარი;
3. 2021 – 48.08 მლრდ ლარი;
4. 2022 – 52.2 მლრდ ლარი;
5. 2023 – 64.3 მლრდ ლარი.

გარდა ამისა, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2024 წელს აზარტულ ბიზნესში 20941 ადამიანი იყო დასაქმებული, საშუალო ხელფასი კი 3244 ლარს შეადგენდა.

ცნობისთვის, 2023 წელს საქართველოს მთავრობამ აზარტული თამაშების სექტორის დაბეგვრის განაკვეთის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც 1.5 წელზე მეტია ძალაშია. თუკი მანამდე სექტორის მოგების გადასახადის განაკვეთი 10%-ს შეადგენდა, ის 15%-მდე გაიზარდა, მოქალაქეთა მიერ მოგებული თანხის გატანა კი 2%-იანი საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად 5%-ით დაიბეგრა. მიუხედავად რეგულაციების ზრდისა, სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ სექტორის ბრუნვა იზრდება.

„მსოფლიო ბანკი“ სებ-ს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს

საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, „მსოფლიო ბანკი“ საქართველოს ეროვნულ ბანკს ტექნიკურ დახმარებას გაუწევს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნათია თურნავას განცხადებით, ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში კონკურენცია საფინანსო სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორია.

„ჩვენი საფინანსო ბაზარი კარგად არის განვითარებული, არის სტაბილური, მაგრამ ამავდროულად ბევრი ახალი მონაწილე შემოდის ბაზარზე. ჩვენ ლიცენზიებს გავცემთ ახალ ციფრულ ბანკებზე, ასევე ორი ახალი მიკრო ბანკი შემოემატა ბაზარს, არიან არასაბანკო მოთამაშეები – ვირტუალური აქტივის სერვისის მიმწოდებლები, ასევე საგადახდო სერვისის მიმწოდებლები. ჩვენი ამოცანაა, მოსახლეობისთვის ფინანსური სერვისების მიწოდების თვალსაზრისით, ბაზარზე ყველას თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს. საბოლოო ჯამში კონკურენცია გაზრდის საფინანსო პროდუქტების ხელმისაწვდომობას, შეამცირებს დანახარჯებს და მოსახლეობასაც უფრო მისაღებ პირობებში ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ ამ სერვისებით“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

თავის მხრივ, „მსოფლიო ბანკის“ ფინანსური სექტორის მთავარმა ეკონომისტმა პიეტრო კალიჩემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია კონკურენციას ფინანსური სტაბილურობის კონტექსტში ვუყუროთ, რაც სებ-ის მთავარი მანდატია.

„საქართველოს ეროვნული ბანკი პროაქტიულად უდგებოდა ფინანსურ სექტორში კონკურენციის კანონის აღსრულებას. ახლა კი მას შეუძლია არსებულ ძალისხმევას „ექს-ანტე“ რეგულაციით კონკურენციის ხელშეწყობის

უზრუნველყოფაც დაამატოს. ღია ბანკინგის ჩარჩო, ციფრული ფინანსების ჩარჩო, სწრაფი გადახდის სისტემები და სხვა „ექს-ანტი“ რეგულირების მაგალითებია, რაც წახალისებს კონკურენციას. ჩვენი ტექნიკური დახმარების მიზანია, რომ ეროვნულ ბანკს დავეხმაროთ რეგულაციებს უფრო სისტემურად მიუდგეს და გაითვალისწინოს წესებსა და რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებებისა თუ სიახლეების შესაძლო ზეგავლენა“, – აღნიშნა პიეტრო კალიჩემ.

საქართველოს ეროვნულ ბანკში აღნიშნავენ, რომ 2021 წლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებისა და კონკურენციის აღსრულების „ექს-პოსტ“ (კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევაზე რეაგირების) მექანიზმების დაწესების საქმეში. „მსოფლიო ბანკის“ ტექნიკური დახმარება, რომელიც საფინანსო სექტორში კონკურენციის გაძლიერებას ისახავს მიზნად, ამჯერად „ექს-ანტი“ აღსრულებაზეა ფოკუსირებული და სეპ-ს იმ რეგულაციების გამოვლენაში გაუწევს დახმარებას, რომლებიც შესაძლოა ბაზრის დინამიკას აფერხებდნენ.

„კრედიტის ლიმიტის გაორმაგება სექტორში კონკურენციას გაზრდის“ – მიკროსაფინანსო ასოციაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ერთ მსესხებელზე გაცემული კრედიტის ლიმიტი ორმაგდება. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, მიკროკრედიტის ზღვარი დღეს მოქმედი 100 ათასი ლარიდან 200 000 ლარამდე იზრდება. შესაბამის ცვლილებებს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მხარი პირველი მოსმენით უკვე დაუჭირა.

როგორც მიკროსაფინანსო ასოციაციაში აცხადებენ, კრედიტის ლიმიტის გაზრდა სექტორში კონკურენციას გაზრდის და ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს, არსებული მომხმარებლები უფრო დიდხანს შეინარჩუნონ. როგორც ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ BMG-ს განუცხადა, მოლოდინია, რომ ლიმიტის გაზრდის შედეგად, სექტორის საკრედიტო პორტფელში სამენარმეო მიზნობრიობით გაცემული სესხების წილი გაიზრდება.

„დაკრედიტების ლიმიტის გაზრდით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ექნებათ საშუალება, რომ უფრო კონკურენტულ გარემოში იმუშაონ. კერძოდ, ექნებათ შესაძლებლობა, რომ მომხმარებლები უფრო დიდხანს შეინარჩუნონ დაკრედიტების გაზრდილი ზღვრის ფარგლებში და გარდა ამისა, ახალ სემენტზეც გავიდნენ, რაც უფრო სწრაფი ზრდის და ბაზარზე უფრო კონკურენტული პირობების შეთავაზების საშუალებას მისცემთ. ეს ზღვარი მათ შორის ხელის შეშლის იქნება, რომ მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების კუთხითაც ახალი პროდუქტები შემუშავდეს და სექტორში ბიზნეს სესხების კომპოზიციის მიმართულებით დადებითი იქნება“, – განაცხადა ნინო დევდარიანმა.

ამასთან, ასოციაციაში აცხადებენ, რომ სესხის ლიმიტის ზრდა დადებით გავლენას მოახდენს მისობის მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთებზეც.

„ზოგადად, რაც უფრო დიდი მოცულობის სესხია, უფრო დაბალია მასზე საპროცენტო განაკვეთი. შესაბამისად, თუ სექტორს ექნება იმის საშუალება, რომ წვრილი დაკრედიტებიდან უფრო მსხვილ დაკრედიტებაზე გადავიდეს, ამ სემენტზე საფასო პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ლოიალური და დაბალი იქნება, ვიდრე ესაა წვრილი და სამომხმარებლო სესხები“, – აღნიშნა ნინო დევდარიანმა.

მარტში ტრანზაქციების და მოთხოვნის გააქტიურება შეიმჩნევა – უძრავი ქონების ასოციაცია

„მარტში უძრავი ქონების ბაზარზე მოთხოვნის გააქტიურება შეიმჩნევა“, – ამის შესახებ უძრავი ქონების ეროვნულ ასოციაციაში აცხადებენ.

როგორც ასოციაციის პრეზიდენტმა, ნატო ბოჭორიშვილმა BMG-ს განუცხადა, მოლოდინია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნა უკვე შემდეგ პერიოდში რეალიზდება.

მისივე თქმით, მიუხედავად მიმდინარე წლის ორ თვეში თბილისში ბინების გაყიდვების კლებისა, ბაზარზე მკვეთრი შემცირება არ ფიქსირდება.

„მარტს თუ შევხედავთ, აქტიურად დაიწყო დეველოპერული ტრანზაქციების განხორციელება და ასევე მოლაპარაკებები. მომხმარებლების მხრიდან ინტერესი გაზრდილია. ვთვლი, რომ დაგროვილი მოთხოვნა, რომელიც უძრავი ქონების ბაზარზეა, ნელ-ნელა რეალიზდება და გააქტიურდება ეს ბაზარი. იანვარ-თებერვალი ყოველი წლის ჩრილში არაა ხოლმე აქტიური, ნელს ორ თვეში კლება ფიქსირდება, თუმცა ეს შემცირება დრამატული არაა. ვფიქრობ, მოთხოვნის ზრდას ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯიც განაპირობებს დაკრედიტების გამარტივების მიმართულებით“, – განაცხადა ნატო ბოჭორიშვილმა.

„სადაზღვევო ინდუსტრიას 2024 წელს 17-18%-იანი ზრდა ექნება“ – „არდი“

სადაზღვევო კომპანია „არდის“ გენერალური დირექტორის მიხეილ ჯაფარიძის მოლოდინია, რომ 2024 წელს ინდუსტრია 17-18%-იანი ზრდით დაასრულებს.

აღსანიშნავია, რომ სექტორის მარეგულირებელს სადაზღვევო კომპანიების 2024 წლის ფინანსური მაჩვენებლები

ჯერ არ გამოუქვეყნებია, თუმცა როგორც დავით ონოფრიშვილმა მედიასთან განაცხადა, წინასწარი მონაცემებით, დაზღვევის სექტორის შემოსავალი 2024 წელს 1 მილიარდ 260 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც 2023 წლის მაჩვენებელს 200 მილიონით აღემატება.

„როგორც იცით, დაზღვევისა და ეროვნული შიდა პროდუქტის ფარდობა არის ძალიან ასიმეტრიული, რაც ნიშნავს, რომ სადაზღვევო ინდუსტრიას ზოგადად ძალიან დიდი განვითარების პერსპექტივა აქვს საქართველოში და ამ კუთხით ზრდა ყოველ წელს ხდება იმის მიუხედავად, რომ განსაკუთრებული სავალდებულო დაზღვევის სახეობები ან მსგავსი ტიპის სტიმულები ჯერჯერობით ქვეყანაში არ არსებობს, ამიტომ ბაზარი მექანიკურად თავისი ძალისხმევით იზრდება. შესაბამისად ზრდა იყო შარშანაღ.“

ოფიციალური შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა მოლოდინი გვაქვს, რომ 17-18%-იანი ზრდა ექნება სექტორს 2024 წელს. ძირითადად არის ის ეფექტი, რომ დაზღვეულთა რაოდენობაც გაიზარდა, მაგრამ ძირითადი ეფექტი არის ფასების ზრდა იმიტომ, რომ ინფლაციური პროცესები, რომელიც 2023 წელს დაიწყო 2024 წელსაც გადმოჰყვა.

ვფიქრობთ, რომ 2025 წელს უფრო სტაბილური იქნება ეს ზრდა, რადგან 2024 წელს ფასის უფრო აგრესიული ზრდა იყო და ამ ეტაპზე ველოდებით შედარებით დასტაბილურებას, თუ რაიმე ტიპის სხვა ცვლილებები არ იქნება ბაზარზე, რომელიც ავტომატურად მოახდენს ასახვას იმ სერვისებზე, რასაც ჩვენ ვანაზღაურებთ, რომელიც ავტომატურად გააძვირებს დაზღვევას“, – აცხადებს მიხეილ ჯაფარიძე.

„იანვარ-თებერვალში ბინების გაყიდვებში 10%-იანი კლება გვქონდა“ – Apex Development

უძრავი ქონების ბაზარზე გაყიდვების კლების ტენდენცია ნარჩუნდება. იანვრის შემდეგ, თბილისში ბინების რეალიზაცია თებერვალშიც შემცირებული იყო. Colliers Georgia-ს მონაცემებით, გასულ თვეს დედაქალაქში სულ 3205 ბინა გაიყიდა, რაც ბინების წლიურად 8.9%-ით შემცირებული მაჩვენებელია.

დეველოპერული კომპანიების ნაწილში აცხადებენ, რომ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილურობის ფონზე, უძრავი ქონებაზე მოთხოვნა შემცირებული რჩება და ჯერჯერობით გაყიდვებში კვლავ კლების ტენდენცია იკვეთება.

როგორც კომპანია „აპექს დეველოპმენტში“ BMG-ს განუცხადეს, მათი კომპანიის შემთხვევაში, იანვარ-თებერვალში გაყიდვების 10%-იანი კლება დაფიქსირდა.

„ჩვენი კომპანიის შემთხვევაში გაყიდვებში იანვარ-თებერვალში 10%-იანი კლება გვაქვს, ჯერჯერობით, მარტის სტატისტიკა არ გვაქვს, თუმცა მოლოდინია, რომ კლება კვლავ გაგრძელდება. უძრავი ქონების ბაზარი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან მიმართებით საკმაოდ მგრძობიარეა და შექმნილი არასტაბილურობა ამ ბაზარზე აისახება. გვაქვს მოლოდინი, რომ ქვეყანაში ვითარება გაუმჯობესდება და უძრავი ქონების ბაზარი გააქტიურდება, თუმცა ამ ეტაპზე, ჯერჯერობით კლება ფიქსირდება.“

ის კლიენტები, ვისაც უძრავი ქონების შეძენა სურს, არსად არ წასულან. ზოგადად, მოლოდინის რეჟიმში არიან, აკვირდებიან ვითარებას და გამოსწორების შემთხვევაში, გაყიდვების მიმართულებით მატება იქნება“, – განაცხადა კომპანიის დირექტორმა, ვლადიმერ რობაქიძემ.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის მხრიდან იპოთეკურ სესხებზე რეგულაციის გამარტივებას, „აპექს დეველოპმენტში“ აცხადებენ, რომ მას მშენებარე პროექტებში ბინების გაყიდვების სტიმულირებაზე გავლენა ნაკლებად ექნება.

„ეროვნული ბანკის მხრიდან რეგულაციის გამარტივება მშენებარე პროექტებს ვერ დაასტიმულირებს. დეველოპერულ კომპანიებს ისედაც აქვთ შიდა უპროცენტო განვადება, სადაც საწყისი თანამონაწილეობა 10%-ია. რეგულაციის გამარტივება უფრო დასრულებულ პროექტებზე იმუშავებს, სადაც ბანკი ბინას იპოთეკის საგნად იყენებს“, – განაცხადა ვლადიმერ რობაქიძემ.

2024 წელს მობილურმა ოპერატორებმა 865 მილიონი ლარი გამოიმუშავეს

საქართველოში მოქმედმა მობილურმა ოპერატორებმა 2024 წლის ფინანსური შედეგები კომუნიკაციების კომისიას უკვე წარუდგინეს. ანგარიშის თანახმად გასულ წელს ოპერატორების შემოსავლები 77.5 მილიონი ლარით, ანუ 10%-ით გაიზარდა და მან 865 მილიონ ლარს მიაღწია.

2024 წელს ქართული მობილური ოპერატორების აბონენტების რიცხვი 2%-ით, 5,648,065-მდე გაიზარდა, რაც ნიშნავს რომ ქვეყნის ერთ მოსახლეზე საშუალოდ 1.52 აქტიური ნომერი მოდის, ანუ თითქმის ყოველ მეორე ადამიანს ტელეფონის ორი ნომერი აქვს.

მობილური ოპერატორების შემოსავლების 10%-იანი მატება აბონენტების რიცხვის ზრდასთან ერთად მათ მიერ ტარიფების გაძვირებამ, ასევე მობილური ინტერნეტის სემენტზე მოთხოვნის 19%-იანმა ზრდამ განაპირობა.

მობილური ოპერატორების შემოსავლები 2024 წელს ასე ნაწილდება:

- მაგთი – 409,913,865 ლარი, 2,341,775 აბონენტი, ბაზრის 41.5%, შემოსავლის ზრდა 6.5%;
- სილქნეტი – 304,553,049 ლარი, 1,974,614 აბონენტი, ბაზრის 35%, შემოსავლების ზრდა 10.8%;
- სელფი მობაილი – 148,898,037 ლარი, 1,313,853 აბონენტი, ბაზრის 23.3%, შემოსავლების ზრდა 17.7%.

ფინანსური მაჩვენებლების თანახმად, ოპერატორებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვის განმავლობაში ერთი აბონენტიდან მიღებული შემოსავალი ანუ ARPU. 2024 წლის დეკემბერში მაგთის ერთი

აბონენტი კავშირგაბმულობაში თვის განმავლობაში 15 ლარს იხდიდა, რაც წლიურად 39 თეთრით არის გაზრდილი, სილქნეტის ერთი აბონენტის საშუალო ხარჯი თვეში 13.30 ლარია, რაც 2 თეთრით არის შემცირებული ერთი წლის წერილში, ხოლო სელფი მობაილის ერთი აბონენტის საშუალო თვიური ხარჯი 9.84 ლარია, რაც წლიურად 0.34 ლარით არის მომატებული.

მობილური ოპერატორების საქმიანობის ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მობილურ ინტერნეტს ყოველთვიურად 3,963,777 აბონენტი მოიხმარდა, რაც მთლიანი აბონენტების 70%-ია, წინა წელს ეს მაჩვენებელი აბონენტების 68% იყო.

სტატისტიკის თანახმად, 2024 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ერთი აბონენტი თვეში საშუალოდ 15.4 გიგაბაიტ ინტერნეტს მოიხმარდა, რაც წლიურად 1.56 გიგაბაიტით არის გაზრდილი.

მთლიანობაში 2024 წელს საქართველოში მობილური ინტერნეტის ტრაფიკი 19%-ით გაიზარდა და მან 670,398 ტერაბაიტი შეადგინა.

აგროსურსათით ვაჭრობაში საქართველოს თურქეთთან \$260 მილიონის სავაჭრო დეფიციტი აქვს

2024 წელს საქართველომ თურქეთისგან 15-ჯერ მეტი აგროსასურსათო პროდუქტი იყიდა, ვიდრე თავად გაიტანა ექსპორტზე.

„ქართული ოცნების“ მთავრობის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანალიზში აღნიშნულია, რომ გასულ წელს თურქეთიდან აგროსურსათის იმპორტი 279 მლნ დოლარი იყო, ხოლო ექსპორტი 19 მლნ დოლარი. შესაბამისად, უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 260 მლნ დოლარი შეადგინა. ამ მაჩვენებლით თურქეთი პირველ ადგილზეა ქვეყნებს შორის, რომლებთანაც საქართველოს ყველაზე დეფიციტური ვაჭრობა აქვს აგროსურსათში.

მეორე ადგილს 101 მლნ დოლარის უარყოფითი სალდოთი ბრაზილია იკავებს, ხოლო მესამე პოზიციაზე უკრაინაა 68 მლნ დოლარის სავაჭრო დეფიციტით.

ძირითადი ქვეყნები, რომლებთანაც აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობაში საქართველოს 2024 წელს უარყოფითი სავაჭრო სალდო ჰქონდა (მლნ აშშ დოლარი):

	ქვეყანა	იმპორტი	ექსპორტი	სალდო
1	თურქეთი	279	19	-260
2	ბრაზილია	101	0	-101
3	უკრაინა	135	67	-68
4	ნიდერლანდები	69	8	-60
5	საფრანგეთი	76	25	-51
6	პოლონეთი	74	26	-48
7	იტალია	62	20	-42
8	ლიეტუვა	59	17	-42
9	გერმანია	79	38	-41
10	კვადორი	41	0	-41

2024 წელს საქართველომ \$2.2 მილიარდის აგროსურსათი იყიდა

2024 წლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 1.68 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 17%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (2023 წელს ექსპორტირებული იყო 1.437 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების). ამის შესახებ „ქართული ოცნების“ მთავრობის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადებულ აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის ანალიზშია აღნიშნული.

რაც შეეხება ადგილობრივ ექსპორტს, ანუ ექსპორტს რეექსპორტის გარეშე, ის შეადგენს 1.38 მლრდ აშშ დოლარს, რაც 19%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, რომელიც 1.161 მლრდ აშშ დოლარის იყო.

რაც შეეხება იმპორტს, წინასწარი მონაცემებით იმპორტირებულია 2.196 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 8.8%-ით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს (2023 წელს იმპორტირებული იყო 2.018 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების).

შესაბამისად, 2024 წლის წინასწარი მონაცემებით უარყოფითი სავაჭრო სალდო, ანუ იმპორტის გადაჭარბება ექსპორტზე, 516 მლნ აშშ დოლარია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 11%-ით ნაკლებია. 2023 წელს უარყოფითი სავაჭრო სალდო 581 მლნ აშშ დოლარი იყო.

რუბრიკის სპონსორი –

ა უ დ ი ტ უ რ ი კ ო მ პ ა ნ ი ა

შპს „მოორ ეიბისი“ / „Moore ABC“ LLC



MOORE

პითხვა-პასუხი

პითხვა-პასუხი – ამ რუბრიკით ჟურნალში ქვეყნდება პასუხები ჩვენი მკითხველების იმ შეკითხვებზე, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვას, საგადასახადო კანონმდებლობასა და სამოქალაქო სამართალს შეეხება. დასმულ შეკითხვებზე პასუხს გასცემენ შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს და შპს „ააფ ინტეგრითი“-ს აუდიტორები, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ მენეჯერები, შპს „ადვოკატთა და აუდიტორთა კორპორაციის“ იურისტები. მომზადებული პასუხების განხილვა მათ გამოქვეყნებამდე ხდება „პითხვა-პასუხის“ საბჭოს მიერ.

შეკითხვები მოგვაწოდეთ წერილობითი სახით, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა საშუალებით. სასურველია (თუმცა აუცილებელი არ არის) დასმული შეკითხვის ქვემოთმოყვანილი ფორმატით წარმოდგენა.

შეკითხვები მიიღება ელექტრონული ფოსტით: info@aaf.ge ან ტელ.: 239-33-50.

შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალურ დირექტორს ფრიდონ ალშიბაიას
„აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების“ მთავარ რედაქტორს გიორგი ცერცვაძეს

ჟურნალის ხელმომწერის -----

შ ე კ ი თ ხ ვ ა

„პითხვა-პასუხის“ რუბრიკის ფორმატში, გთხოვთ განმარტებას შემდეგ საკითხზე: -----

თარიღი, ხელმოწერა, საკონტაქტო ტელეფონი ან ელ. ფოსტის მისამართი.
(კითხვის ავტორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია ჟურნალში არ ქვეყნდება!)

წინამდებარე ნომერში მკითხველთა შეკითხვებს პასუხობდა შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს მმართველი პარტნიორი, შპს „ააფ-მენეჯმენტის“ გენერალური დირექტორი ფრიდონ ალშიბაია.

პითხვა: საქართველოს კომპანიათა თავისი დაქირავებული თანამშრომელი გაუშვა საზღვარგარეთ კომპანიის მიზნებისათვის, სადაც ის თითქმის მთელი წელი (360 დღე) იმყოფებოდა. შეგვიძლია თუ არა მას აგუნაზღაუროთ სამივლინებო ხარჯები, დამტკიცებული ნორმების მიხედვით?

პასუხი: „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების 1-ლი მუხლის თანახმად, მივლინება, ამ ბრძანების მიზნებისათვის, განსაზღვრულია შემდეგნაირად:

„ა) მივლინება – დაქირავებულის ბრძანებით ან/და დავალებით დაქირავებულის გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი საშუალო ადგილის ფარგლებს გარეთ როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე ქვეყნის ფარგლების გარეთ. ქვეყნის ფარგლების გარეთ მივლინება შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი;

ბ) გრძელვადიანი მივლინება – ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაქირავებულის გაგზავნა 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით;

გ) მოკლევადიანი მივლინება – ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაქირავებულის გაგზავნა 30 ან ნაკლები კალენდარული დღის ვადით“.

ამავე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, მუდმივი სამუშაო ადგილი ასეა განმარტებული:

„ე) მუდმივი სამუშაო ადგილი – ტერიტორია, სადაც დაქირავებული, შრომითი ხელშეკრულების ან ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრული სამუშაო დროის პერიოდში (ფიქსირებულ სამუშაო საათებში) დაქირავებულს უსრულებს სამუშაოს, რომელიც რეგულარულ და არაერთგვარად ხასიათს ატარებს“.

აღსანიშნავია, რომ დასაშვებია, დაქირავებულს ჰქონდეს ერთზე მეტი სამუშაო ადგილი.

ზემოაღნიშნული ბრძანება არაფერს ამბობს, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს „გარძელვადიანი მივლინება“, ამიტომ სამსჯელოა, მოხდა თუ არა მივლინებული თანამშრომლის მუდმივი სამუშაო ადგილის შეცვლა. ეს დამოკიდებულია რიგ გარემოებებზე, მათ შორის მივლინების მიზნობრიობაზე და იქ შესასრულებელ სამუშაოზე. კითხვის მოცემულობა ამაზე ცალსახა პასუხს არ იძლევა. თუ გონივრული განსჯის შედეგად მიჩნეული იქნება, რომ მივლინებული თანამშრომლისთვის მუდმივი სამუშაო ადგილის შეცვლა არ მომხდარა, ეს მივლინებაა და მას სამივლინებო ხარჯები უნდა აუნაზღაურდეს, მაგრამ თუ მივლინებული თანამშრომელი კონკრეტულ ადგილას დიდხანს და პრაქტიკულად უწყვეტად მუშაობს, მაშინ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მივლინების ეს ადგილი მისი მუდმივი სამუშაო ადგილი გამხდარა. ასეთ შემთხვევაში, ამ მივლინებული თანამშრომლისთვის მუდმივ სამუშაო ადგილად საზღვარგარეთის ქვეყანა ჩაითვლება (სადაც მივლინებულია) და ამიტომ მისთვის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, თუ ის გაცემულია, ხელფასთან გათანაბრებულ განაცემად უნდა ჩაითვალოს. თუმცა, თანამშრომლისთვის ამ ქვეყანაში თავდაპირველი ჩასვლისთვის და საბოლოოდ წამოსვლისთვის გაწეული მგზავრობის ხარჯები ხელფასთან გათანაბრებულ განაცემად/სარგებლად არ ჩაითვლება.

კითხვა: ღვინის მწარმოებელ შპს-ს (დღგ-ის გადამხდელია, აღრიცხვისთვის იყენებს მსს ფასს-ს) სურს ააშენოს მცირე სასტუმრო თავის მიწაზე. ამასთან, ამ შენობას ექნება სარდაფი, სადაც შესაძლებელი იქნება ღვინის დაძველება. მშენებლობის პროცესში, დღგ-ს ჩავითვლით. თუ ეს სასტუმრო არ ამუშავდა, რა შეფასება შეიძლება მოჰყვეს ამას საგადასახადო ორგანოს მხრიდან?

პასუხი: როგორც დასმული კითხვიდან ჩანს, შენდება შენობა, რომელსაც ექნება ორმაგი დანიშნულება: მისი ერთი ნაწილი (სავარაუდოდ, შედარებით მცირე ნაწილი) გამოყენებული იქნება ღვინის წარმოების პროცესში, ხოლო მეორე ნაწილი განკუთვნილი იქნება სასტუმრო ბიზნესისთვის, თუმცა არ არის ცნობილი, როდის გაიხსნება ის (აქ შევნიშნავთ, რომ ასეთი რამ შესაძლებელი გვეგონია მხოლოდ დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, ვთქვათ, 1-2 წლის მანძილზე).

ამ გარემოების გამო, საგადასახადო მიზნებისათვის ჩათვლილი დღგ უნდა გაიყოს ორ ნაწილად გონივრული ალგორითმით (შესაძლოა, შენობის ფართობის პროპორციის მიხედვით). შენობის პირველ ნაწილთან დაკავშირებით დღგ-ის ჩათვლა არ გახდება საკამათო, მაგრამ რაც შეეხება მეორე ნაწილთან დაკავშირებულ ჩათვლილი დღგ-ის თანხას, თუ სასტუმრო არ იმუშავებს, ცხადია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ამ ჩათვლის მართლზომიერება. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სსკ 175-ე მუხლის მიხედვით ჩათვლას ექვემდებარება მხოლოდ იმ ოპერაციებზე გადახდილი დღგ, რომლებიც გამიზნულია ან გამოიყენება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში, ან ისეთ ოპერაციებში, რომლებიც არ ზღუდავს დღგ-ის ჩათვლის უფლებას. იმ შემთხვევაში კი, თუ მომხდარი ოპერაცია გამოიყენება ან გამოყენებული იქნება როგორც დღგ-ით დასაბეგრ ან ჩათვლის უფლების მქონე ოპერაციებში, ასევე იმ ოპერაციებში, რომლებიც არ იძლევა დღგ-ის ჩათვლის უფლებას, მაშინ დღგ-ის ჩათვლა ხდება პროპორციის წესით, სსკ 177-ე მუხლით დადგენილი წესით. შენობა-ნაგებობების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამგვარი წესით ჩათვლილ/ჩასათვლელ დღგ-ზე დაკვირვება ხდება 10 წლის განმავლობაში:

„6. ამ მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებისთვის ყოველწლიურად გასაუქმებელი (ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) ან ჩასათვლელი (ამ მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში) დღგ-ის თანხა გაიანგარიშება:

ა) უძრავ ნივთზე – ექსპლუატაციაში მიღების წლიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში, დღგ-ის თანხის ერთი მეათედის ოდენობით“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ საგადასახადო შემოწმების დროს დადგინდება, რომ სასტუმრო არ ფუნქციონირებს და ჯერ არც უფუნქციონირებია, მაშინ შენობა-ნაგებობის შესაბამის ნაწილზე გადახდილი დღგ-ის ჩათვლა გაუქმდება მთლიანად, ან ნაწილობრივ. დღგ-ის ჩათვლა შესაძლოა არ გაუქმდეს, თუ საწარმო დაასაბუთებს, რომ მართალია ჯერ სასტუმრო არ ფუნქციონირებს, მაგრამ ასეთი ფუნქციონირება ან დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციაში სხვაგვარი გამოყენება არის რეალური და მოსალოდნელია ახლო მომავალში.

კითხვა: მშობელმა კომპანია შეიქმნა შუა წელს შვილობილი კომპანია. ორივე კომპანია არის შპს და იბეგრება „ესტონური მოდელის“ მიხედვით.

შვილობილი კომპანია, მომხდარი შერწყმის გამო, როდის უნდა წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს ქონების გადასახადის დეკლარაცია?

პასუხი: აღნიშნული საკითხი რეგულირდება სსკ 56-ე მუხლით „საგადასახადო ვალდებულების შესრულება საწარმოს/ორგანიზაციის რეორგანიზაციისას“, ასევე 59-ე მუხლით „საგადასახადო პერიოდი“.

კერძოდ, სსკ 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „3. ერთი საწარმოს/ორგანიზაციის მეორე საწარმოსთან/ორგანიზაციასთან მიერთებისას მიერთებული საწარმოს/ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულების/დავალიანების შესრულების უფლებამონაცვლედ ითვლება საწარმო/ორგანიზაცია, რომელსაც მიუერთდა ეს საწარმო/ორგანიზაცია“.

სსკ 59-ე მუხლის მიხედვით კი:

„4. თუ საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია განხორციელდა კალენდარული წლის დამთავრებამდე, მისთვის უკანასკნელი საგადასახადო პერიოდი არის მონაკვეთი ამ წლის დასაწყისიდან მისი ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის დასრულების დღემდე...“

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული წესები არ გამოიყენება იმ საწარმოების/ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც გამოეყო ან მიუერთდა ერთი ან რამდენიმე საწარმო/ორგანიზაცია...

8. ამ მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული წესები არ გამოიყენება იმ გადასახადის მიმართ, რომლის საგადასახადო პერიოდი არ არის კალენდარული წელი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შვილობილი კომპანია შერწყმის შემდეგ ვეღარ წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს, მაგრამ მის საგადასახადო ვალდებულებებს შეასრულებს მისი სამართალმემკვიდრე, ანუ საწარმო, რომელიც წარმოიქმნა რეორგანიზაციის (ანუ, მშობელი საწარმოსა და შვილობილი კომპანიის შერწყმის) შედეგად. ამ საწარმომ ყოფილი შვილობილი კომპანიის ქონების გადასახადი უნდა დაადეკლარიროს ქონების გადასახადის დეკლარირებისთვის დადგენილ ვადაში, ანუ – არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 აპრილისა. ამასთან, დეკლარირება მოხდება რეორგანიზებული შვილობილი კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომრით. ასეთი რამ ტექნიკურად შესაძლებელია.

პიიხვპა: საქართველოში დიპლომატიური ორგანიზაციის (საელჩოს) ადგილობრივი თანამშრომლები როგორ და რა პერიოდულობით ინდიან საშემოსავლო გადასახადს მიღებული ხელფასებიდან?

პასუხი: სსკ 153-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, „8. საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის გადახდილი ანაზღაურების დაბეგვრის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“. კერძოდ, ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებულია საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის „გ“ დანართი, ხოლო ამავე ინსტრუქციის 33-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად:

„8. დეკლარაციის დანართი „გ“-ს ავსებენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები, რომელთაც საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე ორგანიზაცი(ებ)იდან ან/და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონის საწარმო(ებ)იდან მიიღეს ხელფასი და აღნიშნული არ დაბეგრილა გადახდის წყაროსთან. დეკლარაციის დანართი „გ“-ს უჯრეტში მონაცემები აისახება უჯრეტის დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, ამასთან:

- ა) პირველ სვეტში – აისახება ხელფასის გაცემის თვე;
 - ბ) მე-2 სვეტში – აისახება საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის მიერ, საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ან/და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონის საწარმო(ებ)იდან მიღებული ხელფასის ოდენობა;
 - გ) მე-3 სვეტში – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი შეღავათის ოდენობა, ამასთან თუ შეღავათი სრულად გამოიყენება დეკლარაციის III ნაწილს ან/და დანართი „ა“-სა და დანართი „ბ“-ში, დადგენილი შეღავათი არ ექვემდებარება აღნიშნულ სვეტში ასახვას, ხოლო ნაწილობრივი გამოყენების შემთხვევაში მიეთითება შეღავათის აუთვისებელი ოდენობა;
 - დ) მე-4 სვეტში – აისახება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი;
 - ე) მე-5 სვეტში – აისახება დანართი „გ“-ს შესაბამისად დარიცხული საშემოსავლო გადასახადის ოდენობა (თანხა);
 - ვ) მე-6 და მე-7 სვეტში – აისახება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“.
- შესაბამისად, საქართველოში დიპლომატიური ორგანიზაციის (საელჩოს) ადგილობრივი თანამშრომლები მიღებული ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან წელიწადში ერთხელ, საგადასახადო ორგანოსთვის საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის შემდეგ.

პიიხვპა: კომპანიას ფიზიკური პირისგან (რომელიც არ არის მისი დამფუძნებელი) მიღებული აქვს სესხი. საგადასახადო თუ არა გავცემთ პროცენტები? დიდი ხანია არ აუღია.

პასუხი: წესით, სესხის მიღება/დაბრუნებისა და მასზე დარიცხული პროცენტების გადახდის ვალდებულებები მხარეთა შორის ხელშეკრულებით უნდა იქნეს განსაზღვრული. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მიხედვით, სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც, მაგრამ ზეპირი ხელშეკრულებების შემთხვევაში, ძნელი ხდება მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

თუ გამსესხებელი ფიზიკური პირი არ ითხოვს პროცენტების გადახდას, ცხადია, შეგიძლიათ არც გადაუხადოთ, თუმცა თუ გამსესხებელი პირი პროცენტების გადახდას მოითხოვს, მაშინ უნდა გაირკვეს, როდის წარმოეშვა მას ამ მოთხოვნის უფლება, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნებზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა:

„1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია“.

ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეეყო უფლების დარღვევის შესახებ“.

შესაბამისად, თუ გამსესხებელ ფიზიკურ პირს პროცენტების (ან მათი ნაწილის) მიღების უფლება წარმოეშვა, მაგალითად, 2021 წლის 31 დეკემბერს, მაგრამ არ მიუღია ისინი და არც მოუთხოვია, მაშინ 2025 წლის 1 იანვარს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, მან ეს უფლება დაკარგა. თუმცა, თქვენი სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ მაინც გადაუხადოთ მას ეს პროცენტები, ნებაყოფლობით.

პიიხვპა: ჩვენი შპს, რომელიც ვაჭრობს სამედიცინო აპარატურას და მოწყობილობას, სპონსორობას უწევს ა(ა)იპ-ს, რომელიც ატარებს ექიმების კონფერენციას საქართველოში. სპონსორობის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს: ჩვენი კომპანიის ლოგოს განთავსებას კონფერენციის მოსაწვევზე და პროგრამაზე; ჩვენი კომპანიის შესახებ სტენდის განთავსებას საკონფერენციო დარბაზის შესასვლელში; ჩვენი კომპანიის საპრომოციო მასალის გავრცელებას. უნდა დავბეგრეთ თუ არა გადარიცხული თანხა მოგების გადასახადით?

პასუხი: სპონსორობა განმარტებულია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს 18.02.1998 წ. კანონის მე-13 მუხლით:

„ამ კანონის მიხედვით, სპონსორობა არის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების გაწევის, გაწეული მომსახურების, სამუშაოს შესრულების სახით) სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის რეკლამის გავრცელების პირობით. სპონსორული შენატანი განიხილება რეკლამის ღირებულებად, ხოლო სპონსორი და დასპონსორებული – შესაბამისად, რეკლამის დამკვეთად და რეკლამის გამავრცელებლად. სპონსორს უფლება არა აქვს, ჩაერიოს რეკლამის მწარმოებლისა და რეკლამის გამავრცელებლის საქმიანობაში. სპონსორობის უფლება არა აქვს იმ პირს, რომლის ნაწარმის ან საქმიანობის გავრცელებაც აკრძალულია ამ კანონით. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის მწარმოებლის, იმპორტიორისა და რეალიზატორის მიერ პირდაპირი ან/და არაპირდაპირი (ანუ სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის საშუალებით) სპონსორობა“.

მართალია, აქ წარმოებული საქონლის რეკლამაზეა საუბარი, მაგრამ ჩვენი პოზიციაა, რომ იგივე დებულება უნდა გავრცელდეს სპონსორი პირის მომსახურების რეკლამირებაზეც.

აღნიშნულიდან და კითხვის მოცემულობიდან გამომდინარე, თქვენი კომპანია ამ ა(ა)იპ-ს თანხას უხდის არა უსასყიდლოდ, არამედ იხდის მისთვის გაწეული/გასაწევი მომსახურების საზღაურს, რაც, ზოგადად, ცხადია არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დასაბეგრ თანხას.

თუმცა, აქ არის ერთი საყურადღებო მომენტი: თუ შპს სპონსორობას უწევს ა(ა)იპ-ს, მაშინ გამოდის, რომ ა(ა)იპ არის მისთვის მომსახურების გამწევი პირი, რომელიც ამ ფორმითა და გზით, ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და უნდა უწერდეს სპონსორს კომერციულ ინვოისს გაწეულ მომსახურებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ა(ა)იპ-ის მიერ მსგავსი სასპონსორო ხელშეკრულებებიდან მიღებულმა თანხებმა ნებისმიერი 12 უწყვეტი თვის განმავლობაში გადააჭარბა (ან გადააჭარბებს) 100000 (ასი ათასი) ლარს, მაშინ ის უნდა დარეგისტრირებულიყო (ან უნდა დარეგისტრირდეს) დღგ-ის გადამხდელად და მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, გამოუწეროს მას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ეს, თითქოს, ა(ა)იპ-ის პრობლემაა და არა შპს-ის, მაგრამ თუ დადგინდა, რომ ა(ა)იპ დღგ-ის გადამხდელი უნდა ყოფილიყო და არ არის, მაშინ დღის წესრიგში შეიძლება დადგეს საკითხი, საერთოდ ჰქონდა თუ არა მომსახურების გაწევის ადგილი? ამგვარ შემთხვევაში, დღგ-ით არდაბეგვრის ფაქტი საგადასახადო ორგანომ შეიძლება გამოიყენოს იმის მტკიცებად, რომ შინაარსობრივად, მომსახურების გაწევის

კომპონენტი იყო უმნიშვნელო და ძირითადი კომპონენტი იყო ა(ა)იპ-ის უსასყიდლო დაფინანსება, რაც დასაბეგრია მოგების გადასახადით სსკ 98³ მუხლის „უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა“ შესაბამისად.

კითხვა: საშემოსავლო გადასახადით სამშენებლო სამუშაოების დაბეგვრის წესი, რაც შეიცვალა მცირე ბიზნესის მეწარმეებზე, ტექნიკის იჯარაზეც უნდა გავრცელდეს თუ არა?

პასუხი: „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2010 წ. №415 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების თანახმად, რომელიც 1 თებერვლიდან ამოქმედდა, დანართ №5-ს („შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში“) დაემატა შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 006-2016-ის“ 41.2 ჯგუფით გათვალისწინებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის მომსახურების, 42-ე განყოფილებით გათვალისწინებული სამოქალაქო მშენებლობის მომსახურების ან/და 43-ე განყოფილებით გათვალისწინებული სპეციალიზებული სამშენებლო მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი, თუ აღნიშნული მომსახურების მიძღვრულ წარმოადგენს საქართველოს სავადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საწარმო, ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი“.

ამგვარად, ეს შეზღუდვა ეხება სეკ 006-2016 კლასიფიკატორის 41.2 ჯგუფს და 42-ე და 43 განყოფილებებით გათვალისწინებულ მომსახურებას.

როგორც სეკ 006-2016 კლასიფიკატორის სექცია F-ის შესავალშია აღნიშნული, „სამშენებლო მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად კლასიფიცირდება როგორც სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკური სახეობა, რომელიც სრულდება მოცემული მოწყობილობებით“! ეს გადის 43.99.1 მუხლში „სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარა ოპერატორთან ერთად“.

იგივეა აღნიშნული 43.99.9 მუხლშიც. შესაბამისად, თუ ტექნიკის მეიჯარე თავადვე ასრულებს ამ ტექნიკის მეშვეობით განხორციელებულ სამუშაოს, მაშინ მასზე ზემოაღნიშნული შეზღუდვა გავრცელდება.

თუ იჯარით აღებული ტექნიკა მეიჯარის მომსახურების გარეშე გამოიყენება, მაშინ ეს არ ხვდება 43-ე განყოფილებაში, რადგან 43.99.1 მუხლში დამატებით აღნიშნულია:

„ეს ქვეკლასი არ შეიცავს: სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარას ოპერატორის ვარეშე, იხ. 77.32.0“.

აღნიშნავთ ასევე, რომ „სატვირთო ავტომობილების იჯარა მძღოლთან ერთად“ მიეკუთვნება კლასიფიკატორის 49.41.0 მუხლს.

მაგრამ, ტექნიკის მეიჯარეები მაინც ვერ დაიბეგრებიან როგორც მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირები, რადგან საქართველოს მთავრობის 29.12.2010 წ. №415 დადგენილების №5 დანართში პირდაპირ აღნიშნულია:

„შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში

1. ქონების იჯარით/უძრავი ქონების ქირით გაცემა“...

კითხვა: სამშენებლო კომპანიაში, მომსახურებას გვიწევს ფიზიკური პირი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, დარეგისტრირებულია ინდემწარმედ.

ამ პირზე გაცემულია თანხები და დაბეგრილია საშემოსავლოთი, დაკავებულია საბენსიო დაზღვევის თანხებიც. საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში არის გატარებული როგორც მომსახურება 20% –იანი დაბეგვრით. ამ შემთხვევაში დაჯარიმდება სამშენებლო კომპანია? რა სახის გადასახადები დაეკისრება სამშენებლო კომპანიას? სწორია თუ არა საბენსიო დაზღვევის შენატანის დაკავება? ეს ფიზიკური პირი ისევე იმუშავებს ჩვენს კომპანიაში და როგორც მეუბნებიან, ჩვენთან უნდა დადგეკლარირდეს მისი შემოსავალი. შეგვიძლია ისევე ასე გავაგრძელოთ მასთან ურთიერთობა?

პასუხი: სამშენებლო კომპანია არ დაჯარიმდება, მიუხედავად იმისა, რომ ინდემწარმისაგან შეძენილი მომსახურების გადახდისას, მას არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება. კომპანიას გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების ვალდებულება, სსკ 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, აქვს შემდეგ შემთხვევაში:

„1. გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება სავადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ:...

დ) საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც გაწეული მომსახურების ღირებულებას უნაზღაურებს ფიზიკურ პირს (გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, ნოტარიუსისა, კერძო აღმასრულებლისა, მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისა, შესაბამისი საქმიანობის ნაწილში), რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირებული არ არის“.

ამგვარად, წესით, ინდემწარმისთვის მომსახურების ანაზღაურებისას გადასახადის დაკავება არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ ეს ინდემწარმე დღგ-ის გადამხდელი არ არის, მხარეებს შეეძლოთ ხელშეკრულებით განესაზღვრათ ასეთი პირობა: დაეთქვათ, რომ კონკრეტული ფიზიკური პირი კომპანიას არ უწევს ამ მომსახურებას თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და ამიტომ საშემოსავლო გადასახადის დაკავების ვალდებულება, ასევე, ამ შემთხვევაში საპენსიო დაზღვევის შენატანების დაკავება-ღარიცხვა (თუ ეს ფიზიკური პირი დავროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეა) ეკისრება მომსახურების ანაზღაურებელ კომპანიას. ამ შემთხვევაში, ბიუჯეტი არ ზარალდება. მართალია, თეორიულად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, კომპანიას მოუხსნას ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი (იმ მოტივით, რომ მას მისი დაკავება არ ეკუთვნოდა, ხოლო ინდემწარმეს დაარიცხოს ეს გადასახადი და დააჯარიმოს, მაგრამ რეალურ პრაქტიკაში, ასეთი რამ მოსალოდნელი არ არის. მთავარი პრობლემა აქ ისაა, რომ თუ ეს ინდემწარმე დღგ-ის გადამხდელი არ არის, მისთვის დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ზღვრის დადგენის მიზნებისათვის, ზემოაღნიშნული ფორმით ანაზღაურებული მომსახურება მის მიერ მაინც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ თუ ფიზიკურ პირს საშემოსავლო გადასახადი დაუკავდა გადახდის წყაროსთან, მაგრამ მიიჩნევს, რომ არ უნდა დაკავებოდა (ან ნაკლები უნდა დაკავებოდა) და თავად უნდა გადაეხადა, ის უფლებამოსილია მოითხოვოს მისთვის ზედმეტად დაკავებული საშემოსავლო გადასახადის დაბრუნება შემოსავლების სამსახურისთვის შესაბამისი წლიური საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის გზით, რაც აღნიშნულია სსკ 153-ე მუხლის მე-4 ნაწილში:

„4. ფიზიკურ პირს, რომელიც არ არის ვალდებული, წარადგინოს დეკლარაცია, შეუძლია წარადგინოს იგი გადასახადის გადაანგარიშებისა და დაბრუნების მოთხოვნით“.

თუ ეს ფიზიკური პირი აგრძელებს თქვენი კომპანიისთვის მომსახურების რეგულარულად გაწევას, მაშინ საუკეთესო გამოსავალია მასთან დადებული იქნეს შრომითი ხელშეკრულება კონკრეტული სამუშაოს შესრულებაზე საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ან გაფორმდეს სხვა სახის შრომითი ხელშეკრულება, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. ეს გადახდის წყაროსთან გადასახადების დაკავებასაც ბუნებრივს გახდის და ფიზიკური პირის დღგ-ის დაბეგვრის თემასაც მოხსნიდა.

კითხვა: 1) თუ თანამშრომელს პროდუქციას მიყვით საბაზრო ფასზე დაბალი ფასით, რა იქნება დასაბეგრი თანხა დღგ-ის მიზნებისთვის და საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის?

2) თუ თანამშრომელს პროდუქციას გაჩუქებთ, რა იქნება დასაბეგრი თანხა დღგ-ის მიზნებისთვის და საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის?

პასუხი: სსკ 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად:

„3. ანაზღაურების სანაცვლოდ, საქონლის მიწოდებად ასევე განიხილება:

...გ) დასაბეგრი პირის მიერ საქონლის მიწოდება მისი დაქირავებული პირის პირადი სარგებლობისთვის ან მიწოდება/გამოყენება საკუთარი საქმიანობის მიზნისგან განსხვავებული მიზნით, თუ მას ამ საქონელზე ან მასზე გაწეულ ხარჯზე დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი“.

ამგვარად, თუ დღგ ჩათვლილია (თუნდაც ნაწილობრივ), მაშინ ნებისმიერ შემთხვევაში თანამშრომელზე საქონლის მიწოდება დღგ-ით დასაბეგრია, თუნდაც ის სასყიდლის გადახდის გარეშე ხდებოდეს. ამ დროს სამსჯელოა, თუ რა თანხიდან უნდა დაიბეგროს ეს მიწოდება. აქ ასეთი არაორდინალური სიტუაცია გვაქვს, რომ სსკ 164-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი:

„2. ამ კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილის:

ა) „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის საქონლის შესყიდვის ფასი ამ ან ანალოგიურ საქონელზე, ან თუ ასეთი არ არსებობს – მისი წარმოების ფასი, რომელიც შესაბამის შემთხვევებში დგინდება საქონლის გამოყენების, გასხვისების, დასაკუთრების (მფლობელობაში დარჩენის) ან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მომენტში“,

წინააღმდეგობაში მოდის ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ პუნქტთან:

„7. ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის დროს დღგ-ით დასაბეგრი თანხა არის საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასი, დღგ-ის გარეშე, თუ:

ა) დასაბეგრი ოპერაციის ანაზღაურების თანხა დაბალია მის საბაზრო ფასზე და საქონლის/მომსახურების

შემდგენს ამ კოდექსის შესაბამისად, ამ ოპერაციაზე არ აქვს დღგ-ის სრულად ჩათვლის უფლება“.

ჩვენი პოზიციაა, რომ დღგ-ით დაბეგვრა უნდა მოხდეს საბაზრო ფასიდან, გარდა იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელზე საბაზრო ფასზე უფრო დაბალი ფასით პროდუქციის მიწოდება ხდება კომპანიის მიერ საჯაროდ გამოცხადებული სარეკლამო-მარკეტინგული აქციის ფარგლებში, რომელიც მომხმარებელთა ფართო წრეზე არის გათვლილი.

თუ თანამშრომელს ისეთ პროდუქციას აწვდით უსასყიდლოდ, რომელზეც დღგ არ არის ჩათვლილი (თუნდაც ნაწილობრივ), მაშინ თანამშრომელზე მიწოდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია არაა, მაგრამ თუ ეს პროდუქცია სხვა საქონელთან ერთად არის შეტენილი, რომელზეც დღგ ჩათვლილია, ძნელია იმის მტკიცება, რომ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურიდან დღგ-ის მხოლოდ ის ნაწილი ჩაითვალოს, რომელიც შემდგომში უსასყიდლოდ გადაცემულ საქონელს არ უკავშირდება.

პიიხვპა: დაუწყვილებელ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებთან დაკავშირებით, რა სანქცია ელის მიმღებ-ჩამთვლელ მხარეს? შემოსავლების სამსახურის „ცნელ ხაზზე“ გეპასუხობენ, რომ გაგვიუქმებენ დღგ-ის ჩათვლებს. არ არსებობს შესაძლებლობა გავლენა მოვახდინოთ მომწოდებელზე? ან, რომელი მუხლით გაგვიუქმებენ?

პასუხი: დღგ-ის ჩათვლა/არჩათვლის წესები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით და ფინანსთა მინისტრის 31.12.2010 წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“. „დაუწყვილებლობის“ გამო, ანუ როდესაც მიმწოდებელმა გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, მაგრამ არ მიაბა ის დღგ-ის არცერთ დეკლარაციას, დღგ-ის ჩათვლის გაუქმებას მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ამჟამინდელი საგადასახადო პრაქტიკა ჩამოყალიბდა ასე, რომ თუ გადამხდელს წარდგენილი დღგ-ის დეკლარაციით წარმოეშვა ზედმეტობა ბიუჯეტის მიმართ, მაგრამ დღგ-ის ჩათვლა მომხდარია ისეთი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომელიც მიმწოდებელს „დაწყვილებული“ არ აქვს, მაშინ გადამხდელს ბიუჯეტი არ უბრუნებს (იგულისხმება საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა) დღგ-ის ზედმეტობას.

პიიხვპა: შპს-ის (საზოგადოებრივი კვების ობიექტია) ტერიტორიაზე მოხდა ასეთი სიტუაცია: ბავშვს დაარტყა დენმა ელექტრობოძიდან. საბედნიეროდ, ბავშვი გადარჩა. მოხდა პოლიციაში ამ სიტუაციის თაობაზე განცხადების შეტანა მშობლის მხრიდან, მაგრამ პროცესი არ გაგრძელდება და მოხდა შეთანხმება ბავშვის მშობელთან, რომლის საფუძველზეც შპს-ს დაეკისრა გადასახდელად კომპენსაცია 40000 ლარის ოდენობით, როგორც „ინციდენტით გამოწვეული ზიანის კომპენსაცია“. ამასთან, შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს, რომ ბავშვის მხარე „უარს აცხადებს ყოველგვარი სამოქალაქო თუ სისხლის სამართლებრივი მოთხოვნის წარდგენაზე“ და თანახმაა „რომ არც შპს და არც მისი ხელმძღვანელი პირები არ იქნენ მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში“. როგორ დაიბეგრება ეს თანხა?

პასუხი: მოცემული სიტუაციაში, უნდა განისაზღვროს, თუ რისთვის არის გადახდილი ეს კომპენსაცია: ეს წარმოადგენს დაზარალებული მხარის მიერ უკვე გაწეული ან გასაწევი სამედიცინო ან სხვა მსგავსი ხარჯების ასანაზღაურებელ საფასურს თუ იმის საფასურს, რომ დაზარალებულმა მხარემ საჩივარი არ აღძრას შპს-ის წინაშე?

ჩვენი პოზიციაა, რომ საჩივრის არშეტანა უბრალოდ არის მორიგების შედეგი, ხოლო მორიგების მთავარი მიზანი და დანიშნულება კი არის დაზარალებული მხარისთვის ბავშვის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, გადახდილი კომპენსაცია უნდა დაბეგროს საშემოსავლო გადასახადით კომპენსაციის მიმღებმა მხარემ, იმ ფაქტობრივი ხარჯების გამოკლებით, რაც მან გაწია საანგარიშო წლის განმავლობაში მომხდარი ინციდენტის გამო. ამ მიზნით, მან თავად უნდა წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია სსკ 153-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად:

„1. საშემოსავლო გადასახადის/მოგების გადასახადის შესახებ დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგენენ:

ა) რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავალიც არ იბეგრება საქართველოში გადახდის წყაროსთან (გარდა იმ პირებისა, რომლებიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-7 და 7¹ ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით)“.

რედაქციაში შემოსულ სხვა შეკითხვებს პასუხი გაეცემათ ჟურნალის შემდეგ ნომერში.

რუბრიკის სპონსორები:



www.aafccapital.ge

შპს „ააფ-კაპიტალი“

AAFC — სასწავლო-სასერტიფიკაციო პროგრამები ფინანსებში



საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის / ტვილისი

შრომის ბირჟა ფინანსისტიკისათვის - ამ რუბრიკის მეშვეობით „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ ეხმარება სასწავლო ცენტრი „ააფ-კაპიტალი“ მსმენელებს ან/და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ინფო ბუღალტერი“ მცოდნე ფინანსური სფეროს სპეციალისტებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს შოვნაში, ხოლო საწარმოებს - კადრების შერჩევაში. ნებისმიერი სახის ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ჟურნალის რედაქციაში: ტელ. 239-33-50 ან 239-33-47.

განცხადებების განთავსება უფასოა, თუმცა გამოქვეყნების ჯერადობა შეზღუდულია. აუცილებელი მითხვანაა, რომ უფასო განცხადებების გამოქვეყნების მსურველმა გაიაროს ერთჯერადი გასაუბრება ჟურნალის მთავარ რედაქტორთან.

ამ რუბრიკის მეშვეობით სამსახური იშოვა 69 განმცხადებელმა!

- ბანკი. 040010. კაცი, 24 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - სასაუბრო. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 289026. ქალი, 34 წლის, AAFC-1/ AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 098901. ქალი, 35 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 228501. ქალი, 39 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 058018. ქალი, 44 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 070015. ქალი, 24 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139402. ქალი, 30 წლის, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 139303. ქალი, 31 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - სასაუბრო, რუსული - ძალიან კარგი. კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 089026. ქალი, 33 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 049712. კაცი, 26 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 029402. კაცი, 29 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - საშუალო, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 099702. კაცი, 26 წლის, AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 137323. ქალი, 50 წლის, „ბიჯისი“ კურსები, რუსული - ძალიან კარგად, ინგლისური - საშუალო, კომპიუტერი - ძალიან კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 040010. კაცი, 23 წლის, AAFC-1/AAFC-2 კურსები, ინგლისური - კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.
- ბანკი. 125931. ქალი, 59 წლის, AAFC-2 კურსები, კომპიუტერი - საშუალოდ. ეძებს ბუღალტრის სამუშაოს.
- ბანკი. 39121. კაცი, 31 წლის, მსმენელი/AAFC-2 კურსები, ინგლისური - ძალიან კარგად, რუსული - საშუალო, კომპიუტერი - კარგი. ბუღალტრის ან ბუღალტრის თანაშემწის სამუშაოს.

საზღვარგარეთის ამბავი

საზღვარგარეთის ამბავი - ამ რუბრიკით საქართველოს ფარგლებს გარეთ მომხდარ სხვადასხვა სახის ამბავებს და მნიშვნელოვან ამბებს გაგაცნობთ.

რუბრიკას უძღვება „ააფის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ფრიდონ კერვალიშვილი.

უკრაინამ იშვიათი ლითონების მარაგი კოზირად ჯერ ვერ გამოიყენა

ყოფილ შოუმენტა მოლაპარაკების წარუმატებელი პირველი ეტაპი

უკრაინისა და აშშ-ის პრეზიდენტთა თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში პირველი შეხვედრა, ორივე მხარისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. ერთი შეხედვით, 28 თებერვალს მასპინძლები სტუმარზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით შეეცადნენ მისგან იშვიათი ლითონების შესახებ შეთანხმებაზე დაყოლიებას. არადა, ვოლოდიმირ ზელენსკი დონალდ ტრამპს სწორედ ამ დოკუმენტზე ხელმოსაწერად ეწვია. სწორედ ორი ქვეყნის უმაღლესი რანგის პერსონათა შეხვედრისთვის შეუფერებელი სიტყვიერი შეხლა-შემოხლის გამო, ბევრმა ამ საჯარო დაპირისპირებაში შოუს ელემენტები შენიშნა. თუმცა, ჩვენი სტატიის მიზანი უკრაინული იშვიათი ლითონებისადმი გაზრდილი ინტერესის მიზეზების დადგენაა.

რამდენიმე დღით ადრე, ევროკავშირმა უკრაინას „კრიტიკულად საჭირო მინერალებზე“ შეთანხმების საკუთარი ვარიანტი შესთავაზა. „ეს იმ მომენტში მოხდა, როცა ტრამპმა გამოაცხადა, რომ ვაშინგტონის კიევთან უკრაინის ბუნებრივ რესურსებზე უფლებების მოპოვების თაობაზე გარიგების საბოლოო გაფორმებას აღარაფერი აკლდა“, - წერდა Politico.

ევროკომისარი სტეფან სეჟურნე ამბობდა, რომ ამ ვარიანტს ამერიკულიდან დამატებითი ღირებულება აქვს - იგი არ ითხოვს ურთიერთსასარგებლოსგან განსხვავებული გარიგების დადებას. ფრანგი პოლიტიკოსი ირწმუნება, რომ უმთავრესად საჭირო 30 მინერალიდან უკრაინას ევროკავშირის უზრუნველყოფა 21 დასახელებით შეუძლია. მისი მტკიცებით მხარეები პარტნიორული ურთიერთობისთვის მზად არიან.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს, მან 15 იანვარს ხელმოწერილი ასწლიანი პარტნიორობის შეთანხმებით, სასარგებლო წიაღისეულების მოპოვებაში უკრაინის პრიორიტეტული პარტნიორის სტატუსი დაიბევა.

ჩამოთვლილთა გარდა, დამპყრობლის სტატუსით ცნობილი რუსეთიც არ აპირებს გვერდზე ყოფნას. იქ ხომ ყველაფერს საკუთარი სურვილის მიხედვით იკანონებენ. მორიგი კონსტიტუციური ცვლილებისას, 2022 წლის სექტემბერში, ომით მითვისებული (იმ პერიოდისთვის) ბუნებრივი რესურსებით მდიდარი უკრაინის ტერიტორიები პუტინმა რუსეთის კუთვნილებად გამოაცხადა. ამასთანავე, აგრესორის შეიარაღებული

ძალები ძალიან ახლოს არიან დნეპროპეტროვსკის ოლქის საზღვრებთან, სადაც ურანის, მანგანუმისა და რკინის საბადოებთან ერთად, „ყბადალებული“ იშვიათი ლითონების მარაგიც ბევრია.

რომელი წიაღისეული მიმკუთხნება იშვიათი ლითონების კატაგორიას

„იშვიათი ლითონები“ - ქიმიური შემადგენლობით ერთმანეთის მსგავსი 17 ელემენტის საერთო ტერმინია. ისინი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიების წარმოებასა და მრეწველობაში. მათ უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ სმარტფონების, კომპიუტერების, სამედიცინო და კიდევ მრავალი სხვა დანადგარების წარმოებაში.

ეს ელემენტებია: სკანდიუმი - Sc, იტრიუმი - Y, ლანთანი - La, ცერიუმი - Ce, პრაზეოდიმი - Pr, ნეოდიმი - Nd, პრომეთიუმი - Pm, სამარიუმი - Sm, ევროპიუმი - Eu, გადოლინიუმი - Gd, ტერბიუმი - Tb, დისპროზიუმი - Dy, ჰოლმიუმი - Ho, ერბიუმი - Er, თულიუმი - Tm, იტერბიუმი - Yb, ლუტეციუმი - Lu.

ამ მინერალებს „იშვიათი“ იმიტომ შეარქვეს, რომ მათი სუფთა სახით მოპოვება არც ისე ადვილია - მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი მსოფლიოში ყველგან მოპოვება. ამას გარდა, ხშირად იშვიათი ლითონები ისეთ რადიაქტიურ ელემენტებთან ერთად გვხვდება, როგორიც თორიუმი და ურანია. ამიტომ მათ განცალკევებას დიდი ოდენობის ტოქსიკური ქიმიკატები სჭირდება. ეს კი, მოპოვების პროცესს რთულს და საკმაოდ ძვირადღირებულს ხდის.

უკრაინული აქტივების ათვისება

უკრაინაში საბჭოთა პერიოდის შემორჩენილი აქტივები უკვე სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში იძლევა დივიდენდებს. საბადოების ათვისება და სამრეწველო ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენება უკრაინელ ოლიგარქებს მრავალმილიონიანი შემოსავლებით უზრუნველყოფს. უკრაინის ტერიტორიაზე იშვიათი ლითონების დადასტურებული მსოფლიო მარაგის 5%-ს შეადგენს. მათ შორის ძირითადი წილი ურანზე, ტიტანზე, ლითიუმსა და

გრაფიკზე მოდის.

Financial Times-ი ირწმუნება, რომ შტატებთან ხელმოსაწერი წიაღისეულის შეთანხმება სახელმწიფო დაწესებულება „უკრაინის ნავთობგაზს“ და მის ქვედანაყოფებს არ შეეხება. ცნობისთვის, „ნავთობგაზი“ ქვეყნის უმსხვილესი გადამხდელია – ის უკრაინის ბიუჯეტს თითქმის 15%-ით ავსებს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკელები ადგილობრივი ოლიგარქების საკუთრებაში მყოფი კერძო აირნავთობური აქტივებიდან შემოსავლების მიღებას არ მოისურვებენ.

ტრამპის ადმინისტრაციას რაც დანამდვილებით აინტერესებს, ესაა უკრაინის სამთო-მეტალურგიული კომპლექსი მისი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატებით. განსაკუთრებული აქცენტი ქვეყნის აღმოსავლეთზე კეთდება, სადაც ბუნებრივი ურანი მოიპოვება. აქვეა მსოფლიოში უდიდესი, მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების წარმოება (პოკროვსკი). სრული მიმზიდველობისთვის, დნეპროპეტროვსკის ოლქში მდებარე ვოლნოვოროსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი (სგკ) ტიტანის ნაერთებისა (ილმენიტი, რუტილი) და ცირკონის საბადოების ექსპლუატირებას ეწევა.

არ გამორიცხავენ, რომ ზელენსკიმ სწორედ მოსალოდნელი ხელმოწერისთვის მოსამზადებელი ღონისძიებებისთვის განახორციელა მთელი რიგი კერძო საწარმოების „ნაციონალიზაცია“. ეს პროცესი პირველ რიგში შეეხო პოლტავის ოლქში მდებარე ოლიგარქ კონსტანტინ ჟევავოს აქტივებს. აქაური სგკ-ები რკინის კვარციტების მოპოვებაზე სპეციალიზდებიან. ისინი შვეიცარიაში რეგისტრირებულ Ferrexpo-ჯგუფში შედიან, რომელიც მეტალურგიაში გამოყენებადი რკინის ბურთულების უმსხვილესი უკრაინული ექსპორტიორია.

მოსამზადებელ პერიოდში, აშშ-ის მხრიდან უკრაინის სამთო-მეტალურგიული მრეწველობის აქტივებისგან მხოლოდ მიღებული შემოსავლებისადმი ინტერესი კი არა, მათზე კონტროლის სურვილი გამოიკვეთა. ტრამპი რომ ჩინეთს მსოფლიო პირველობაში უპირველეს კონკურენტად მიიჩნევს, საიდუმლო არაა. სწორედ ამ, ერთი შეხედვით, „მშვიდობიან“ ომში სურთ ამერიკელებს ხელმისაწვდომი უკრაინული რესურსების და ნედლეულის გამოყენება.

იშვიათი ლითონების მსოფლიო ბაზრის მიწინააღმდეგობა

2024 წლის მდგომარეობით იშვიათი ელემენტების ბაზარზე ნედლეულის ოდენობა 175,03 კილოტონას შეადგენდა. Mordor Intelligence-ს პროგნოზით, 2029 წლისთვის იგი 214,89 კილოტონამდე გაიზრდება (წლიური მატება 4,19%). სპეციალისტთა მტკიცებით, COVID-19-ის პანდემიამ ელემენტებზე მოთხოვნა საგრძნობლად შეამცირა, თუმცა 2021 წლიდან, როცა მსოფლიო ეკონომიკა „გაცოცხლდა“ და სამრეწველო საქმიანობა აღდგა, სიტუაცია თანდათან გაუმჯობესდა.

ბაზარზე ლიდერის როლი აზიურ-წყნაროკეანურ რეგიონს უკავია. ჯანდაცვის სფეროში ინვესტიციების ზრდისა და კერამიკისადმი მოთხოვნისა და შესაბამისად, მისი წარმოების მატების აუცილებლობა, რეგიონში იშვიათი ელემენტების მოხმარებას კიდევ უფრო გაზრდის. ამ ნედლეულის უდიდესი ნაწილი მსოფლიო ბაზარზე ჩინეთიდანაა. აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის (USGS) მონაცემებით, 2021 წელს ჩინეთზე იშვიათი ლითონების წარმოების ხვედრით წილად 78% მოდიოდა; ამჟამად ეს რიცხვი 60%-ს უტოლდება, თუმცა ჩინეთი წლიურად გადამუშავებული იშვიათი ლითონების 90%-იანი მარაგებით უპირობო დომინანტია.

USGS-ს კვლევებით, 2024 წლისთვის პლანეტაზე ზემოთ ნახსენები 17 იშვიათი მინერალის მარაგი 110 მილიონ ტონას შეადგენდა. ამ მონაცემებით, მოწინავე ქვეყნების ჩამონათვალი ასეთია: ჩინეთი – 44, ბრაზილია – 21, კანადა – 14, რუსეთი – 10, ინდოეთი – 6,9, ავსტრალია – 5,7, აშშ – 3,6.

Investing News Network პორტალის რიცხვებზე დაყრდნობით, 2024 წლის საერთო მოპოვება 350 ათასი ტონა იყო. ჩინეთი აქაც პირველია – 240 ათასი. მეორეზეა აშშ – 43 ათასი, ზოლო მესამე – მიაჩნა (ყოფილი ბირმა) – 38 ათასი. სხვათა შორის, ამ უკანასკნელთა მონაპოვარი იშვიათი მინერალების 70% ჩინეთმა შეიძინა. ჩინელთათვის მეორე მთავარი ექსპორტიორია ტაილანდი, რომელმაც შარშან მოპოვებული 7,1 ათასი ტონიდან ნახევარზე მეტი მათ მიჰყიდა.

იშვიათი ელემენტებს ინდოეთის ეკონომიკისთვის წლიური შემოსავლის სახით 200 მილიარდი დოლარი მოაქვს. იმის მიუხედავად, რომ ეს ქვეყანა ამ მინერალების მარაგის მზრიაც მსოფლიო ლიდერთა შორისაა და წლიური მოპოვებითაც (3000 ტონა), იგი მისთვის საჭირო იშვიათი ლითონებისგან მიღებულ დეტალებს, მზა სახით ჩინეთისგან ყიდულობს.

სულ სხვა გზას ადგას იაპონია. გეოლოგიის პროფესორმა იასუხირო კატომ, ჯერ კიდევ 2011 წელს, ოკეანის ფსკერზე იშვიათი ლითონებით მდიდარი ადგილები აღმოაჩინა. სპეციალისტების შეფასებით, იაპონელთა მარაგი 100 მილიარდ ტონამდე (!) შეიძლება იყოს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამ გეოლოგიურ აღმოჩენას მსოფლიო ბაზარზე არსებული სიტუაცია კარდინალურად შეუძლია შეცვალოს, თუ მოპოვებაზე დახარჯული სახსრები კომერციულად გამართლებული იქნება.

ამას გარდა, იაპონიის მთავრობა ადგილობრივ კომპანიებს უცხოურ საბადოებზე წილის მიღებაში უწყობს ხელს. შესაბამისი ბიზნესით დაინტერესებულ იაპონელებს ნედლეულის ძვირფას მინერალებში გადასამუშავებლად უახლესი თაობის სატრანსპორტო საშუალებებით, საკომუნიკაციო დანადგარებით და სხვა მოწინავე ტექნოლოგიებით ეხმარებიან.

და ერთიც. გაეროს გლობალური ვაჭრობის მონაცემთა პლატფორმა Comtrade-ის ინფორმაციით,



იშვიათი ლითონების კარიერი

იაპონიამ ჩინეთიდან იშვიათი ლითონების იმპორტი ბოლო ათწლეულში 90-დან 58%-მდე შეამცირა. ქვეყნის მთავრობის უახლოესი მიზანი, 2025 წლის ბოლოსთვის ამ მაჩვენებლის 50 პროცენტზე დაბლა დაწევაა.

საკაპრო ომის ფრაგმენტი თუ ბიზნესი და მხოლოდ ბიზნესი

მრეწველობაში, კონკრეტულად კი სამხედროში, იშვიათი ლითონების როლსა და მნიშვნელობაზე მეტყველებს აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული რამდენიმე ინფორმაცია. სამხედრო-საკაპრო ძალებში გამოყენებული ერთი გამანადგურებელი F-35 400 კილოგრამ მაგნიტს საჭიროებს, რაც სწორედ იშვიათი ლითონების წიაღისეულით მზადდება; ასევე Arleigh Burke კლასის მართვადი რაკეტების საზღვაო ნაღმზიდისთვის 2,4 ტონა მაგნიტია საჭირო, „ვირჯინიას“ კლასის ყოველ წყალქვეშა ნავს – 4,2 ტონა მაგნიტი სჭირდება. ამათ გარდა, მაგნიტი ასევე ფრთოსან რაკეტა Tomahawk-ებში, რადარებში, დრონებსა და ინტელექტუალურ ჭურვებში გამოიყენება.

სამხედრო მრეწველობაში, ელექტრომობილებსა და ქარის ტურბინებში გამოყენებადი მაგნიტები პრაზეოდიმს, ნეოდიმსა და დისპროზიუმს წარმოადგენს, ხოლო სამარიუმი და კობალტი მათი პოტენციური შემცველებია. ეს, შესაბამის ბაზარს მომავალში კიდევ

უფრო კონკურენტუნარიანს გახდის.

ამიტომ იყო, რომ 2020-2024 წლებში აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ თითქმის 440 მილიონი დოლარი გამოყო იშვიათი ლითონების მოპოვებისა და გადამუშავების სრული ჯაჭვის შესაქმნელად. ამის მიუხედავად, ვერც შტატები და ვერც ევროკავშირი უახლოეს 5 წელიწადში ვერ შეძლებს ჩინეთიდან შესაბამისი ნედლეულის იმპორტის საგრძნობ შემცირებას.

Investing News Network-ის შეფასებით, ასეთი პროგნოზის გაკეთებას რამდენიმე ფაქტი უწყობს ხელს. პირველი ის, რომ როგორც ზემოთ მოყვანილი რიცხვებიდან ჩანს, იშვიათი ლითონების წლიური მოპოვებით ჩინეთი აშშ-ს 6-ჯერ სჭარბობს. ევროკავშირში, არსებული ნორმატიული შეზღუდვების გამო, მოპოვებითი და მით უფრო საწარმო პროცესები იშვიათია. აქ ქვეყნები მხოლოდ მარაგის რაოდენობრივი შეფასებით იფარგლებიან.

მეორე: აშშ-ის მარაგი 3,6 მილიონი ტონაა და მისგან რეალურად რამდენის მოპოვება შეიძლება, უცნობია;

მესამე და ალბათ უმთავრესი: ჩინეთში, აშშ-ში და ევროკავშირში სრულიად განსხვავებული იშვიათი ლითონების მინერალური ბაზებია. ჩინეთში, მარაგის უდიდესი ნაწილი იონურ თიხისმაგვარ ნიადაგში მოიპოვება, აშშ-სა და ევროკავშირში კი, იგი მეტწილად მაგმურ კომპლექსებში გვხვდება. ამიტომ, თუ ჩინეთში

მოპოვებითი სამუშაოები, პირდაპირი გაგებით, ბარით შეიძლება განხორციელდეს, ოპონენტებმა მხოლოდ აფეთქების ეფექტის იმედი უნდა იქონიონ.

ენერჯის განახლებადი წყაროების საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, ჩინეთი ამ მომენტისთვის ბუნებრივი გრაფიტისა და დისპროზიუმის მსოფლიო მიწოდების თითქმის 100%-ს, კობალტის 70%-ს და გადაამუშავებული ლითიუმისა და მანგანუმის თითქმის 60%-ს აკონტროლებს. ასეთ მასშტაბებთან დაპირისპირებას თუ არა, თანაარსებობა რომ შეძლოს შეერთებულმა შტატებმა, როგორც აღვნიშნეთ, მოპოვება-წარმოების საკუთარი ჯაჭვის შექმნა უნდა უზრუნველყოს.

უკრაინა და გრენლანდია ტრამპის ადმინისტრაციამ ამ ჯაჭვის შემაღვენელ ნაწილად წარმოიდგინა. სხვათა

შორის, გრენლანდიაში არსებული იშვიათი ელემენტების მარაგი (3,5 მილიონი ტონა) აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს ბევრად არ ჩამორჩება. უკრაინას რაც შეეხება, დონალდ ტრამპი გარეგნობების დადგენაზეა „ჩაკეკული“ და ამით თუ ამერიკის ეკონომიკის სტიმულირებაც მოხერხდება, უკან რატომ უნდა დაიხიოს?

თეთრ სახლს რაღაც დონეზე რუსეთისთვის „კოჭის გაგორება“ სურს. გარეგნულად ისე ჩანს, ტრამპს პუტინთან „ძველი ურთიერთობების“ გასხენებით, უკრაინაში ომის დასრულებას აპირებს. მას ძალიან უნდა, რომ იგი „მშვიდობისმყოფელად“ მიიჩნიონ და ნობელის პრემიის ღირსი გახადონ.

ფრიდონ კერვალიშვილი

„USAID-ის პროგრამების 83%-ს ოფიციალურად ვაუქმებთ“ – რუბიო

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო აცხადებს, რომ USAID-ის პროგრამების 83% ვაუქმდება. როგორც რუბიომ სოციალურ ქსელ X-ზე დაწერა, დარჩენილ პროგრამებზე თანხას სახელმწიფო დეპარტამენტი უფრო ეფექტიანად დახარჯავს.

„6-კვირიანი განხილვის შემდეგ ჩვენ ოფიციალურად ვაუქმებთ USAID-ის პროგრამების 83%-ს. 5200 კონტრაქტზე, რომლებიც ახლა ვაუქმებულია, ათობით მილიარდი დოლარი დახარჯა ისე, რომ არ ემსახურებოდა (ზოგიერთ შემთხვევაში ზიანს აყენებდა კიდევ) აშშ-ის საკვანძო ეროვნულ ინტერესებს. კონგრესთან კონსულტაციის შემდეგ, განზრახული გვაქვს დარჩენილი პროგრამების 17% (დაახლოებით 1000) უფრო ეფექტიანად იმართებოდეს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ“, – დაწერა რუბიომ და მადლობა გადაუხადა ილონ მასკის მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტს (DOGE), რომელმაც სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად, ამ ისტორიულ რეფორმაზე საათობით იმუშავა.

თეთრ სახლში მეორედ დაბრუნებული დონალდ ტრამპის ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება საერთაშორისო განვითარების დახმარების პროგრამების სამი თვით შეჩერება აღმოჩნდა. აშშ მსოფლიოში ყველაზე მსხვილი დონორია. მხოლოდ 2023 წელს სახელმწიფო დეპარტამენტის სხვადასხვა უწყებებმა ქვეყანაში ასობით პროექტზე 68 მილიარდ დოლარამდე დახარჯა. დახმარებას ბენეფიციარი ქვეყნები ძირითადად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (ცნობილი როგორც USAID-ი) გავლით იღებდნენ. ამ რეალობაში ტრამპის გადაწყვეტილებას გავლენა ბევრ ქვეყანაზე ექნება, რომელთა შორისაც არის საქართველოც.



თუ EU აშშ-ს ვისკიზე 50%-იან ტარიფს არ გააუქმებს, ჩვენ მათ ალკოჰოლზე 200%-იან ტარიფს დაფუნესებთ – ტრამპი

აშშ-ს პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი ევროკავშირის მიერ ამერიკულ ვისკიზე 50%-იანი ტარიფის დაწესების გადაწყვეტილებას ეხმაურება და ევროპულ ალკოჰოლურ პროდუქტზე 200%-იანი ტარიფის დაწესებით იმუქრება.

„ევროკავშირმა... ახლახან ვისკიზე საზიზღარი 50%-იანი ტარიფი დააწესა. თუ ამ ტარიფს დაუყოვნებლივ არ მოხსნიან, აშშ მალე დააწესებს 200%-იან ტარიფს ყველა ღვინოზე, შამპანურსა და ალკოჰოლურ პროდუქტზე, რომელიც შემოდის საფრანგეთიდან და ევროკავშირის სხვა წარმომადგენელი ქვეყნებიდან. ეს შესანიშნავი იქნება აშშ-ში ღვინოსა და შამპანურის ბიზნესისთვის“, – დაწერა ტრამპმა საკუთარ სოციალურ ქსელში.

აქამდე ევროკავშირმა გადაწყვიტა, რომ აპრილიდან ამერიკული წარმოების კენტუკის ბურბონსა და ჰარლი დევიდსონის მოტოციკლებზე 50%-იანი ტარიფი დაეწესებინა. ეს იყო პასუხი ტრამპის გადაწყვეტილებაზე, დაეწესებინა 25%-იანი ტარიფი ფოლადისა და ალუმინის ყველა სახის იმპორტზე. ევროკავშირის გარდა, ამ ტარიფებს უპასუხა კანადამაც.

ტრამპის ადმინისტრაცია რუსეთს ენერგორესურსებზე სანქციებს უმკაცრებს

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ რუსულ ენერგორესურსებსა და საბანკო სექტორს სანქციები გაუფართოვა.

CBS-ის ინფორმაციით, აშშ-ის ზაზინამ გააუქმა ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ იანვარში დაწესებული 60-დღიანი გამონაკლისი, რომელიც საშუალებას იძლეოდა კონკრეტული ენერგეტიკული ტრანზაქციები სანქცირებული რუსული ბანკების მეშვეობით განხორციელებულიყო. ახალი სანქციებით კი ბანკებს წვდომა აღარ ექნება აშშ-ის გადახდის სისტემასთან, შესაბამისად, ენერგორესურსების ოპერაციებთან დაკავშირებით ტრანზაქციები გართულდება.

რუსეთის ფინანსური ინსტიტუტები, რომლებსაც აქამდე სანქციები არ ეხებოდათ არიან: ვნეშეკონომბანკი, საფინანსო კორპორაცია ოტკრიტიე, სოვკომბანკი, სბერბანკი, ვითიბი ბანკი, ალფა-ბანკი, როსბანკი, ბანკ ზენიტი, ბანკ სანქტ-პეტერბურგი და რუსეთის ცენტრალური ბანკი.

ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ გამოცემული ლიცენზია სახელწოდებით 8L დასაშვებს ხდიდა 12 სანქცირებულ რუსულ ბანკში საზღვარგარეთ გაყიდული ენერგორესურსების საფასურის გადახდას, მეორადი სანქციების რისკის გარეშე.

ამ გადაწყვეტილებით სხვადასხვა ქვეყნისთვის რუსული ნავთობპროდუქტების ყიდვა გაუართულდებათ, რაც თავის მხრივ გლობალურად მინოდებას შეამცირებს. CBS-ის თანახმად, ამან შეიძლება გამოიწვიოს ფასის მატება ბარელზე ხუთ დოლარამდე, რაც შესამჩნევი ნახტომია ბოლო კვირების დაბალი ფასების შემდეგ.

აშშ-ში ინფლაცია მოსალოდნელზე მეტად შემცირდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში წლიური ინფლაციის დონე 2.8%-იან ნიშნულამდე შემცირდა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლები და ანალიტიკოსების პროგნოზზე უკეთესი მაჩვენებელია.

რაც შეეხება საბაზო ინფლაციას (CPI), რომელიც სურსათისა და ენერგორესურსების ხარჯებს არ ითვალისწინებს, აღნიშნული მაჩვენებელი წლიურ ფრილში 3.1%-იან ნიშნულზეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი წინა თვესთან მცირედით ნაკლებია.

ინფლაციის ტემპის მოსალოდნელზე მეტად შენელება პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს და ის ფედერალურ რეზერვს მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქებისაკენ უბიძგებს.

ოქროს ფასი რეკორდულად გაიზარდა

აშშ-ში სავაჭრო ასპარეზზე დაძაბულობის ფონზე, ოქროს ფასმა პარასკევს რეკორდულ ნიშნულს, ერთ უნციაზე \$3000-ს გადააჭარბა. კერძოდ, Reuters-ის ინფორმაციით, აშშ-ში ოქროს ფიჭერების ფასი 0.6%-ით, \$3009.1-მდე გაიზარდა.

ოქრო, რომელიც, როგორც წესი, საიმედო ინვესტიციად ითვლება ეკონომიკური რყევების ეპოქაში, 2025 წელს 14%-ით გაძვირდა, რაც ნაწილობრივ, დონალდ ტრამპის მიერ წამოწყებულ სავაჭრო ომთანა დაკავშირებული.

Macquarie Group-ის პროგნოზით, ოქროს ღირებულება კვლავ გაიზარდება და წლის მესამე კვარტალში \$3500-ს მიაღწევს. როგორც კომპანიის სტრატეგიული განვითარების ხელმძღვანელი აღნიშნავს, მიმდინარე წელს ოქრო მოსალოდნელზე მეტად გაძვირდა.

„ვზრდით ჩვენს პროგნოზს ოქროს ღირებულების შესახებ, წლის მესამე კვარტალში, საშუალო პიკით \$3150 ერთ უნციაზე და ერთჯერადი ზრდით – უნციაზე \$3500-მდე.“

პრეზიდენტ ტრამპის სწრაფმა გადაწყვეტილებებმა, გამოეცხადებინა იმპორტის ტარიფები, გეოპოლიტიკურ გაურკვევლობა გამოიწვია და ხელი შეუწყო ინფლაციური მოლოდინების ზრდას, ფრონტალური განაკვეთის დაწევასა და ოქროს ღირებულების ზრდას“, – წერს მარკუს გარვი.

Macquarie Group-ის განახლებულ პროგნოზს წინ უსწრებდა ფრანგული ბანკის, BNP Paribas-ის მიერ პროგნოზის გაზრდა მეორე კვარტალისთვის – უნციაზე \$3100-მდე.

„ტრამპის ადმინისტრაციის მიერ სატარიფო მუქარების გავრცელება და საერთაშორისო ურთიერთობების გადახედვა მაკროეკონომიკური და გეოპოლიტიკური გაურკვევლობის ახალ შრეს აჩენს, რაც ოქროსთვის არსებითი ბუსტია“, – წერს BNP-ის ეკონომისტი.

ევროპული საფონდო ბირჟის ვარდნის მიზეზები

ბოლო პერიოდის განმავლობაში, ინვესტორების განწყობის გაუარესების ფონზე, ევროპულ საფონდო ბირჟაზე დაღმასვლის ტენდენცია შეინიშნება. გასულ კვირას დაფიქსირებულ პიკურ მაჩვენებელთან შედარებით, ძირითადი ევროპული ინდექსების, მათ შორის: Stoxx 600-ის, DAX-ის და FTSE 100-ის შეფასება საშუალოდ 4-5%-ითაა შემცირებული.

ევროპული ბაზრების დაღმასვლა პირდაპირ კავშირშია აშშ-ის პრეზიდენტის მიერ სავაჭრო ომის წამოწყებასთან, რომელიც ევროკავშირის წინააღმდეგ ტარიფების დაწესებას ითვალისწინებს. მართალია, ამ საკითხზე დონალდ

ტრამპს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, თუმცა არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ ვაშინგტონი ევროპას სავაჭრო ბარიერებს დაუნესებს, თავად ევროპული სახელმწიფოები კი აშშ-ის წინააღმდეგ საპასუხო ზომებს მიიღებენ, ანუ მივიღებთ სავაჭრო ომს, რომელიც არც მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება დადებითად და არც კორპორაციული სექტორის შემოსავლებზე.

ამასთან, სავაჭრო ომის პერსპექტივა ინფლაციის დაჩქარების და მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების რისკებს ზრდის, ეს მოცემულობა კი ინვესტორების განწყობაზე ნეგატიურად აისახება.

ასევე, ბირჟის ვარდნის ფაქტორია რუსეთ-უკრაინის ომი. ამ კონფლიქტთან დაკავშირებით ჯერაც არაფერია დადასტურებული და ისიც კი არ ჩანს, შეძლებენ თუ არა მხარეები სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას.

როგორც წესი, ინვესტორებს გაურკვეველობა და მერყეობა არ უყვართ, ამჟამად მსოფლიოში არსებულ ვითარებას კი რთულია სტაბილური ან განჭვრეტადი ვუნდოლოთ, სწორედ ამიტომ საფონდო ბირჟა ეცემა.

ჩინეთში დეფლაცია გამწვავდა

ჩინეთის მასშტაბით ეკონომიკური სირთულეები გრძელდება – ქვეყანაში დეფლაცია ფიქსირდება და წინა წელთან შედარებით მწარმოებელთა ფასების შემცირების მაჩვენებელი 2.2%-ს შეადგენს, რაც ბოლო 15 წლის მინიმუმია.

ინფლაციის ნეგატიური მაჩვენებლის დაფიქსირება იმის მაუწყებელია, რომ ქვეყნის მასშტაბით ქარხნების მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ფასები მცირდება, რაც ჩინეთის მსგავსი სახელმწიფოსათვის სასურველი მოცემულობა არ არის, რადგან ფასების შემცირება ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას იწვევს, ჩინეთის მთავრობას კი მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-იან წლიურ ზრდაზე აქვს გათვლები გაკეთებული.

დეფლაციის განმაპირობებელ მიზეზებს შორის უმთავრესი გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და ქვეყნის მასშტაბით გაძვირებული კრედიტია, რასაც განსაკუთრებით ართულებს იპოთეკურ სესხთან დაკავშირებით არსებული ვითარება და უძრავი ქონების სექტორში დაგროვილი რისკები.

ამასთან, აშშ-ის მთავრობამ ჩინეთს ახალი ტარიფები დაუნესა, რაც ჩინური პროდუქციის გაძვირებას უფრო მეტად პრობლემურს ხდის, რაც წარმოების სექტორს უდიდესი გამოწვევის წინაშე აყენებს.

აქვე, უნდა ითქვას, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) წლიურად 0.7%-ითაა შემცირებული, ანუ სამომხმარებლო ინფლაციის დონეც იკლებს, რაც ეკონომიკაზე დეფლაციურ ზეწოლას ამწვავებს.

ბრიტანეთმა გაყინული რუსული აქტივებიდან უკრაინას £752 მილიონის სესხი მისცა

უკრაინის პრემიერ-მინისტრის, დენის შმიგალის ინფორმაციით, ქვეყანამ, გაერთიანებული სამეფოს კონტრიბუციით, გაყინული რუსული აქტივებიდან 752 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით დიდი შვიდეულის სესხი მიიღო.

ეს პირველი ნაწილია შეთანხმებისა, რომლის ფარგლებშიც დიდი ბრიტანეთი უკრაინას 2.26 მილიარდ ფუნტ სტერლინგს სამ ეტაპად ასესხებს.

„ფინანსები უკრაინის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებას მოხმარდება. მადლიერი ვარ კირ სტარმერის, ბრიტანეთის მთავრობისა და ჩვენი G7-ის პარტნიორების, იმ მექანიზმისთვის, რომლის ფარგლებშიც რუსული ფული უკრაინისკენ მიემართება“, – დაწერა შმიგალმა X-ზე.

რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, დიდი შვიდეული ქვეყნებმა \$300 მილიარდის რუსული აქტივები გაყინეს, საიდანაც \$50 მილიარდი სესხის სახით უკრაინისთვის გამოიყო.

კანადა რუსეთის გაყინული აქტივებიდან უკრაინას \$3.5 მილიარდს გამოუყოფს

კანადა რუსეთის გაყინული აქტივებიდან უკრაინას \$3.5 მილიარდს გამოუყოფს. ამის შესახებ კანადის პრემიერ-მინისტრმა ჯასტინ ტრუდომ კიევში, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის მესამე წლისთავზე ისაუბრა.

უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ რუსეთის აგრესიის დამფინანსებლებს დასავლეთის ბანკებში დაახლოებით \$300 მილიარდის ოდენობის აქტივები გაუყინეს.

ტრუდომ ასევე აღნიშნა, რომ კანადა უკრაინას დამატებით სამხედრო დახმარებას გაუწევს.

2024 წელს, დიდი შვიდეულის (G7) სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, გაყინული რუსული აქტივებიდან უკრაინას ეტაპობრივად გამოუყონ სესხი. G7 ქვეყნები – კანადა, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და აშშ რუსეთის 2022 წლის სრულმასშტაბიანი შემოჭრის შემდეგ დღემდე უკრაინის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური და სამხედრო მხარდამჭერები არიან.

G7-ის პარალელურად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმაც ოფიციალურად მიიღეს გეგმა, რომლის მეშვეობითაც რუსეთის ცენტრალური ბანკის გაყინული აქტივებიდან მიღებული მოგება უკრაინის სამხედრო და სხვა ტიპის დახმარებას მოხმარდება. აღნიშნული ინფორმაცია ბელგიის მთავრობამ 2024 წლის 21 მაისს გაავრცელა.

შეთანხმების ფარგლებში, მოგებიდან შემოსული თანხის 90% ევროკავშირის მართვის ქვეშ არსებულ ფონდში წავა, რომელიც უკრაინის სამხედრო დახმარებისთვის არის განსაზღვრული, ხოლო დანარჩენი 10% უკრაინისთვის სხვა ტიპის დახმარებას მოხმარდება.

უცხოური ვალუტის კურსები

თებერვლის თვის ევროს საშუალო კურსი: **1 EURO=2.9354** ლარი

ვალუტა	თებერვალი, 2025 წელი														
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1 ბულგარული ლევი	1.5158	1.5158	1.5158	1.4877	1.4997	1.5033	1.4883	1.4834	1.4834	1.4834	1.4693	1.4772	1.4901	1.5001	1.5177
10 დანიური კრონი	3.9739	3.9739	3.9739	3.8986	3.9292	3.9435	3.9019	3.8885	3.8885	3.8885	3.8525	3.8733	3.9076	3.9341	3.9799
1 ევრო	2.9651	2.9651	2.9651	2.9090	2.9317	2.9418	2.9106	2.9010	2.9010	2.9010	2.9010	2.8736	2.8889	2.9145	2.9687
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3.5470	3.5470	3.5470	3.4964	3.5237	3.5382	3.4877	3.4794	3.4794	3.4794	3.4530	3.4607	3.4954	3.5185	3.5668
100 ისლანდიური კრონი	2.0268	2.0268	2.0268	1.9922	1.9970	2.0013	1.9854	1.9761	1.9761	1.9761	1.9602	1.9706	1.9852	1.9988	2.0152
100 სერბიული დინარი	2.5305	2.5305	2.5305	2.4839	2.5035	2.5124	2.4854	2.4783	2.4783	2.4783	2.4554	2.4676	2.4883	2.5055	2.5344
10 ნორვეგიული კრონი	2.5219	2.5219	2.5219	2.4834	2.5032	2.5234	2.4978	2.4898	2.4898	2.4898	2.4792	2.4955	2.4956	2.5009	2.5460
10 პოლონური ზლოტი	7.0295	7.0295	7.0295	6.8742	6.9420	6.9983	6.9220	6.9205	6.9205	6.9205	6.8661	6.9171	6.9821	7.0400	7.1304
10 რუმინული ლეი	5.9579	5.9579	5.9579	5.8451	5.8906	5.9113	5.8485	5.8288	5.8288	5.8288	5.7744	5.8045	5.8549	5.8953	5.9647
100 უნგრული ფორინტი	0.7257	0.7257	0.7257	0.7113	0.7191	0.7247	0.7164	0.7154	0.7154	0.7154	0.7100	0.7151	0.7248	0.7302	0.7387
10 შვედური კრონი	2.5851	2.5851	2.5851	2.5303	2.5689	2.5911	2.5694	2.5684	2.5684	2.5684	2.5476	2.5646	2.5810	2.5992	2.6443
1 შვეიცარიული ფრანკი	3.1360	3.1360	3.1360	3.0964	3.1212	3.1318	3.1030	3.0801	3.0801	3.0801	3.0577	3.0706	3.0820	3.1051	3.1440
10 ჩეხური კრონა	1.1788	1.1788	1.1788	1.1529	1.1637	1.1700	1.1590	1.1565	1.1565	1.1565	1.1457	1.1507	1.1618	1.1715	1.1851
1 აშშ დოლარი	2.8563	2.8563	2.8563	2.8403	2.8378	2.8224	2.8095	2.7940	2.7940	2.7940	2.7813	2.8004	2.8089	2.8157	2.8362
1 კანადური დოლარი	1.9723	1.9723	1.9723	1.9356	1.9671	1.9770	1.9567	1.9508	1.9508	1.9508	1.9408	1.9529	1.9629	1.9694	1.9999
1 ავსტრალიური დოლარი	1.7763	1.7763	1.7763	1.7456	1.7614	1.7739	1.7599	1.7566	1.7566	1.7566	1.7472	1.7573	1.7631	1.7652	1.7964
10 ეგვიპტური გირვანქა	0.5686	0.5686	0.5686	0.5641	0.5638	0.5609	0.5587	0.5555	0.5555	0.5555	0.5531	0.5554	0.5548	0.5559	0.5602
1 თურქული ლირა	0.0797	0.0797	0.0797	0.0789	0.0789	0.0786	0.0783	0.0776	0.0776	0.0776	0.0773	0.0777	0.0778	0.0780	0.0783
100 იაპონური იენი	1.8462	1.8462	1.8462	1.8333	1.8274	1.8492	1.8411	1.8366	1.8366	1.8366	1.8275	1.8414	1.8282	1.8305	1.8592
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7.7765	7.7765	7.7765	7.7331	7.7261	7.6844	7.6493	7.6069	7.6069	7.6069	7.5723	7.6243	7.6474	7.6659	7.7215
10000 ირანული რიალი	0.6801	0.6801	0.6801	0.6763	0.6757	0.6720	0.6689	0.6652	0.6652	0.6652	0.6622	0.6668	0.6688	0.6704	0.6753
10 ისრაელის შეკელი	7.9700	7.9700	7.9700	7.8574	7.9357	7.9457	7.9165	7.8605	7.8605	7.8605	7.8107	7.7984	7.8118	7.8929	7.9492
1 სინგაპურული დოლარი	2.1063	2.1063	2.1063	2.0779	2.0926	2.0927	2.0757	2.0687	2.0687	2.0687	2.0554	2.0656	2.0759	2.0877	2.1139
1 ქუვეითური დინარი	9.2587	9.2587	9.2587	9.1919	9.1868	9.1488	9.1011	9.0538	9.0538	9.0538	9.0068	9.0657	9.0962	9.1182	9.1965
10 ჩინური იუანი	3.9427	3.9427	3.9427	3.9206	3.9171	3.8815	3.8535	3.8333	3.8333	3.8333	3.8071	3.8324	3.8431	3.8605	3.9041
10 ჰონკონგური დოლარი	3.6653	3.6653	3.6653	3.6441	3.6441	3.6252	3.6082	3.5872	3.5872	3.5872	3.5704	3.5937	3.6064	3.6148	3.6438
100 ინდური რუპია	3.2976	3.2976	3.2976	3.2575	3.2589	3.2269	3.2078	3.1958	3.1958	3.1958	3.1795	3.2252	3.2327	3.2400	3.2665
1 ახალზელანდიური დოლარი	1.6132	1.6132	1.6132	1.5798	1.5914	1.6057	1.5899	1.5873	1.5873	1.5873	1.5742	1.5805	1.5837	1.5878	1.6169
100 რუსული რუბლი	2.8925	2.8925	2.8925	2.8368	2.8576	2.8728	2.8964	2.8840	2.8840	2.8840	2.8678	2.9184	2.9880	3.1014	3.1240
1 აზერბაიჯანული მანათი	1.6798	1.6798	1.6798	1.6704	1.6692	1.6598	1.6520	1.6431	1.6431	1.6431	1.6357	1.6469	1.6519	1.6559	1.6680
1 ბელარუსული რუბლი	0.8745	0.8745	0.8745	0.8696	0.8689	0.8641	0.8602	0.8555	0.8555	0.8555	0.8516	0.8574	0.8600	0.8621	0.8684
10 თურქმენული მანათი	8.1609	8.1609	8.1609	8.1151	8.1080	8.0640	8.0271	7.9829	7.9829	7.9829	7.9466	8.0011	8.0254	8.0449	8.1034
10 მოლდოვური ლეი	1.5323	1.5323	1.5323	1.5175	1.5103	1.5059	1.4994	1.4889	1.4889	1.4889	1.4787	1.4878	1.4921	1.5021	1.5187
1000 სომხური დრამი	7.1613	7.1613	7.1613	7.1454	7.1499	7.1133	7.0768	7.0245	7.0245	7.0245	7.0102	7.0550	7.0842	7.1014	7.1531
10 ტაჯიკური სომონი	2.6058	2.6058	2.6058	2.5967	2.5915	2.5863	2.5633	2.5567	2.5567	2.5567	2.5463	2.5602	2.5715	2.5742	2.5965
1000 უზბეკური სუმი	0.2202	0.2202	0.2202	0.2187	0.2182	0.2173	0.2166	0.2156	0.2156	0.2156	0.2144	0.2157	0.2162	0.2166	0.2183
10 უკრაინული გრივნა	0.6847	0.6847	0.6847	0.6792	0.6796	0.6772	0.6773	0.6740	0.6740	0.6740	0.6685	0.6718	0.6717	0.6740	0.6815
100 ყაზახური ტენგე	0.5507	0.5507	0.5507	0.5435	0.5465	0.5464	0.5461	0.5478	0.5478	0.5478	0.5459	0.5531	0.5575	0.5652	0.5696
100 ყირგიზული სომი	3.2784	3.2784	3.2784	3.2495	3.2488	3.2290	3.2164	3.1966	3.1966	3.1966	3.1820	3.2037	3.2136	3.2212	3.2445
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1.5325	1.5325	1.5325	1.4992	1.5140	1.5191	1.5104	1.5161	1.5161	1.5161	1.5087	1.5154	1.5235	1.5231	1.5450
1 ზრახილიური რიალი	0.4862	0.4862	0.4862	0.4860	0.4886	0.4901	0.4840	0.4849	0.4849	0.4849	0.4788	0.4839	0.4872	0.4888	0.4917
10 კატარული რიალი	7.8330	7.8330	7.8330	7.7910	7.7846	7.7424	7.7068	7.6653	7.6653	7.6653	7.6305	7.6829	7.7055	7.7248	7.7804
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.9669	1.9669	1.9669	1.9374	1.9495	1.9535	1.9376	1.9338	1.9338	1.9338	1.9173	1.9269	1.9320	1.9438	1.9684

უცხოური ვალუტის კურსები

თებერვლის თვის აშშ დოლარის საშუალო კურსი: **1 USD=2.8185** ლარი.

ვალუტა	თებერვალი, 2025 წელი															
	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31
1 ბულგარული ლევი	1.5177	1.5177	1.5101	1.5074	1.5000	1.5023	1.5012	1.5012	1.5012	1.5074	1.5082	1.5105	1.5088	1.5347	1.5309	1.5303
10 დანიური კრონი	3.9799	3.9799	3.9597	3.9524	3.9312	3.9394	3.9366	3.9366	3.9366	3.9522	3.9544	3.9608	3.9567	4.0220	4.0122	4.0106
1 ევრო	2.9687	2.9687	2.9536	2.9480	2.9322	2.9382	2.9362	2.9362	2.9362	2.9482	2.9498	2.9542	2.9510	3.0014	2.9941	2.9929
1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3.5668	3.5668	3.5480	3.5492	3.5422	3.5502	3.5476	3.5476	3.5476	3.5569	3.5568	3.5590	3.5685	3.5808	3.5735	3.5776
100 ისლანდიური კრონი	2.0152	2.0152	2.0080	2.0096	2.0016	2.0112	2.0153	2.0153	2.0153	2.0234	2.0303	2.0305	2.0281	2.0515	2.0548	2.0513
100 სერბიული დინარი	2.5344	2.5344	2.5231	2.5163	2.5019	2.5070	2.5053	2.5053	2.5053	2.5155	2.5169	2.5207	2.5180	2.5625	2.5557	2.5544
10 ნორვეგიული კრონი	2.5460	2.5460	2.5352	2.5315	2.5249	2.5346	2.5251	2.5251	2.5251	2.5336	2.5300	2.5286	2.5224	2.5514	2.5409	2.5444
10 პოლონური ზლოტი	7.1304	7.1304	7.1020	7.0848	7.0390	7.0527	7.0454	7.0454	7.0454	7.0970	7.1297	7.1220	7.1291	7.1348	7.1138	7.1169
10 რუმინული ლეი	5.9647	5.9647	5.9344	5.9232	5.8911	5.9026	5.8986	5.8986	5.8986	5.9235	5.9261	5.9350	5.9282	6.0331	6.0167	6.0147
100 უნგრული ფორინტი	0.7387	0.7387	0.7346	0.7338	0.7297	0.7315	0.7253	0.7253	0.7253	0.7332	0.7358	0.7386	0.7380	0.7346	0.7341	0.7348
10 შვედური კრონი	2.6443	2.6443	2.6303	2.6285	2.6209	2.6337	2.6354	2.6354	2.6354	2.6444	2.6472	2.6517	2.6392	2.6163	2.6153	2.6105
1 შვეიცარიული ფრანკი	3.1440	3.1440	3.1265	3.1266	3.1122	3.1193	3.1214	3.1214	3.1214	3.1316	3.1430	3.1442	3.1351	3.1765	3.1770	3.1693
10 ჩეხური კრონა	1.1851	1.1851	1.1792	1.1746	1.1677	1.1718	1.1711	1.1711	1.1711	1.1756	1.1814	1.1842	1.1813	1.1960	1.1922	1.1914
1 აშშ დოლარი	2.8362	2.8362	2.8170	2.8186	2.8137	2.8136	2.8049	2.8049	2.8049	2.8153	2.8168	2.8141	2.8172	2.8766	2.8784	2.8761
1 კანადური დოლარი	1.9999	1.9999	1.9852	1.9859	1.9808	1.9804	1.9763	1.9763	1.9763	1.9801	1.9745	1.9621	1.9642	1.9972	1.9949	1.9962
1 ავსტრალიური დოლარი	1.7964	1.7964	1.7933	1.7918	1.7875	1.7948	1.7918	1.7918	1.7918	1.7914	1.7830	1.7788	1.7734	1.7990	1.7921	1.7912
10 ეგვიპტური გირვანქა	0.5602	0.5602	0.5567	0.5569	0.5545	0.5564	0.5546	0.5546	0.5546	0.5564	0.5567	0.5563	0.5566	0.5727	0.5732	0.5725
1 თურქული ლირა	0.0783	0.0783	0.0778	0.0777	0.0775	0.0775	0.0770	0.0770	0.0770	0.0773	0.0773	0.0772	0.0773	0.0804	0.0805	0.0804
100 იაპონური იენი	1.8592	1.8592	1.8578	1.8572	1.8543	1.8742	1.8653	1.8653	1.8653	1.8815	1.8804	1.8839	1.8795	1.8531	1.8525	1.8622
10 არაბეთის გაერთიანებული სამეფოს დირჰამი	7.7215	7.7215	7.6695	7.6738	7.6605	7.6602	7.6365	7.6365	7.6365	7.6649	7.6694	7.6622	7.6709	7.8317	7.8373	7.8306
10000 ირანული რიალი	0.6753	0.6753	0.6707	0.6711	0.6699	0.6699	0.6678	0.6678	0.6678	0.6703	0.6707	0.6700	0.6708	0.6849	0.6853	0.6848
10 ისრაელის შეკელი	7.9492	7.9492	7.9252	7.9081	7.9445	7.9460	7.8670	7.8670	7.8670	7.8811	7.8559	7.8787	7.9391	7.9708	7.9911	8.0309
1 სინგაპურული დოლარი	2.1139	2.1139	2.1005	2.1000	2.0946	2.1035	2.0979	2.0979	2.0979	2.1047	2.1019	2.1038	2.0993	2.1286	2.1301	2.1290
1 ქუვეითური დინარი	9.1965	9.1965	9.1283	9.1276	9.1088	9.1144	9.0862	9.0862	9.0862	9.1258	9.1277	9.1219	9.1290	9.3305	9.3303	9.3229
10 ჩინური იუანი	3.9041	3.9041	3.8790	3.8724	3.8615	3.8762	3.8660	3.8660	3.8660	3.8826	3.8767	3.8769	3.8755	3.9707	3.9732	3.9700
10 ჰონკონგური დოლარი	3.6438	3.6438	3.6210	3.6251	3.6181	3.6179	3.6092	3.6092	3.6092	3.6216	3.6230	3.6202	3.6240	3.6925	3.6947	3.6917
100 ინდური რუპია	3.2665	3.2665	3.2426	3.2413	3.2356	3.2466	3.2349	3.2349	3.2349	3.2470	3.2299	3.2269	3.2307	3.3243	3.3255	3.3202
1 ახალზელანდიური დოლარი	1.6169	1.6169	1.6153	1.6083	1.6086	1.6122	1.6151	1.6151	1.6151	1.6168	1.6090	1.6049	1.6002	1.6284	1.6254	1.6244
100 რუსული რუბლი	3.1240	3.1240	3.0745	3.0897	3.1154	3.1846	3.1735	3.1735	3.1735	3.1989	3.2599	3.2873	3.2401	2.9406	2.9173	2.9468
1 აზერბაიჯანული მანათი	1.6680	1.6680	1.6571	1.6584	1.6544	1.6544	1.6503	1.6503	1.6503	1.6557	1.6563	1.6547	1.6565	1.6917	1.6931	1.6914
1 ბელარუსული რუბლი	0.8684	0.8684	0.8625	0.8630	0.8615	0.8615	0.8588	0.8588	0.8588	0.8620	0.8624	0.8616	0.8626	0.8807	0.8813	0.8806
10 თურქმენული მანათი	8.1034	8.1034	8.0486	8.0531	8.0391	8.0389	8.0140	8.0140	8.0140	8.0437	8.0480	8.0403	8.0491	8.2189	8.2240	8.2174
10 მოლდოვური ლეი	1.5187	1.5187	1.5087	1.5097	1.5073	1.5054	1.5012	1.5012	1.5012	1.5120	1.5087	1.5089	1.5096	1.5503	1.5494	1.5459
1000 სომხური დრამი	7.1531	7.1531	7.1047	7.1042	7.0908	7.0961	7.0759	7.0759	7.0759	7.1138	7.1398	7.1431	7.1479	7.2207	7.2367	7.2346
10 ტაჯიკური სომონი	2.5965	2.5965	2.5712	2.5727	2.5747	2.5681	2.5679	2.5679	2.5679	2.5696	2.5710	2.5685	2.5714	2.6243	2.6259	2.6302
1000 უზბეკური სუმი	0.2183	0.2183	0.2168	0.2171	0.2171	0.2175	0.2169	0.2169	0.2169	0.2181	0.2184	0.2185	0.2188	0.2217	0.2219	0.2219
10 უკრაინული გრივნა	0.6815	0.6815	0.6783	0.6777	0.6745	0.6739	0.6747	0.6747	0.6747	0.6749	0.6754	0.6760	0.6787	0.6839	0.6865	0.6881
100 ყაზახური ტენგე	0.5696	0.5696	0.5657	0.5647	0.5599	0.5625	0.5558	0.5558	0.5558	0.5610	0.5640	0.5619	0.5637	0.5562	0.5564	0.5543
100 ყირგიზული სომი	3.2445	3.2445	3.2250	3.2268	3.2191	3.2211	3.2089	3.2089	3.2089	3.2230	3.2247	3.2216	3.2252	3.2989	3.3009	3.2905
10 სამხრეთ აფრიკული რანდი	1.5450	1.5450	1.5276	1.5291	1.5272	1.5249	1.5284	1.5284	1.5284	1.5292	1.5312	1.5285	1.5283	1.5409	1.5408	1.5528
1 ბრაზილიური რიალი	0.4917	0.4917	0.4943	0.4934	0.4950	0.4917	0.4918	0.4918	0.4918	0.4913	0.4879	0.4892	0.4847	0.4872	0.4907	0.4904
10 კატარული რიალი	7.7804	7.7804	7.7284	7.7319	7.7183	7.7195	7.6929	7.6929	7.6929	7.7220	7.7276	7.7207	7.7296	7.8986	7.9036	7.8890
1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.9684	1.9684	1.9521	1.9572	1.9512	1.9577	1.9589	1.9589	1.9589	1.9718	1.9630	1.9638	1.9511	2.0109	2.0122	1.9937